# სპორტი

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 ივლისი შაბათი 2012 №159 (13 765) ფასი 80 თეთრი


## ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 20 დღე

# 1+2: ყენიამ ზენიტთან გააფორმა

3

## ბიელსა ბილბაოდან ჩხუბით წავიდა

გუშინმოულოდნელი ინფორმაცია შევიტყვეთ - ბილბაოს „ატლეტიკი" **მარსელო ბიელსამ** დატოვა, არგენტინელმა თავკაცმა, რომლის ხელშიც გუნდმა გასულ სეზონში ძალიან კარგად ითამაშა ევროპულ ასპარეზზე. ბიელსა იმით აღშფოთებულა, რომ გუნდის საწვრთნელ ბაზა „ლეზამაზე" სარემონტო სამუშაოები დასრულებული არ დახვდა. მოკლედ, ბიელსამ სამუშაოების მწარმოებლებთან იჩხუბა, კლუბმა კი ის ამის გამო ვებგვერდზე საჯაროდ გააკრიტიკა, რამდენიმე საათის შემდეგ არგენტინელმა პროტესტის ნიშნად დატოვა კლუბი!

## მწვანე შუქი ტექნოლოგიებს

გუშინ ფიფამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2012 წლის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ტოკიოში მსაჯებს კარის ხაზზე დაპროექტებული ტექნიკა დაეხმარება, რომელთა დახმარებითაც გამოირიცხება გოლის გატანისას შეცდომა, თუნდაც ისეთი, როგორიც ევრო 2012-ზე უკრაინა-ინგლისის მატჩში მოხდა.



## როჯერის მასტერკლასი

16

## იტალიაში სკანდალი ისევ ძალას იკრებს

### კრიშიტოს დაკითხავენ! კალაძეს გაამართლებენ?

მორჩა ევრო 2012 და ერთგვარი მორატორიუმი იტალიაში აგორებულ საფეხბურთო სკანდალთან დაკავშირებით დასრულდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ იტალიის ნაკრების ფეხბურთელი **დომენიკო კრიშიტო** 16 ივლისს დაბარებულია იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში, სადაც მას გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით დაკითხავენ. შეგახსენებთ, რომ უპირველესად პროკურატურამ ეჭვი 14 მაისის შეხვედრაზე მიიტანა, „ლაციოსა" და „ჯენოას" შორის, რომელიც რომაულმა კლუბმა 4:2 მოიგო.

გენუურმა პრესამ კიდევ ერთხელ ახსენა „ჯენოას" ექსფეხბურთელი **კახა კალაძე**. იტალიელთა მტკიცებით, ქართველის ადვოკატები კრემონაში იმყოფებიან, რათა საბოლოოდ წერტილი დაესვას კალაძის კავშირს ამ სკანდალთან.

## კვირკველია რუბინიდან გაუშვეს

გუშინ რუსულმა პრესამ გაავრცელა ცნობა, რომ ყაზანის „რუბინმა" 20 წლის ქართველი მცველი **საბა კვირკველია** ივჯარით პირველი დივიზიონის ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკში" გაუშვა. სამწუხაროა, რომ ტანმაღალ ქართველ მცველს ამ სეზონში მაღალ დონეზე თამაშის შანსი არ მიეცემა. „რუბინი" საბასთან ერთად **ვაგიზ გალიულინს** დაემშვიდობა, მანამდე კი ივჯარით „ნეფტეხიმიკში" **იგორ პორტიაგინი** და **ალექსანდრ კულიკოვი** გადავიდნენ.

## ვან გაალი სუფრის თავში

ჰოლანდიური საფეხბურთო პორტალი „ვოეტბალ ინტერნეშნლი" ამტკიცებს, რომ გადაწყვეტილია, თუ ვინ გაუძღვება მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჰოლანდიის ნაკრებს - გუნდის თავკაცი **ლუი ვან გაალი** იქნება, რომელსაც **დენი ბლინდი** დაეხმარება. ვან გაალი 2000-2002 წლებში უკვე ხელმძღვანელობდა „ნარინჯისფერებს" და მაშინ მან ვერ შეძლო გუნდის მუნდიალზე გაყვანა.

## ლელოს დღევანდელი სტუმარია სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი

12

## ქართული ფეხბურთი

● ევროპის ლიგა. გამოძახილი

კობა ჟორჟიკაშვილი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# კობა ჟორჟიკაშვილი: პლზენი ჩვენზე ძლიერია, მაგრამ...

**რუსთავის "მეტალურგმა" წლევანდელი ევროსარბიელი რიხით დაიწყო, ევროპა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში ალბანური "ტეუტა" სტუმრად 3:0 დაამარცხა. ამ მოგებით რუსთაველებმა ფაქტობრივად გაინაღდეს მეორე ეტაპზე გასვლა, სადაც მათ უკვე გაცილებით სერიოზული მეტოქე ელით – ჩეხური "პლზენი".**

"მეტალურგი" ალბანეთიდან გუშინ დაბრუნდა და გუნდის მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- ელოდით, რომ ასე იოლად გაუსწორდებოდით მოწინააღმდეგეს?**

- არა, ადვილ თამაშს ნამდვილად არ ველოდი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ შეხვედრა ჩვენი უპირატესობით წარიმართებოდა. აქამდე რომ მივსულიყავით, სათანადო შრომა გავწიეთ, ახალი სეზონისთვის მზადება სლოვენიაში გავაგრძელეთ, სადაც ძლიერ მეტოქეებს შევხვდით და კარგ გუნდებთან თამაშმა ნაყოფიც გამოიღო.

**- ალბანურმა "ტეუტამ" რა შთაბეჭდილება დატოვა?**

- პირველ ტაიმში ალბანელებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, თავს კარგად იცავდნენ და კონტრშეტევებით ცდილობდნენ რაღაცის შექმნას. შესვენების შემდეგ კი "ტეუტა" დაიღალა, ეს იმან გამოიწვია, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა აქტიურობას მოუმატეს, ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი იყო პირველი გოლი, რომლის შემდეგაც მეტოქე გატყდა და კიდევ ორი ბურთიც შევაგდეთ.

**- ახლა კი ალბათ უკვე "პლზენზე" ფიქრობთ...**

- მასეა, ოღონდაც ჯერ მეორე თამაშიც უნდა მოვუგოთ "ტეუტას", ამის მერე უფრო კარგად გადავეწყობით "პლზენთან" შესახვედრად. ამ გუნდმა წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშა და ეს უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. ჩვენი ფეხბურთელის, დიმიტრი ტატანაშვილის ყოფილ გუნდს უნდა შევხვდეთ, "პლზენზე" ინფორმაციას ასეც ვაგროვებთ. სხვათა შორის, "ტეუტა" –"მეტალურგის" მატჩზე "პლზენის" ერთ-ერთი მწვრთნელი იყო ჩამოსული, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ "პლზენი" დიდი სერიოზულობით ეკიდება მომავალ მოწინააღმდეგეს.

**- ჩეხებთან დაპირისპირებაში შანსებს როგორ აფასებთ?**

- რა თქმა უნდა, "პლზენი" ჩვენზე ძლიერი გუნდია და მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსიც აქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია წარმატების მიღწევა. ამის თქმის საფუძველს ჩვენი ფეხბურთელების მომზადების დონე მაძლევს, ისინი კარგად მოძრაობენ, რაც "ტეუტასთანაც" გამოჩნდა.

**- შევიტყვეთ, რომ გივი კვარაცხელია "მეტალურგიდან" მიდის...**

კვარაცხელია და გიორგი თექთურმანიძე თბილისის "დინამოდან" იჯარით არიან ჩვენთან და შესაძლოა, მათ "დინამოში" დაბრუნება მოუწიოთ, თუმცა ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, რა როგორ იქნება.

**- ალბანელებთან მატჩში ყველაზე უფრო რომელი ფეხბურთელის თამაშმა მოახდინა მწვრთნელზე შთაბეჭდილება?**

- წელანაც გითხარით, რომ მთლიანად გუნდმა ითამაშა რიგიანად. კვარაცხელიას დაცვაში ბევრი საქმე არ ჰქონია, მაგრამ ერთ-ერთი გამორჩეული იყო, გოლიც გაიტანა. კარგად გაისარჯა ირაკლი მაისურაძე, ირაკლი სიხარულიძეს გოლი არ გაუტანია, მაგრამ ბევრ ხიფათს ქმნიდა მეტოქის კართან, კარგად წარმოაჩინა თავი ჩვენმა ახალწვეულმა ანზორ სუხიაშვილმა, შეცვლაზე შესული სამივე ფეხბურთელი – ტატანაშვილი, მიქაბერიძე და თექთურმანიძე – თამაშში კარგად ჩაერთო...

**დავით თავართქილაძე**

# შთამბეჭდავი ინტერი



კახა ცხადაძე

ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ბაქოს "ინტერმა" შთამბეჭდავად დაიწყო: **კახა ცხადაძისა** და **ზაურ სვანაძის** გაწვრთნილებმა გასვლაზე ესტონური "ტრანსი" 5:0 დაამარცხეს, რაც ევროტურნირებზე აზერბაიჯანული კლუბების ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება აღმოჩნდა.

აზერბაიჯანელთა ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს **გიორგი ლომაიამ, ვალერი აბრამიძემ, ილია კანდელაკმა, გიორგი ადამიამ** და მთავარი მწვრთნელის ვაჟმა, **ბაჩანა ცხადაძემ**, სათადარიგოთა შორის მხოლოდ მეკარე **რევაზ თევდორაძე** იყო. "ინტერის" ხუთი გოლიდან სამი ქართველებმა გაიტანეს - ადამიამ ერთი, ცხადაძემ კი დუბლი შეასრულა.

გასვლაზე დამაჯერებელი გამარჯვებისა და ფაქტობრივად, შემდეგ ეტაპზე გასვლის მიუხედავად, "ინტერის" მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე თვითკმაყოფილებას არ მისცემია.

*"ცხადია, გამარჯვებით გახარებული ვარ. ამავე დროს უნდა ვაღიარო, რომ ასეთ შედეგს არ ველოდი და არც გამანადგურებელი ანგარიშით მოგებისთვის ვემზადებოდით. მაგრამ ბიჭებით კმაყოფილი ვარ, ახალწვეულებმა კი ძალიან კარგად ითამაშეს. ერთი მხრივ, იმიტომაც დავიმატეთ, რომ "ინტერის" თამაში გაეძლიერებინათ. მეორე მხრივ, გამოჩნდა, რომ ისინი ჩვენს სქემას წარმატებით მოერგნენ.*

*და მაინც, 5:0-ის მოგებაც არ მეტყველებს, რომ "ინტერი" უნაკლოდ თამაშობს. გუნდის ძალას ასეთი შეხვედრით ვერ განვსაზღვრავთ. ისიც სათქმელია, რომ მეტოქის თამაში კარგად გავაანალიზეთ.*

*სასიამოვნოა, რომ ჩემმა გაწვრთნილმა კლუბმა აზერბაიჯანის ისტორიაში ევროთასებზე ყველაზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. "ინტერი" ცდილობს, საერთაშორისო სარბიელზე ქვეყანა ღირსეულად წარადგინოს"* – ამბობს ცხადაძე.

დუბლის ავტორი ბაჩანა ცხადაძე კი მადაზე მოვიდა: *"შეკრებაზე ცოტა გაგვქონდა და საგოლე მადა ამიტომაც გაგვეზარდა. მიმაჩნია, რომ მეტის გატანაც შეგვეძლო, მაგალითად, მე ყველა მომენტი ვერ გამოვიყენე. მაგრამ ეს შედეგიც გვაკმაყოფილებს. მეორე შეხვედრას მაინც მობილიზებულები უნდა შევხვდეთ, რადგან აზერბაიჯანის პრესტიჟსა და რეიტინგზე უნდა ვიფიქროთ. იმედია, ბაქოში განმეორებით შეხვედრაშიც ბევრს გავიტანთ და ამას მეც მოვახერხებ".*

"ინტერის" პრეზიდენტი **გიორგი ნიკოლოვი** შედეგით გაოცებული დარჩა: *"ევროპის ლიგის შეხვედრას მოუთმენლად ველოდი. მეტოქეს ფრთხილად ვეკიდებოდი და მიმაჩნია, რომ სულაც არ არის სუსტი მეტოქე. მაგრამ ჩვენებმა მასპინძლებს გასაქანი არ მისცეს".*

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ინტერი" ბერძნულ "ასტერასს" შეხვდება, რომლის მთავარი მწვრთნელი **გეორგიოს ხერიდისი** მატჩს დაესწრო და ცხადაძის გუნდი მოეწონა: *"არ მეგონა, "ინტერი" "ტრანსს" ასე იოლად თუ დაამარცხებდა. აზერბაიჯანული კლუბი ძალიან მომეწონა. გამოვარჩევდი ადამიასა და გიორგიევსკის. ისინი ძალიან სახიფათოები არიან, განსაკუთრებით, ადამია".*

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

ირაკლი სირბილაძე

# ირაკლი სირბილაძე: ჩვენზე და გამოწვევა

**მესამე წელია, ირაკლი სირბილაძე ფინეთში თამაშობს. შარშან მისი გადაბირების სურვილი ვეიკაუსლიგის (ფინეთის უმაღლესი ლიგა) რამდენიმე კლუბს გაუჩნდა. საბოლოოდ, 29 წლის თავდამსხმელი "იაროდან" ფინეთის ერთ-ერთ ლიდერ გუნდში, ტურკუს "ინტერში" გადავიდა და ვეიკაუსლიგაში ლამის ტრიუმფი მოიწყო - 7 მატჩში 7 გოლი გაიტანა. საბოლოოდ, კარიერაში საუკეთესო სეზონი 15 მატჩში 9 გოლით დაასრულა და ვეიკაუსლიგაში მეორე ნრეში გადასულს ჩემპიონატის ბომბარდირობამდე ცოტა დააკლდა, "ინტერი" კი ფინეთის ვიცე-ჩემპიონი გახდა.**

19 და 26 ივლისს მისი გუნდი, "ინტერი" ევროპის ლიგაზე, დიდი ალბათობით, ჰოლანდიურ "ტვენტეს" შეხვდება. ირაკლის თქმით, საამისოდ, ყველა განსაკუთრებული მონდომებით ემზადება. სირბილაძეს ფინეთში შევეხმიანეთ და ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- "ტვენტესთან" სავარაუდო პაექრობები შენს კარიერაში ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩები იქნება.**

- რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. ყველამ კარგად იცის, "ტვენტეს" ძალა - არც ისე დიდი ხნის წინ, ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა და ძალიან რთული თამაშები გველის.

მაგრამ ევროპის ლიგაზე თამაში დიდი გამოწვევა არის და თამაშებისთვის მთელი გუნდი განსაკუთრებულად ვემზადებით. მსურს, ჩემი სიტყვა ევროსარბიელზეც ვთქვა, კარგად ვითამაშო, გუნდს კარგი შედეგის ჩვენებაში დავეხმარო და გავიტანო.

ფინეთში სხვადასხვა ევროპული ქვეყნებიდან მენეჯერები და მწვრთნელები ხშირად ჩამოდიან, შეხვედრებს ესწრებიან, ფეხბურთელებს აკვირდებიან და ვინ იცის, იქნებ, რომელიმე გუნდიც დავაინტერესო.

**- წლეულს შარშანდელივით ვერ დაიწყე - 15 ტურის შემდეგ 6 გოლით ბომბარდირებში მე-7 ადგილზე ხარ.**

- სამმა მოთამაშემ 6-6 გოლი გავიტანეთ. ძალიან არ მიმართლებდა, თორემ მეტსაც შევძლებდი. ისე, 6 გოლის გარდა, 4 საგოლე გადაცემაც მაქვს. პირველ ადგილზე იამაიკელი სტივ მორისია, რომელმაც 9 გოლი გაიტანა და ასე რომ, დაწევა და ბომბარდირობა სავსებით შესაძლებელია. იმედი ნაღდად მაქვს და ბოლომდე ვიბრძოლებ.

სხვათა შორის, ერთ-ერთი ტურნირის ბომბარდირი უკვე გავხდი: ახლახან ფინეთის ლიგის თასის გათამაშება დასრულდა, სადაც 7 შეხვედრაში 5 გოლი გავიტანე. სამწუხაროდ, ნახევარფინალში ჰელსინკის ჰიკ-მა პენალტების სერიით გვაჯობა და გამოვვარდით, თასს კი ტურკუს ტპს დაეუფლა.

**- ახალ კლუბში უკეთესი პირობები გაქვს?**

- ზოგადად, ევროპულ კლუბებს ბევრად ჩამოვრჩებით – აქ მათი დარი პირობები ნაღდად არ არის. მაგრამ "ინტერს" ფინეთში ერთ-ერთი საუკეთესო ბიუჯეტი აქვს, მე კი კლუბში ყველაზე კარგი პირობები შემიქმნეს.

ამ ნდობას გამართლება უნდა და თავს არ ვზოგავ. სამ წელზე მეტია, რაც აქ ვთამაშობ. შრომა და ვარჯიში საქართველოშიც არ მეზარებოდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ფინეთში მაინც მნიშვნელოვნად გავიზარდე და საქმისადმი პროფესიული მიდგომა ვისწავლე. თავისუფალ დროსაც ორგანიზმს მომდევნო დღის დატვირთვებისთვის ვამზადებ. ვარჯიშის მერეც ვრჩები და დამატებით ვიტვირთები; ვცდილობ, რეჟიმი დავიცვა – ლეგიონერს ყველა გამადიდებელი შუშით უყურებს და სულ ფორმაში თუ არ ხარ და ადგილობრივ ფეხბურთელს ერთი თავით არ სჯობიხარ, მწვრთნელის და გულშემატკივრების ნდობაზე არც უნდა იოცნებო.

**- ადრე ფინეთში ბევრი ქართველი თამაშობდა, ახლა კი ორიოდე შემორჩით.**

- ბევრი მართლაც არ ვართ. პირველ ლიგაში საკმაოდ კარგი მცველი გიორგი ოსიტაშვილი თამაშობს. მგონია, რომ ის უკეთეს გუნდს იმსახურებს. "კოტეპეშია" პერსპექტიული მეკარე ლომიძე, მეორე ლიგაში კი - კახა სამსონია, თემურ აფრიამაშვილი და ლაშა ჩხაიძე, რომელსაც საქართველოში სხვადასხვა გუნდში უთამაშია.

**მერაბ მამულაშვილი**

● ტრანსფერი

# ყენია და ზენიტი: 1+2

ლევან ყენია

**ლევან ყენიამ სანკტ-პეტერბურგის "ზენიტთან" კონტრაქტი გააფორმა, დღეს-ხვალ თბილისში ჩამოვა, ორშაბათს კი სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრება და ახალ კლუბს შეუერთდება. ხელშეკრულების ვადა ასეთია: 1+2. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პიტერელები ამ ყველაფერს ოფიციალურად ჯერ იმიტომ არ ახმაურებენ, რომ ქართველის და სხვა ახალწვეულის წარდგენა საგანგებოდ მოწყობილ პრეზენტაციაზე სურთ.**

"ზენიტს" მეორე სეზონისწინა შეკრება პორტუგალიაში ჰქონდა და ყენიაც იქ იახლა, პიტერელებმა ეს კამპი გუშინ მოილიეს. ერთი სიტყვით, ყენიამ ერთი შეკრება უკვე გაირა ახალ გუნდთან.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი "ზენიტი" 1984 წელს გახდა, რუსეთის ჩემპიონი კი სამჯერ შეიქნა, ბოლოს ეს წინა სეზონში მოახერხა. 2008 წელს "ზენიტმა" უეფას თასი და სუპერთასიც კი მოიგო, მაშინ ზენიტელებს **დიკ ადვოკაატი** წვრთნიდა. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენებური ძალიან სოლიდურ კლუბში მოხვდა.

ქართველთაგან "ზენიტში" ლეგენდარულ მეკარეს, ანზორ **კავაზაშვილს** უთამაშია, "ზენიტის" დუბლებში იყო **გაიოზ დარსაძე,** ვინც ახლა მწვრთნელთა განათლების საქმეს ხელმძღვანელობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

**ვასილი კულკოვი, დმიტრი რადჩენკო, ოლეგ სალენკო...** "ზენიტის" სკოლა არაერთმა ცნობილმა ფეხბურთელმა გაიარა. ახლანდელ "ზენიტშიც" არაერთი ჩინებული ფეხბურთელია: **ვიაჩესლავ მალაფეევი, ალექსანდ კერჟაკოვი, დანი, ანდრეი არშავინი...**

"ზენიტს" 2009 წლიდან იტალიელი **ლუჩანო სპალეტი** წვრთნის, თანაშემწეებიც იტალიელები ჰყავს. სპალეტი მანამდე "რომას" და "უდინეზეს" თავკაცობდა, რომელებს ორჯერ მოაპოვებინა იტალიის თასი.

"ზენიტს" შეძლებული პატრონიც ჰყავს – "გაზპრომი". თქმა რად უნდა, რომ დამდეგ სეზონში "ზენიტი" ჩემპიონობის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს და იქნებ ევროსარბიელზეც რაიმე მნიშვნელოვანს მიაღწიოს.

ყენიასთვის კი მთავარი ამ ეტაპზე ალბათ ჯანმრთელობაა, ტრავმიანობის გამო ხომ ორწელიწადნახევარი გაუცდა. "დინამო", თბილისის "ლოკომოტივი", გელზენკირხენის 'შალკე" და "ზენიტი" – 21 წლის ფეხბურთელისთვის ეს მწირი ბიოგრაფია ნამდვილად არ არის.

იმედია, **თემურ ქეცბაიასა** და ყენიას შორის მომხდარი უსიამოვნება ორივე მხარემ დავიწყა - თუ ყენია "ზენიტში" ჩვეულად ათამაშდება, მისწრება იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვისაც.

**დავით თავართქილაძე**

● ლეგიონერები

# ჭანტურია ვიტესიდან ჯერ არ მიდის

ევროპის რამდენიმე ქვეყნის საინფორმაციო საშუალებები ამტკიცებდნენ, რომ **გიორგი ჭანტურიას** მიმართ წლეულს ზაფხულში უდიდესი ინტერესი გაჩნდა. "ლელოსთან" ინტერვიუში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და არნემის "ვიტესის" თავდამსხმელმა თავადაც დაადასტურა, რომ გადასვლას სერია "ა"-ს რამდენიმე კლუბში სთავაზობდა და დაასახელა „რომა", „ჯენოა", „ფიორენტინა" და „ინტერი".

ამის თაობაზე "რომას" ვებგვერდიც იუწყებოდა და სანდოდ ამიტომაც ჩავთვალეთ. სხვა იტალიური წყაროების მტკიცებით, "ჯენოა" ჭანტურიაში 4 მილიონ ევროს იხდიდა. თავად გიორგის თქმით, „რომა" და „ინტერი" მზად იყვნენ, ტრანსფერი 5-6 მილიონ ევროდ გამოესყიდათ.

მერე უკვე ინგლისურ მედიაში გაჩნდა ცნობა, რომ ლივერპულელთა ახალმა თავკაცმა **ბრენდან როჯერსმა** ახალწვეულთა ხუთკაციან სიაში ახალგაზრდა ქართველიც შეიყვანა. თურქული პრესა კი ამტკიცებდა, რომ ჭანტურიას გადაყვანაზე "გალათასარაის" მწვრთნელი **ფათიჰ თერიმი** ფიქრობდა.

იტალიური საიტების, მილანნეწს.იტ და ცალციონენს24.ცომ-ის სენსაციური ცნობამ – ჭანტურიათი „მილანიც" დაინტერესდა და „ჯენოასთან" ერთობლივი ტრანსფერი განახორციელებსო, განამტკიცა აზრი, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი არნემის "ვიტესში" არ დარჩებოდა.

მაგრამ "ვიტესი" ევროპის ლიგაში პლოვდივის "ლოკომოტივთან" შეხვედრისთვის ემზადება, გიორგი კი არნემელებთან ერთად ვარჯიშობს.

რეალურია თუ არა ჭანტურიას გადასვლა? ამის თაობაზე "ვიტესის" პრეზიდენტ **მერაბ ჟორდანიასთან** და კლუბის პრესსამსახურთან დაკავშირება, სამწუხაროდ, უშედეგო გამოდგა. მაგრამ ჭანტურიაზე სატრანსფერო უფლებები ჯერ

გიორგი ჭანტურია

კიდევ გააჩნია საფეხბურთო კლუბ "საბურთალოს", საიდანაც მოთამაშე ჰოლანდიაში წავიდა.

ამიტომ კომენტარისთვის "საბურთალოს" გენერალურ დირექტორს, **კახა ჭუმბურიძეს** დავუკავშირდით: *"გიორგი ნიჭიერი მოთამაშეა და მის მიმართ ცნობილი კლუბების დაინტერესება არ გამიკვირდება. მაგრამ სანამ ჰოლანდიელებთან ოფიციალურ მოლაპარაკებებს არ დაიწყებენ და კონტრაქტს ხელი არ მოეწერება, მანამდე ჭანტურიას სხვაგან გადასვლაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ის ახლა "ვიტესს" სჭირდება და გუნდს ევროპის ლიგაზე დაეხმარება".*

**მერაბ მამულაშვილი**

# ჩაგელიშვილი ყაზახეთის ლეგიონერთა ნაკრებშია

სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი მატჩები გაიმართება. ყაზახეთის ეროვნულ ნაკრების ხელმძღვანელობას მანამდე გენერალური რეპეტიციის ჩატარება სურდა, მაგრამ საკონტროლო შეხვედრაზე სასურველი მეტოქე ვერ დაითანხმა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია იძულებული გახდა, არაორდინალური გადაწყვეტილება მიეღო - 15 აგვისტოს ალმატიში ქვეყნის პრემიერლიგის საუკეთესო ლეგიონერებისგან დაკომპლექტებულ ნაკრებს ამხანაგურად შეხვდება.

ლეგიონერების ნაკრები ყარაღანდის "შახტიორის" მთავარ მწვრთნელს, **ვიკტორ კუმიკოვს** ჩააბარეს, რომელმაც გუნდში ევროპის ლიგაზე ქუთაისის "ტორპედოს" მეტოქის, "აქტობეს" სამი მოთამაშე გამოიძახა: ნახევარმცველები, მოლდაველი **სერგეი კოვალჩუკი,** უზბეკი **მარატ ბიკმაევი** და უზბეკი თავდამსხმელი **ალექსანდრ გეინრიხი.**

ვინმეს ტრავმის ან ეროვნულ ნაკრებში გამოძახების შემთხვევაში, კუმიკოვმა სათადარიგოთა სიაც შეადგინა, სადაც კოკშეტაუს "ოკჟეტპესის" ქართველი თავდამსხმელი **დავით ჩაგელიშვილის** გვარი ამოვიკითხეთ.

ყაზახურ თემას შევეხეთ და **დავით ლორიაზეც** მოგახსენებთ: პავლოდარის "ირტიშის" და ყაზახეთის ნაკრების მეკარე კარიერას თურქეთში გააგრძელებს. თუ ყაზახურ მედიას ვენდობით, ლორიას პირველი დივიზიონის "რიზესპორი" იწვევს, რომელიც უმაღლესში გადასვლისთვის ბრძოლას აპირებს.

აღსანიშნავია, რომ ლორია ყაზახების ეროვნული ნაკრების კარში 38-ჯერ იდგა, რაც ამ ქვეყნის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. მას უცხოეთში აქამდეც უთამაშია – 30 წლის მეკარე შვედური "ჰალმსტადსა" და ნალჩიკის "სპარტაკშიც" ირიცხებოდა, კარიერის დასაწყისში კი მოსკოვის ცსკა-სა და ავსტრალიური "ენფილდ სიტი ფეკონში" ვარჯიშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1000 კვირის ნვრილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დავით თავართქილაძე**

## ქიშმიში და ინდური ხურმა ხმების სანაცვლოდ

ესეც ასე: 2015 წელს უეფას სუპერთასი თბილისში გაიმართება, ჩემპიონთა ლიგის და ევროპა ლიგის გამარჯვებულები ჩვენს დედაქალაქში გავლენ მოედანზე და საფეხბურთო ზეიმით გაალამაზებენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც თავს ინონებს ამ წარმატებით და რატომაც არა, სულ ცუდი ამბებით ხომ არ უნდა შეგვახსენოს თავი. გინდ დაიჯერეთ, გინდა არა – ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად და კარგად მუშაობს.

მოკლედ, რაც მოხდა დიდებული ამბავია, ოღონდაც ისე ვერ არის შეფუთული, როგორც უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ეს არ არის მთავარი, მაგრამ უეფას ამ გადაწყვეტილებას უკან სხვა ისტორიები ახლდა.

საქმე უცბად არ კეთდება, უეფა რეფორმატორული რომ გახდა, ეს პირველ რიგში **მიშელ პლატინის** დამსახურებაა. ფრანგის გაპრეზიდენტებას კი უეფას წევრი ქვეყნების საარჩევნო ხმები სჭირდებოდა. ამისთვის არ არის აუცილებელი ქუჩაში ასი ათასი კაცის გამოყვანა, პერიფერიებში თეფშების დამონტაჟება, ტელევიზიის შექმნა, დაჭერა, დაყადაღება და ათასი დავიდარება. აქ მთავარი იყო ამომრჩეველთა დარწმუნება იმაში, რომ მე სხვანაირი პრეზიდენტი ვიქნები და საქმეს სხვანაირად წავიყვან. მაძღარი საფეხბურთო ქვეყნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ვერ იქნებოდა ის, პლატინი გახდებოდა უეფას პრეზიდენტი თუ ვინმე სხვა, ჩვენთვის და ჩვენნაირებისთვის კი რეფორმები აუცილებელი იყო.

პლატინი კენჭს რომ იყრიდა, მაშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** გახლდათ. მან ხმა პლატინის მისცა და როგორც უტყუარ კულუარებში ამბობენ, კიდევ რამდენიმე ხმის მონაგრებაში დაეხმარა მას. ეს უკვე ცოტა არ იყო, პლატინი ჟორდანიას და ძალაუნებურად ჩვენი ფეხბურთის მეგობარი გახდა.

ჟორდანიამ სხვა სამსახურიც გაუწია ფრანგს. ალბათ გახსოვთ, ძალიან აქტუალური რომ შეიქნა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის მოწვევა **იოჰან ბოსკამპისა** და **ივო შუშაკის** შემდეგ. თურქი აგენტი **ბაირამ თუთუმლუ ანრი მიშელს** სთავაზობდა ჟორდანიას, ამასობაში ჟორდანია დააპატიმრეს, დაიწყო ბრძოლა ფეხბურთის ხელში ჩასაგდებად. ფედერაციის პრეზიდენტმა გირაო გადაიხადა და გაათავისუფლეს, თითქოს გარდაუვალი ჩანდა ანრი მიშელის საქართველოს ნაკრებში გამწვრთნელება, მაგრამ არა, ჟორდანიამ არჩევანი უცბად **ალენ ჟირესზე,** პლატინის მეგობარზე გააკეთა.

ეს პერიპეტიები ახალი ჩამთავრებული იყო, **შოთა არველაძემ** ინტერვიუს დროს სანაძლეო რომ გააჟღერა – ცოტა ხანში საქართველო რაიმე ფინალს უმასპინძელებს, ჩემპიონთა ლიგისას ვერა, მაგრამ უეფას თასის ფინალი ალბათ მალე თბილისში გაიმართებაო. ამ ინტერვიუს მოძებნა ადვილად შეიძლება, უბრალოდ, ამის აუცილებლობა მგონი არ არსებობს. პლატინი ჟორდანიას თბილისში რომ ესტუმრა, **ძმებ არველაძეებთან** გრეხეტბოლიც კი ითამაშა, შერკინების მსაჯი კი ჟორდანია გახლდათ.

პლატინმ დანაპირები მოგვიანებით, მაგრამ მაინც შეასრულა – 2015 წლის სუპერთასი თბილისში. ამ ყველაფრის შემდეგ კი ცოტა უხერხულად გვეჩვენება, სხვა რომ გამოდის სიტყვით ტელეკამერის წინ, მაგრამ ამაში ცუდი მგონი არაფერია, უეფას ამ გადაწყვეტილების პრელუდიები ხომ ყველამ არ იცის და ალბათ არც არის აუცილებელი, რომ იცოდეს.

ჟორდანია ახლა არნემის "ვიტესის" პრეზიდენტია და მაინც გაუხარდებოდა, პლატინიმ სიტყვა რომ შეასრულა - სიტყვისკაცობას ყავლი არასდროს გასვლია.

და რა იქნება 2015 წელს? სუპერთასი თბილისში და კიდევ რამდენი რამ...

საფეხბურთო ციებ-ცხელება საქართველოში დაქოქილია. ეროვნულ ჩემპიონატს საპრიზო ფონდი ეღირსა, მალე ალბათ კიდევ სხვა სახეიროც გამოჩნდება, მერე ნაკრებსაც ეშველება...

2020 წლის ევროპის ჩემპიონატი სად და როგორ გაიმართება, ესეც საღერღელის ამშლელია ჩვენთვის. ვფიქრობ, წინ მივდივართ. ის ძველი ამბები კი, ახლა რომ მოგიყევით, მალე მგონი მეც აღარ მეხსომება, ოღონდაც ურიგო არ იქნება, თუ გვეცოდინება, რა საიდან და როგორ დაიწყო.

პლატინი იყოს კარგად და უეფა აღმოსავლეთ ევროპისთვის კიდევ გამოიმეტებს ქიშმიშსა და ინდურ ხურმას.



# საბრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | მზადება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| **ზესტაფონი** **გიორგი ჟიაბრიშვილი** | **გ. ონიანი (დილა), შ. გრიგალაშვილი (დილა),** წინამძღვრიშვილი (მოლდე, ნორვეგია), გ. ბერაია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ს. ლომია (მერანი), ჭანკოტაძე (სიონი, იჯარით) | **სარდალიშვილი, კიკნაველიძე (ორივე გაგრა, იჯარა დაუმთავრდათ),** კალანდაძე (გაგრა), კაჭკაჭიშვილი (ბათუმი) | 11 ივნისიდან - ზესტაფონში<br>26 ივნისიდან - ავსტრიაში<br>**ასტრა (რუმინეთი) 0:1, პლოვდივი (ბულგარეთი) 3:2** |
| **მეტალურგი** **კობა ჟორჟიკაშვილი** | **სეთურიძე (დინამო),** მოდებაძე (დილა), ზ. ჭელიძე (ტორპედო), ს. თოდუა (ბაია), ხოხონიშვილი (?) | **სუხიაშვილი, კაკუშაძე (ორივე მერანი), ზ. ლობჟანიძე** (სპარტაკი), ჰოსმანი (ხორვატია) | 9 ივნისიდან - რუსთავში<br>16 ივნისიდან - სლოვენიაში<br>**ოლიმპია (სლოვენია) 1:0, რიეკა (ხორვატია ) 0:1, ზარია (უკრაინა) 0:1, გოვერლა (უკრაინა) 0:1**<br>ევროპის ლიგა<br>**ტეუტა (ალბანეთი) 3:0** |
| **ტორპედო** **გია გეგუჩაძე** | **თარხნიშვილი (დინამო),ფიქერიშვილი (?), დ. ჯანელიძე (?), კემუხტაშვილი (?), მირცხულავა (?)** | **ე. გრიგალაშვილი (მერანი), ტულუში (კოლხეთი ფ), გიგაური (იაგელონია, პოლონეთი, იჯარა დაუმთავრდა), ზ. ჭელიძე (მეტალურგი),** სიჭინავა (კოლხეთი, ფ) | 1 ივნისიდან - ქუთაისში<br>**იმერეთის ნაკრები - 5:3, 6:1**<br>16 ივნისიდან - ავსტრიაში<br>**შკენდერბეუ (ალბანეთი) 0:2, სტიაუა (რუმინეთი) 0:0, მახტარი (უკრაინა) 1:2**<br>ევროპის ლიგა<br>**აქტობე (ყაზახეთი) 1:1** |
| **დინამო** **დუშან უჭრინი (იმპროსი)** | **თომაშვილი (დილა), გრიშიკაშვილი (კარიერა დაასრულა), ჰომოლა (?), ლომიძე (?), კოშკაძე (ბაია), ოდიკაძე (ჩიხურა), ხიზანეიშვილი (?), გოგუა (დილა, იჯარით)** | **დუშან უჭრინი (მთ, მნვრთნელი) თარხნიშვილი (ტორპედო), სეთურიძე (მეტალურგი), ლეკვთაძე (დილა, იჯარა დაუმთავრდა), ჩაფიძე, გაბაშვილი (სპარტაკი, იჯარა დაუმთავრდათ),** გლიშჩრი (მაკედონია), ვოსკობოინიკოვი (ესტონეთი) | 24 ივნისიდან - თბილისში<br>**ვიტ ჯორჯია 0:0, სპარტაკი 7:0**<br>5 ივლისიდან - ბაკურიანში |
| **დილა** **თემურ შალამბერიძე** | **ლეკვთაძე (დინამო, იჯარა დაუმთავრდა),** პ. ხორგუამეილი (?), ნ. ნოზაძე (ჩიხურა), ჯიქია (?), ქარქუზაშვილი (?), გოგინაშვილი (?) | **გოგუა (დინამო, იჯარით), შ. გრიგალაშვილი (ზესტაფონი), თომაშვილი (დინამო), გ. ონიანი (ზესტაფონი), შაშიაშვილი (ერგოტელისი, საბერძნეთი), დ. კვირკველია (ანორთოსისი, კვიპროსი), მოდებაძე (მეტალურგი), გორელიშვილი (რუბინი, დუბლი),** ნ. ჯიშკარიანი (გაგრა), გვალია (კოლხეთი ფ), კაციტაძე (სიონი), მამუჩიშვილი (სპარტაკი), აბურჯანია | 7 ივნისიდან - თბილისში<br>15 ივნისიდან - ავსტრიაში<br>**სარაევო (ბოსნია) 1:3, ჩერნომორეცი (უკრაინა) 1:2, ჰარტბერგი (ავსტრია) 3:0, ჩაჰლაული (რუმინეთი) 1:2**<br>2 ივლისიდან - თბილისში<br>**სპარტაკი 2:2** |
| **კოლხეთი** **დავით მახარაძე** | **ტულუში (ტორპედო), ლომაშვილი (ჩიხურა),** სიჭინავა (ტორპედო), გვალია (დილა), ბოიომო (ბაია), წურწუმია (?), ნადირაშვილი (ბაია), პ. დათუნაიშვილი (ჩიხურა) | შ. კვანტალიანი (გაგრა), იობაშვილი, ჩალაძე (ორივე - მერანი) | 25 ივნისიდან |
| **მერანი** **მალხაზ ჟვანია** | **ე. გრიგალაშვილი (ტორპედო), მანწკავა (ულისი, სომხეთი), სუხიაშვილი, კაკუშაძე (ორივე - მეტალურგი), იობაშვილი, ჩალაძე (ორივე კოლხეთი), ტაპე (?),** დიდავა (?), ბოხუა (?), გ. შენგელია, კაკულია (ბათუმი) | ს. ლომია (ზესტაფონი), ნ. ნოზაძე (დილა), კვერენჩხილაძე (გურია), ც. ბუკია (კოლხეთი, ხ), მჭედლიშვილი (ლოკომოტივი) | 25 ივნისიდან - მარტვილში |
| **სიონი** **ხვიჩა ქასრაშვილი** | კაციტაძე (დილა), დ. ბოლქვაძე (ბაია), ს. ლომია (იჯარა დაუმთავრდა) | **ჭანკოტაძე (ზესტაფონი, იჯარით),** ორბელაძე (სპარტაკი), მაჭავარიანი (?) | 25 ივნისიდან - ბოლნისში<br>**ზოოვეტი 4:3**<br>**ვიტ ჯორჯია 1:1** |
| **ვიტ ჯორჯია** **მერაბ კოჭლაშვილი** | გ. ჯანელიძე (ისრაელი) | ტეტუნაშვილი (სპარტაკი), ლიბრაძე (მეშახტე) | 15 ივნისიდან - მცხეთაში<br>**დინამო 0:0**<br>**სიონი 1:1** |
| **ზუგდიდი** **ელგუჯა ქომეთიანი** | სიხარულია (?), **სომხიშვილი (ჩიხურა),** ტყებუჩავა (ჩიხურა) | **ო. გაბელია (მწვრთნელი - კონსულტანტი),** რ. ონიანი (გურია), ბოიომო (კოლხეთი, ფ), ფიფია (ჩიხურა), დ. ბოლქვაძე (სიონი), ს. თოდუა (მეტალურგი), ნადირაშვილი (კოლხეთი, ფ), ძაგანია (სპარტაკი), კოშკაძე (დინამო) | 29 ივნისიდან - ზუგდიდში |
| **ჩიხურა** **სოსო ფრუიძე** | **თევდორაძე (ინტერი, აზერბაიჯანი),** ფიფია (ბაია), ლილუაშვილი (?), იაშვილი (?), ლ. ნოზაძე (?), ტუხაშვილი (?), | **სომხიშვილი (ბაია), გაგა ჩხეტიანი (ისრაელი),** ტყებუჩავა (ბაია), ოდიკაძე (დინამო), ლომაშვილი (კოლხეთი, ფ.), ხარაბაძე (მეშახტე), გოგიშვილი (სამტრედია), ი. ლომიძე (დილა), მ. ალავიძე (ბათუმი), პ. დათუნაიშვილი (კოლხეთი, ფ.), ნ. მაისურაძე (სპარტაკი), ა. შენგელია (ლოკომოტივი), მურველაშვილი (?) ადამია (?) | 17 ივნისიდან - საჩხერეში<br>28 ივნისიდან - ურეკში<br>**ბათუმი 3:0** |
| **ბათუმი** **გია გურული** | კაჭკაჭიშვილი (ზესტაფონი), მ. ალავიძე (ჩიხურა) | ბალაძე, კაკულია (მერანი), გელაჭიშვილი (კოლხეთი, ფ), კილაძე (გურია) | 25 ივნისიდან - ურეკში<br>**მერცხალი 6:1**<br>**ჩიხურა 0:3** |

**შენიშვნა:** *მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ზურა არველაძე

## ფრაგმენტები ზოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეინჯერსი – აგენტი 007

გაგრძელება. დასაწყისი: **„ლელო“ N 110 (13716)**

**- რონალდ დე ბური, კლაუდიო კანიჯა, არტურ ნიუმანი, კლაუდიო რეინა, მაიკლ მოლსი, ტორე ანდრე ფლო, ბარი ფერგიუსონი, ლორენცი ამორუზო, შტეფან კლოსი, კრისტიან ნერლინგერი, გრეკ მორი, ანდრეი კანჩელსკისი, -** „აიაქსის“ მსგავსად, აქაც დიდებული თანაგუნდელები მყავდნენ.

ჩემი დებიუტი „რეინჯერსში“, - სათასო მატჩში, ერთ-ერთ ქვედალიგელთან შედგა და ორი გოლი გავიტანე. პირველი გოლი მართლაც ეფექტური გამოდგა, მეორე გოლის შემდეგ კი მართლმადიდებლურად გადავიწერე პირჯვარი. როგორც კი პირველი ტაიმი დასრულდა, **დიკ ადვოკაატმა** მითხრა, ასეთი რამ აღარ გააკეთო, ამით გულშემატკივარი ძალიან ღიზიანდებაო.

ადვოკაატის მწვრთნელობისას „რეინჯერსი“ ბრიტანულ სტილში არ თამაშობდა. ასე ვთქვათ, „უფრო ფეხბურთს“ თამაშობდა, ვიდრე, მაგალითად, „სელტიკი“. ადვოკაატს ცივი გონება აქვს, უყვარს დისციპლინა და არ უყვარს ტაქტიკის შეცვლა. თითქმის ყველა მეტოქეს ერთი და იგივე სქემით ვეთამაშებოდით. თან, ძალიან სიტყვაძუნწნი აღმოჩნდა.

მწვრთნელი მენდობოდა და, როცა ფეხბურთელი ამას გრძნობს, თამაში უადვილდება. „რეინჯერსში“ სხვადასხვა სტილის ფორვარდებმა მოვიყარეთ თავი: კანიჯა, მოლსი, ლოვენკრანდსი, „ჩელსიდან“ - თორმეტ მილიონ გირვანქად შეძენილი ფლო, მაგრამ გოლის გატანაში ყველას ვჯობდი და ადვოკაატიც ბევრს არ ფიქრობდა, თუ ჯანზე ვიყავი, ყოველთვის მათამაშებდა.

„რეინჯერსში“ ჩემი მისვლიდან რამდენიმე თვეში გუნდის მწვრთნელი შეიცვალა, მის ნაცვლად **ალექს მაკლიში** მოვიდა. მაკლიშმა ადვოკაატის საყვარელი სქემა შეცვალა, რაც უფრო ეფექტური გამოდგა გუნდისთვის, თუმცა ეს არ იყო მთავარი განსხვავება ამ მწვრთნელებს შორის. მაკლიში ტიპიური შოტლანდიელია, იუმორით სავსე, მომუსაიფე, ვარჯიშისას ფეხბურთელებს სულ გველაპარაკებოდა, მაგრამ თითქოს, საკუთარ თავში ბოლომდე არ იყო დარწმუნებული. ხშირად ცვლიდა თავისსავე გადაწყვეტილებებს, ანგარიშს უწევდა გულშემატკივართა მოთხოვნებს. ადვოკაატისგან განსხვავებით, მას არ ჰქონდა პრობლემები მედიასთან, რაც დიდ გუნდში მომუშავე მწვრთნელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეეძლო, მისით უკმაყოფილო ფეხბურთელებთან საერთო ენა გამოენახა და დაერწმუნებინა ისინი, რომ გუნდისთვის საჭირო მოთამაშეები არიან. ერთი სიტყვით, მაკლიში ძალიან კომუნიკაბელური აღმოჩნდა. ეს თვისება კი ნებისმიერი მწვრთნელისთვის აუცილებელია.

მისი მწვრთნელობისას მომიწია პირველად „ოლდ ფორმში“ თამაში, „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ დიდი დაპირისპირება. აიბროქსელობა განსაკუთრებული შეგრძნებაა და იმ არაჩვეულებრივ ატმოსფეროს, რაც „რეინჯერსში“ იყო, „სელტიკთან“ დაპირისპირება კიდევ უფრო ამძაფრებდა. „რეინჯერსის“ გულშემატკივრები მიხსნიდნენ, - რას ნიშნავს მათთვის „რეინჯერსი“, როდის იყვნენ პირველად „ოლდ ფორმზე“, და ასეთი საუბრებისას შენც ძალაუნებურად იმავე სენით ავადდები. რაც დრო გადის, ეს ავადმყოფობა უფრო ძლიერდება, უღრმავდები ყველაფერს და უფრო გიყვარდება. „რეინჯერსში“ ცდილობენ შეგაძულონ „სელტიკი“, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ „სელტიკი“ მეზიზღებოდა, მხოლოდ იმაში ვრწმუნდებოდი, რომ „რეინჯერსზე“ ვიყავი შეყვარებული.

„აიაქსში“ თამაშის დროს „სელტიკისთვის“ უკვე გატანილი მქონდა გოლი. პირველ „რეინჯერსულ“ სეზონში კი ეს ვერ მოვახერხე და „სელტიკთან“ თამაშებშიც ვერ გამოვიჩინე თავი ისე, როგორც მინდოდა. ლიგის თასის ფინალში 1:1 იყო, მატჩის დასრულებას ორი წუთი აკლდა, - თერთმეტმეტრიანი მოვიპოვეთ, ბურთთან მივედი და... ხარიხას გავარტყი!.. დამატებით დროში **კონტერმანმა** შორეული დარტყმით გატეხა „სელტიკი“ და 2:1-ით გავიმარჯვეთ. ალბათ ესეც ჩემი ბედი იყო. რომ დავმარცხებულიყავით, ყველა მე დამადანაშაულებდა და მართლებიც იქნებოდნენ. ფანებმა მალე დაივიწყეს გაფუჭებული პენალტი და ყველა ერთად „სელტიკის“ დამარცხებას ვზეიმობდით.

2001-2002 წლების სეზონში „რეინჯერსმა“ ასოციაციის და ლიგის თასი მოიგო, მაგრამ შოტლანდიის ჩემპიონი ვერ გახდა. 25 მატჩში 18 გოლი გავიტანე, რაც ცუდი შედეგი არ იყო, მაგრამ უფრო მეტი შემეძლო და საკუთარი თავისგან მეტს ველოდი.

ერთი სეზონი საკმარისი აღმოჩნდა, ბრიტანულ ფეხბურთთან, გლაზგოურ ცხოვრებასთან და „რეინჯერსთან“ სრული ადაპტაციისთვის. როგორც ყველა გუნდში, ჩვენთანაც იყო პატარ-პატარა ინტრიგები და ფეხბურთელების ჯგუფ-ჯგუფად დაყოფა, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. მაგალითად, გუნდში ხუთი ჰოლანდიელი ფეხბურთელი იყო, დაყოფა ასაკის მიხედვითაც ხდებოდა. ახალგაზრდები და „ბებრები“, ზოგი ბევრს სვამდა, ზოგს ცოლი მარტო არსად უშვებდა, ზოგი მარტო ცხოვრობდა და მის სასიყვარულო ისტორიებს გაზეთებიდან ვიგებდით. ამ ყველაფერში, ალბათ, განსაკუთრებული არც არაფერი იყო. რაც მთავარია, ჩვენი შიდა სამზარეულო, რასაც ??-ს ეძახიან, კარგი იყო. ანუ „რეინჯერსს“ ყველაფერი წესრიგში ჰქონდა და ვარჯიშებზეც ყველა ფეხბურთელი თავს იკლავდა.

გლაზგო ძალიან შეგვიყვარდა, მთელი ოჯახი ბედნიერნი ვიყავით... **გიორგუნას** ბევრი ამხანაგი გაუჩნდა და მალე ნამდვილი შოტლანდიელი გახდა თავისი აქცენტით, რომლითაც ასე განსხვავდებიან შოტლანდიელები დანარჩენი ბრიტანელებისგან.

ჯერ კიდევ „აიაქსში“ დაძმაკაცებულ **რონალდ დე ბურს** უფრო დავუახლოვდი. განსხვავებული მენტალიტეტი, ცხოვრების განსხვავებული წესები... მიუხედავად ამისა, ის ჩემი ნამდვილი მეგობარია. ამ ჰოლანდიელმა დამანახა, რომ ის ნაღდი ძმაკაცია, მართალი, პირდაპირი და გულიანი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სამშობლოდან ძალიან შორს, ოცდაათი წლის ასაკში, ისეთი მეგობარი შევიძინე, რომელსაც შემიძლია ვენდო. რონალდთან დიდხანს მომიწია თამაში. მასთან ჩემი ევროპული კარიერის დიდი ნაწილი გავატარე და ერთად ბევრი ძლიერი მცველი და მეკარე დავძლიეთ. მისგან ბევრი რამ ვისწავლე, საგოლე პასებში მისი მევალეც ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მეც მისთვის კარგი თანაგუნდელი და პარტნიორი ვიყავი.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

პაველ პოგრებნიაკი

## რედინგმა პოგრებნიაკი შეიძინა

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘᲒᲘᲡ დებიუტანტმა "რედინგმა" რუსეთის ნაკრების თავდამსხმელთან, 28 წლის **პაველ პოგრებნიაკთან** 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც ის კვირაში 65 ათას ფუნტს მიიღებს. ტრანსფერის ინიციატორი კლუბის რუსი მესაკუთრე **ანტონ ზინგარევიჩია**. ბოლო 6 თვე პოგრებნიაკმა "ფულჰემში" გაატარა, სადაც 12 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა, მაგრამ ლონდონურმა კლუბმა ვერ მოახერხა მისი შენარჩუნება - "რედინგმა" ფეხბურთელს ბევრად უფრო სოლიდური ანაზღაურება შესთავაზა.

## ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔ

"ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲡᲘᲢᲘᲡ" 20 წლის შვედმა თავდამსხმელმა **იონ გვიდეტიმ** შარშანდელი სეზონი "ფეიენოორდში" გაატარა, სადაც 23 თამაშში 20 გოლის გატანა შეძლო. ახალგაზრდა ფეხბურთელმა შემდეგ ტრავმა მიიღო, რის გამოც ის "ტრე კრუნურს" კონტინენტის ჩემპიონატზე დააკლდა. გვიდეტი რა ხანია გამოჯანმრთელდა და ახალ კლუბს ეძებს, რადგან ცხადია, რომ "ქალაქელთა" რიგებში მას სათამაშო პრაქტიკა არ ექნება. იტალიური პრესა ცოტა ხნის წინ წერდა, რომ მისი ერთნლიანი იჯარით წაყვანა "ფიორენტინას" სურდა, მაგრამ იტალიაში წასვლა საბოლოოდ თავად ფეხბურთელმა იუარა. "სიტი" ახლა "ნიუკასლისა" და "სანდერლენდის" წინადადებებს იხილავს. პრემიერლიგელებს გვიდეტის შეძენა სურთ. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ ისინი შვედის იჯარითაც დაკმაყოფილდებიან.

## ᲕᲣᲓᲖᲘᲔᲒᲘ ᲛᲘᲓᲚᲡᲑᲠᲝᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

1998 ᲬᲚᲘᲡ, როცა **ჯონათან ვუდგეიტი** დიდ ფეხბურთში გამოჩნდა, მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ნერდნენ, რომ სწორედ მას უნდა შეეცვალა ეროვნულ ნაკრებში ლეგენდარული **ტონი ადამსი**. "ლიდსის" შემდეგ მან კარიერა "ნიუკასლში" განაგრძო, სადაც დაიწყო კიდეც მისი უიღბლობათა სერია. "კაჭკაჭების" შემადგენლობაში მან მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო, თუმცა ამის მიუხედავად მადრიდის "რეალმა" გარისკა და ვუდგეიტი მაინც შეიძინა. სამეფო კლუბში მას კარიერა არა და არ აეწყო. ჯონათანი "მიდლსბროში" გადავიდა, შემდეგ "ტოტენჰემს" მიაშურა. უკანასკნელი სეზონი მან "სტოკ სიტიში" გაატარა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერა და ვერ მოიპოვა. 32 წლის ფეხბურთელმა "რივერსაიდზე" დაბრუნება გადაწყვიტა. ის უკვე შეხვდა "მიდლსბროს" თავკაც **ტონი მოუბრეის**. შესაძლოა, მან ძველ-ახალ გუნდთან 3-წლიანი ხელშეკრულება ამ უქმეებზეც კი გააფორმოს.

## ᲛᲝᲘᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲔᲠᲗᲘᲣᲚᲝᲑᲡ

"ᲔᲕᲔᲠᲢᲝᲜᲘᲡᲐᲜ" **დევიდ მოიესის** კონტრაქტს ვადა 2013 წლის ივნისის ბოლოს გასდის და ამის მიუხედავად, მოლაპარაკება მხარეთა შორის ჯერ არ დაწყებულა. შოტლანდიელი აცხადებს, რომ არსადაც არ ეჩქარება, რადგან დარწმუნებულია, რომ აუცილებლად დარჩება "გუდისონ პარკზე". მერსისაიდულ კლუბში ის 2002 წლიდან მოღვაწეობს და, ფინანსური პრობლემებისა თუ ფეხბურთელთა გამუდმებული მიგრაციის მიუხედავად, წარმატებით ახერხებს გუნდის გაძლოლას. 49 წლის სპეციალისტის კვალიფიკაციაში ყველა დარწმუნებულია. სწორედ ამიტომ არის, რომ მას ყველა იმ ამბიციური გუნდის მწვრთნელობის პრეტენდენტად ასახელებენ, სადაც კი სამწვრთნელო ვაკანსია ჩნდება.

## ᲛᲝᲖᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲩᲔᲚᲡᲘ

"ᲩᲔᲚᲡᲘ" ნიგერიელი **ვიქტორ მოზესის** ტრანსფერზე ხელის ჩაქნევას არ აპირებს და მზადაა, უიგანელის სანაცვლოდ 9 მილიონი ევრო გადაიხადოს და პლუს ბონუსების სახით, ორი წლის განმავლობაში, დამატებით 3 მილიონიც გაიღოს. ლონდონელებს იმედი აქვთ, რომ საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. "უიგანის" პრეზიდენტ **დეივ უილანს** პირველი შეთავაზება, 6 მილიონი ევრო, სასაცილოდ არ ეყო. 12 მილიონის ხათრით კი, წესით, 21 წლის ფეხბურთელის გაშვებას უნდა დათანხმდეს. მით უფრო, რომ ფეხბურთელი ერთ წელიწადში თავისუფალი აგენტი გახდება. თავად მოზესი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ გუნდში თამაშის პერსპექტივით აღფრთოვანებულია.

## ᲛᲔᲜᲔᲖᲔᲨᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მანო მენეზეშმა** ის 18 ფეხბურთელი დაასახელა, რომელსაც ის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე იახლებს თან. "პენტაკამპეონთა" განაცხადი შთამბეჭდავად გამოიყურება.

**მეკარეები**: ნეტო (ფიორენტინა), რაფაელ კაბრალი (სანტოსი)

**მცველები**: დანილო (პორტუ), რაფაელ და სილვა (მანჩესტერ იუნაიტედი), ალექს სანდრო (პორტუ), მარსელო (რეალი), ტიაგო სილვა (მილანი), ბრუნო უვინი (სან პაულო), ჟუანი (ინტერი)

**ნახევარმცველები**: სანდრო რანიერი (ტოტენჰემი), რომულო (სპარტაკი), ოსკარი (ინტერნასიონალი), პაულუ ენრიკე განსო (სანტოსი)

**თავდამსხმელები**: ალეშანდრო პატო, ნეიმარი (სანტოსი), ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), ჰალკი (პორტუ)

## ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘ 20 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲘᲮᲓᲘᲡ

"ᲢᲐᲘᲛᲡᲘᲡ" ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ, "წითელი ეშმაკები" მზად არიან, "პორტუს" **ჟოაუ მოუტინიოს** ტრანსფერში 20 მილიონი ფუნტი (25,16 მლნ ევრო) გადაუხადონ. პორტუგალიელები თავის მხრივ 26 მილიონს (32,71 მლნ ევრო) ითხოვენ. მოლაპარაკებები რამდენიმე დღის დაწყებულია, ასე რომ, როდის შეთანხმდებიან მხარეები და შეთანხმდებიან თუ არა საერთოდ, ამის წინასწარ თქმა ძალიან ძნელია.

პარი სენ ჟერმენი

# მესამე იტალიელი პარიზში

## პსჟ ალარ ხუმრობს

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ იმისა, რომ წინა დღეებში იტალიური კლუბის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფდნენ, "პარი სენ ჟერმენი" და "პესკარა" საბოლოოდ შეთანხმდნენ 19 წლის ცენტრალური ნახევარმცველის **მარკო ვერატის** ტრანსფერზე. "კორიერე დელო სპორტის" მტკიცებით, "ლურჯწითლებს" გარიგება 11 მილიონი ევრო (პლუს 3 მილიონი ბონუსებით) დაუჯდებათ. ნიჭიერი ფეხბურთელის გადაბირებას იტალიური გრანდები "ნაპოლი" და "იუვენტუსიც" გეგმავდნენ, მაგრამ თანამემამულეთა შეთავაზებებზე აბრუცოელებმა უარი თქვეს. კომენტარი ამ გარიგებაზე "დელფინების" პრეზიდენტმა **დანიელე სებასტიანიმ** "რადიო სპორტივას" ეთერში გააკეთა: *"პარი სენ ჟერმენის" წარმომადგენლები დიდხანს ადევნებდნენ თვალს ჩვენი ფეხბურთელის თამაშს. ძალიან გვინდოდა, რომ ვერატი მინიმუმ ერთი წლით კიდევ შეგვენარჩუნებინა, რადგან გვგონია, რომ მისი წასვლა ჩვენგან ჯერ ძალიან ადრეა, თუმცა რას ვიზამთ? კლუბი თანახმაა. პარიზელებს ისლა დარჩენიათ, მარკოს პირადი კონტრაქტის დეტალებზე შეუთანხმდნენ. ახლა ყველაფერი მხოლოდ მის სურვილზეა დამოკიდებული. სიმართლე ითქვას, გვერჩივნა რომელიმე იტალიურ კლუბს შევთანხმებოდით. მარკოს არასოდეს უთქვამს, რომ კონკრეტულად "იუვენტუსში" გადასვლა სურდა. ეს მხოლოდ ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფია".* "ეკიპის" ინფორმაციით პსჟ ვერატის 5-წლიან კონტრაქტს და წელიწადში 1,5 მილიონ ევროს სთავაზობს, რაც 4-ჯერ მეტია იმ ხელფასზე, რასაც მას "პესკარაში" უხდიდნენ.



მარკო ვერატი

ტოტენჰემი

# ვან დერ ვაარტი მიდის

## სამაგიეროდ, მოდრიჩი რჩება

ვილაშ ბოაშმა ვან დერ ვაარტი გასაყიდად გაიმეტა

"ᲓᲔᲘᲚᲘ ᲛᲔᲘᲚᲘᲡ" ცნობით, "ტოტენჰემი" **ლუკა მოდრიჩს** აღარ გაყიდის, მაგრამ მზადაა, **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ტრანსფერზე მსურველებთან მოლაპარაკებები დაიწყოს. 29 წლის ჰოლანდიელის გადაბირება გერმანულ კლუბებს "შალკესა" და "ჰამბურგს" სურთ. გელზენკირხენელები მზად არიან ლონდონელთა მოთხოვნა დააკმაყოფილონ და 10 მილიონი ფუნტი (12,55 მლნ ევრო) გადაიხადონ. HSV კი ვაჭრობას გეგმავს.

უკვე ვწერდით, რომ ჩრდილოლონდონელები შემადგენლობის სერიოზულად გადახალისებას აპირებენ. **ანდრე ვილაშ ბოაშს** "ბირმინგემიდან" 19 წლის **ჯეკ ბუტლანდის** გადაბირება აქვს განზრახული. ჩემპიონშიპის წარმომადგენლებმა "საუთჰემპტონს" უკვე უთხრეს უარი 6 მილიონ ფუნტად მეკარის მიყიდვაზე. "ტოტენჰემი" მზადაა, აღნიშნული თანხა გადაიხადოს და ჯეკი ერთწლიანი იჯარით "სენტ ენდრიუსზევე" დააბრუნოს. პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ "უაით ჰართ ლეინზე" განაგრძობს კარიერას "მანჩესტერ იუნაიტედის" აკადემიის აღზრდილი, 19 წლის მარცხენა მცველი **ეზეკილ ფრაიერსი**. მართალია, ფეხბურთელმა "ეშმაკების" შეთავაზებაზე უარი თქვა და თავისუფალი აგენტის სტატუსი მოიპოვა, მაგრამ რაკი ის მანჩესტერშია დაფრთიანებული, "იუნაიტედი" კომპენსაციის სახით 6 მილიონ ფუნტს ითხოვს. "ტოტენჰემი" კი მხოლოდ 2 მილიონს იმეტებს. ფრაიერსის კომპენსაციის ოდენობას ფიფას სპეციალური ორგანო განსაზღვრავს.

გვერდი მოამზადა
**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ**

● აიაქსი

# ფულისთვის თამაშობ? წადი!

## ვერტონგენიც ტოტენჰემში წავიდა

იოჰან კრუიფი აიაქსის ფინანსურ პოლიტიკას მხარს უჭერს

ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა **იოჰან კრუიფმა** "აიაქსის" ხელმძღვანელობის მიერ ბოლო წლებში გატარებულ ფინანსურ პოლიტიკას მხარი დაუჭირა. ამსტერდამული გრანდი ბოლო წლებია, უფრო მდიდარი ევროპული კლუბებისთვის ფეხბურთელების მიმწოდებლად გადაიქცა. მართალია, ამის წყალობით ისინი დიდი ხნის განმავლობაში კრიზისში იყვნენ, მაგრამ მთავარ მწვრთნელად **ფრანკ დე ბურის** დანიშვნის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა. "აიაქსმა" ერედივიზიეს ბოლო ორი გათამაშება მოიგო. შარშან ამსტერდამელები პრაქტიკულად მთელი სეზონის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ, მაგრამ სეზონის ბოლოს "კუდი მოიქნიეს" და ტრადიციული მეტოქეები "ფეიენოორდი" და პსვ, შესაბამისად, 6 და 7 ქულით ჩამოიტოვეს. ქვეყნის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივა ფეხბურთელებს "ამსტერდამ არენიდან" გაქცევაში ხელს არ უშლის, თუნდაც ისეთ კლუბებში, რომლებიც ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში არ ასპარეზობენ. ამისი ნათელი მაგალითია კაპიტანი **იან ვერტონგენი**. ბელგიელი ცენტრალური მცველი რამდენიმე თვეა, "ტოტენჰემში" გადასვლას ცდილობს, მაგრამ "დეზები" ჰოლანდიელთა მიერ მოთხოვნილი საკომპენსაციო თანხის გადახდაზე უარს არიან. კრუიფი ფეხბურთელთა გამუდმებულ მიგრაციაში პრობლემას ვერ ხედავს. აი, რას ამბობს "მფრინავი ჰოლანდიელი": *"ძალიანაც კარგია, რომ "აიაქსი" მკაცრ ფინანსურ პოლიტიკას ატარებს. ღირსების გრძნობა ჩვენი კლუბის საფუძველთა საფუძველია. ახალი ფეხბურთელები, რომლებიც იქ სათამაშოდ მიდიან, წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ ამის შესახებ. თუკი ვინმეს მხოლოდ ხელფასისთვის სურს თამაში, მაშინ სხვა კლუბს უნდა მიაშუროს. მეჩვენება, რომ ფრანკ დე ბური მკაცრად ცდილობს ამ წესების დაცვას".*

### ძველი პლეადა თავს იყრის - ოვერმარსს გუნდში ბერხკამპი და იონკი დახვდებიან

უახლოეს ხანებში "აიაქსს" სრული კონტრაქტით შეუერთდება მისი ყოფილი ვარსკვლავი **მარკ ოვერმარსი**. ის ასაკობრივ გუნდებთან შარშანაც მუშაობდა, მაგრამ ეს კვირაში მხოლოდ ერთხელ ხდებოდა, რადგან ძირითადი დატვირთვა მას ქვედალიგელ "გოუ ეჰედ იგლზში" ჰქონდა. ოვერმარსს ქვედა დივიზიონის წარმომადგენელთან კონტრაქტი დაუმთავრდა. "აიაქსმა" მარკს თანამშრომლობა უკვე შესთავაზა. კლუბში მას ძველი თანაგუნდელებისგან დე ბურის გარდა **დენის ბერხკამპი** და **ვიმ იონკიც** დახვდებიან.

**P.S** გუშინ ცნობილი გახდა, რომ "აიაქსსა" და "ტოტენჰემს" შორის გარიგება იან ვერტონგენის ტრანსფერთან დაკავშირებით როგორც იქნა შედგა. "დეზებს" 25 წლის ფეხბურთელის გადაბირება 8 მილიონი ევრო დაუჯდათ. საქმეს წერტილი მას მერე დაესმება, რაც ფეხბურთელი პირად ხელშეკრულებას მოაწერს ხელს.

● ინგლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სილვას ახალი კონტრაქტი

"მანჩესტერ სიტის" 26 წლის პლეიმეიკერმა **დავიდ სილვამ**, შესაძლოა, კლუბთან ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტი გააფორმოს მიუხედავად იმისა, რომ მოქმედში ორი წელი კიდევ დარჩა. ფეხბურთელმა უკვე დაადასტურა, რომ მისი აგენტი მოლაპარაკებათა პროცესში უკვე ჩაერთო. აი, რა უთხრა ფეხბურთელმა "დეილი სტარის" კორესპონდენტს: *"სიტი" ჩემთვის ის სახლია, სადაც ყველაფერი მომწონს. ჩემს გონებაში ფიქრები მხოლოდ ამ კლუბს ეხება და არა მადრიდის "რეალს". მადლობელი ვარ ამ მიღებული გამოცდილების გამო. რობერტო მანჩინის წყალობით ყოველ საფეხბურთო კომპონენტში მოვუმატე. "ვალენსიიდან" როცა მივდიოდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ დონეზე შეეძლებდი თამაშს".* შეგახსენებთ, რომ "რეალი" მის გადაბირებას უკვე რამდენიმე თვეა ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის.

## ბირმინგემს ემბარგო მოუხსნეს

ინგლისის ჩემპიონშიპის "ბირმინგემს" საფეხბურთო ლიგამ სატრანსფერო ემბარგო მოუხსნა. თავის დროზე აკრძალვის მიზეზი ის გახდა, რომ კლუბი რამდენიმე თვის განმავლობაში კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ვერ ახერხებდა. თავის მხრივ ფინანსური კრიზისი კლუბის პრეზიდენტისა და მესაკუთრის **კარსონ იუნგის** დაკავების მიზეზი გახდა. სამართალდამცავებმა მას ფულის გათეთრების ბრალდება წაუყენეს. თუმცა "ბირმინგემმა" შეძლო ფინანსების მონახვა და დაგროვილი ვალების გადახდის შემდეგ ლიგამ მას ხელფეხი გაუხსნა. კაპიტანმა **სტივენ კარმა** ამით უმალ ისარგებლა და კლუბთან ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ბექჰემი დისკვალიფიცირებულია




"ლოს ანჯელეს გალაქსის" ვეტერანი ინგლისელი ნახევარმცველი **დევიდ ბექჰემი** ამერიკის ფეხბურთის ლიგამ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. 37 წლის ფეხბურთელის პროვოკაციულმა ქმედებამ მის თანაგუნდელებსა და "სან ხოსე ერსქუიკსის" მოთამაშეებს შორის კინაღამ დიდი ჩხუბი გამოინია. ლოსანჯელესელები მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 3:4-ს აგებდნენ, როცა მასპინძელთა მცველი **სემ კრონინი** აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზების გამო მეკარის საჯარიმოში მიწას განერთხა და დაზარალებულის როლის თამაში დაიწყო. აუტის ხაზთან მდგარი ბექჰემი ამან ძალიან გააღიზიანა, ბურთი პირდაპირ მას დაუმიზნა და რასაკვირველია, გაარტყა. "ტკივილების მიუხედავად" კრონინი სასწრაფოდ წამოხტა და საჩხუბრად გაიწია. სიტუაცია მალევე ჩაწყნარდა. მთავარმა არბიტრმა ინგლისელს ყვითელი ბარათი უჩვენა.

## დემბა ბა უარყოფს

"ნიუკასლის" 27 წლის სენეგალელმა თავდამსხმელმა **დემბა ბამ** "ტვიტერზე" უარყო ხმები, თითქოს ის "მანჩესტერ იუნაიტედის", "ლივერპულისა" და "გალათასარაის" წინადადებებს იხილავდეს. ბა ვიღაცისთვის შესაძლოა მართლა ითვლებოდეს გემრიელ და იაფ ლუკმად. დიახ, პრემიერლიგაში 16 გოლის გამტანი ფეხბურთელის გადაბირება 7 მილიონ ფუნტად შეიძლება. ეს პუნქტი მას კონტრაქტით აქვს განსაზღვრული.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**




● არსენალი



არსენალის მარკეტინგის დირექტორი მარკუს კინეარი

# არსენალი ნიგერიაში აღარ წავა

## შესაძლოა, ვენგერს გუნდი ხუხულასავით დაეშალოს

5 აგვისტოს ნიგერიის დედაქალაქ აბიჯანში ადგილობრივი ნაკრებისა და "არსენალის" ამხანაგური მატჩი იყო დაგეგმილი, თუმცა ის აღარ გაიმართება. უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში აფრიკაში ლონდონელთა პირველი ვიზიტის გადადების მიზეზი ქვეყანაში რადიკალ ისლამისტთა დაჯგუფებებს შორის მომხდარი სისხლიანი შეტაკება გახდა. ლონდონელები აცხადებენ, რომ თუკი ყველაფერი რიგზე იქნა, ეს მატჩი, შესაძლოა, ერთი წლის შემდეგ გაიმართოს. აი, რას აცხადებს ლონდონელთა მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი **მარკუს კინეარი**: *"ტოპკლუბის საერთაშორისო ბაზარზე გასვლა ყოველთვის რთულია და ლოგიკური ნაბიჯების მთელ ჯაჭვს მოითხოვს. აგვისტოს პირველ რიცხვებში ნიგერიაში დაგეგმილ შეხვედრაზე იმის თქმა შემიძლია, რომ ადგილზე ჩვენი დელეგაციისთვის არათუ კომფორტული პირობების შექმნა, არამედ ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი კლუბის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ასე რომ, ამ ეტაპზე ვიზიტი გავაუქმეთ. "არსენალს" აფრიკის მთელ კონტინენტზე ძალიან ბევრი თავგადაკლული გულშემატკივარი ჰყავს და ძალიან ვწუხვართ, რომ მათ ამ ზაფხულზე ვერ შეეხვდებით. თუმცა ნიგერიასთან ჩვენ ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ვალდებულებები გვაქვს აღებული. ვიზიტს ამ ქვეყანაში მომავალ წელს ვგეგმავთ. პარალელურად, ნიგერიაში უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩვენს ბიზნესპარტნიორებთან, "ემირიტსთან", "ეარტელსა" და "მალტა გინესთან" ერთად რამდენიმე საინტერესო ღონისძიებას ვგეგმავთ".*

### ვან პერსის ნაკვალევზე

"არსენალის" 23 წლის ნახევარმცველმა **ტეო უოლკოტმა** განაცხადა, რომ **რობინ ვან პერსის** გადაწყვეტილების შემდეგ, კლუბთან თანამშრომლობა აღარ გაგრძელოს, ის თავადაც სერიოზულად დაფიქრდა "მეთოფეთა" რიგებში თავის მომავალზე და მზადაა, ჰოლანდიელის კვალად "ემირიტსი" თავადაც დატოვოს. ვან პერსისა არ იყოს, "არსენალთან" ხელშეკრულებაში უოლკოტსაც ერთი წელი აქვს დარჩენილი და მთხოვნელები არც მას აკლია. ფეხბურთელს არაერთხელ უთქვამს, რომ გუნდის ბრძოლისუნარიანობაზე დიდად იქნება დამოკიდებული მისი მომავალი. თუკი ჰოლანდიელი "არსენალიდან" ამ ზაფხულზევე წავიდა, ეჭვი ცოტას თუ ეპარება, რომ ლონდონელთა ამბიციებს ეს სერიოზულად დაარტყამს და ვერანარი **ოლივიე ჟირუსა** და **ლუკას პოდოლსკის** დამატება ამ დანაკლისს ვერ შეავსებს. "სანის" ცნობით, ტეო კონტრაქტის ბოლომდე ერთგულებასა და "არსენალიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით წასვლას გეგმავს.

# ფეხბურთის ქომაგობა ნატახტართან ერთად ევრო 2012 „თბილისის ივენთ ჰოლსა“ და „შერატონ მეტეხი პალასში“

## ნატახტარის გათამაშების გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩიდან შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ



## ქომაგობა „ივენთ ჰოლში“ „ნატახტართან“ ერთად

კომპანია „ნატახტარი“ აქტიურად ცდილობს დაეხმაროს ქართულ სპორტს, ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ის უკვე სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნული ნაკრების სპონსორია და მათ შორის, ფეხბურთისაც. თუმცა, მისი სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია “ქომაგთა კლუბის” ჩამოყალიბება, რომლის მიზანიცაა საქართველოში სპორტის გულშემტკივრების მხარდაჭერა და წახალისება, რათა ამა თუ იმ გუნდის გულშემტკივრობა სახალისო და რაც მთავარია, კარგად ორგანიზებული იყოს.

8 ივნისიდან, კომპანია „ნატახტარი“ “თბილისის ივენთ ჰოლსა” და სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასში” სასიამოვნო გარემოში ფეხბურთის გულშემტკივრებს ევროპის ჩემპიონატის ერთობლივ ყურებას სთავაზობდა.

შესვენების დროს კი იმართებოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრები და ვიქტორინები.

კომპანია „ნატახტარის“ მიერ ორგანიზებული ქომაგობის მხარდამჭერი ყველა საღამო ხმაურითა და მხიარული შეძახილებით იწყებოდა. გულშემატკივრები „ნატახტარის“ ცივი ლუდის კათხებით ხელში ელოდნენ თამაშის დაწყებას. სასიამოვნო გარემოში ცნობილი სახეებსაც შეამჩნევდით.

“თბილისის ივენთ ჰოლში” საღამო დიმა ობოლაძეს მიჰყავდა. აფორიაქებული ქომაგების ერთ ნაწილს ფურცელი და საწერი მოემარჯვებინა, – სახიფათო სიტუაციების, პირველი გოლის ავტორის, სავარაუდო მოგებულ-წაგებული გუნდის და სხვა საინტერესო მომენტების პროგნოზირებას ახდენდნენ, გამარჯვებულებს კი პრიზები ელოდათ, მათ შორის ერთი ყუთი ლუდი „ნატახტარი“.

“გარდა ამისა, მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის განმავლობაში, ჩვენი კომპანიის ინიციატივით სხვადასხვა ბარებში, რესტორნებსა თუ ლუდხანებში დამონტაჟდა ეკრანი და ყველა მსურველს შეეძლო მისვლა და მისთვის კომფორტულ გარემოში, გართობასთან ერთად უყურებინა ფეხბურთისთვის და მხარი დაეჭირა საყვარელი გუნდისთვის– განმარტავს “ნატახტარის” მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი.

გარდა ამისა, კომპანია „ნატახტარმა“ ფეხბურთის გულშემატკივრებს ევრო 2012-ის ფინალურ მატჩზე დასწრების შანსიც მისცა. ამისათვის კომპანიამ ტრადიციული გათამაშება უკრაინაში ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას დაუკავშირა. ლუდის მოყვარულებს სხვადასხვა პრიზების გარდა შეეძლოთ ფინალურიმატჩის საგზურები მოეგოთ. გათამაშებაში იყო 4 საგზური, რომელიცთამაშზე დასასწრები ბილეთების, მგზავრობის ღირებულებისა და სასტუმროს ხარჯების გარდა, ჯიბის ფულს – დღეში 100 დოლარს მოიცავდა.

ნატახტარის გათამაშების გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩიდან შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

კონსტანტინე მგალობლიშვილი, გათამაშების გამარჯვებული: “ძალიან ბედნიერი ვარ. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე დასწრების შესაძლებლობა მომეცა. კარგი იქნებოდა იტალიას გაემარჯვა და უფრო ბედნიერი ვიქნებოდი. ნატახტარმა იმდენად გამახარა და ისეთი შთაბეჭდილებების ქვეშ დამტოვა, რომ ისევ უკრაინაში ვარ.”

“ძალიან კმაყოფილი ვარ. ნატახტარმა შთაბეჭდილებებით სავსე და საინტერესო დღეები მაჩუქა. არასოდეს არაფერი მომიგია. ლუდის აქტიური მომხარებელი ვარ დაგაამართლა. ევროპის ჩემპიონატზე წასვლის სურვილი ყოველთვის მქონდა, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამ ყველაფერს ასე მოულოდნელად შევძლებდი. ძალიან გახარებული ვარ!” – გვითხრა გვითხრა მეორე გამარჯვებულმა გიორგი ანდღულაძემ.

“ძალიან კარგია როცა რაღაცას იგებ, მით უფრო ასეთ გრანდიოზულ პრიზს. ასევე დიდი შთაბეჭდილება როცა ასეთ ისტორიულ თამაშს ესწრები. ძალიან მიყვარს ლუდი, განსაკუთრებით “ნატახტარი”. ძალიან გახარებული ვარ,” - გვითხრა კიდევ ერთმა იღბლიანმაგიორგი ტალახაძემ.

ევრო 2012

ნატახტარის გათამაშების გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ. ფილიპ ლამი

# გერმანიის ნაკრების კაპიტანი: მომავლის არ მეშინია!

## გერმანელებს იტალიელების დამარცხება ხომ ისტორიულად გვიჭირს...

**ბუნდესლიგურმა** კლუბებმა ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყეს და საფეხბურთო გერმანიაც ნელ-ნელა გამოდის ევროპის ჩემპიონატზე მიღებული შოკიდან. თუმცა ფაქტია, რომ იტალიასთან განცდილი კიდევ ერთი მწარე მარცხი გერმანელებს დიდხანს ეხსომებათ, რადგან საყოველთაო მოსაზრებით ეს გერმანია მზად იყო იმისთვის, რომ ტიტული მოეგო, მაგრამ დამარცხდა გუნდთან, რომელიც ორი წლის წინანდელ მუნდიალზე შერცხვა. „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაითუნგში" გამოქვეყნდა ფილიპ ლამის ინტერვიუ, რომელშიც ბუნდესკაპიტანი იტალიასთან შეხვედრას აანალიზებს და ზოგადად ევრო 2012-ზე დაშვებულ შეცდომებზე საუბრობს.

ფილიპ ლამი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს

**- ჰერ ლამ, ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ გერმანიას იტალია ყველა ლოგიკის მიხედვით უნდა დაემარცხებინა?**

- ნაწილობრივ ვეთანხმები, მაგრამ ჩვენ ხომ ფეხბურთზე ვსაუბრობთ – სპორტის ისეთ სახეობაზე, რომელშიც ყველაფერი ლოგიკის მიხედვით არ ხდება და ამასაც რომ თავი დავანებოთ, იტალიელებს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავთ.

**- რატომ წავაგეთ „სკუადრა აძურასთან" - გერმანიის ნაკრებმა იტალია ჯეროვნად ვერ შეაფასა?**

- ეს არ არის მიზეზი, რადგან ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, რომ იტალიელების დამარცხება გაგვიჭირდებოდა. ვხვდებოდით, რომ ეს იქნებოდა მატჩი, რომლის ბედსაც ბევრი მცირე და ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალები გადაწყვეტდა. ჩვენი მარცხის მიზეზი უფრო ის იყო, რომ გარკვეულ მომენტებში ისეთი შეცდომები დავუშვით, ამ დონეზე არცერთ გუნდს რომ არ ეპატიება. ცხადია, პირველ რიგში მარიო ბალოტელის გოლების დროს დაშვებულ შეცდომებს ვგულისხმობ.

**- შეგიძლიათ, გვითხრათ და აგვიწეროთ გეგმა, რომელიც გერმანიის ნაკრებს იტალიასთან მატჩისთვის ჰქონდა მომზადებული?**

- ეს არ არის ჩემი პროგროგატივა და შესაბამისად, ვერაფერს ვიტყვი. თანაც, ერთი კონკრეტული მატჩისთვის შემუშავებულ გეგმაზე საჯაროდ საუბარი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად.

**იტალიელებთან წაგება შეცდომების ბრალია - ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ასეთი შეცდომების დაშვება არ შეიძლება!**

**- მაშინ გვითხარით, რა იყო მთავარი და გადამწყვეტი პრობლემა?**

- აკი გითხარით: უპატიებელი შეცდომები დავუშვით! იტალიელებმა კი ამით ისარგებლეს, მომენტები გამოიყენეს და პირველი ტაიმი 2:0 მოგვიგეს, რამაც მატჩის მეორე ნახევრისთვის ჩვენი მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა, თუმცა ცდა მაინც არ დავაკელით და ვფიქრობ, მეორე ტაიმში მედგრად ვიბრძოლეთ. ერთი გოლი ცოტათი ადრე რომ გაგვეტანა, დიდი შანსია, რომ მერე ანგარიშის გათანაბრებაც მოგვეხერხებინა და შესაძლოა, დღეს ევროპის ჩემპიონი არა ესპანეთი, არამედ გერმანია ყოფილიყო. ერთი სიტყვით, იტალიელებთან წაგებას შეცდომებს ვაბრალებ. ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ასეთი შეცდომების დაშვება არ შეიძლება.

**- არადა, ბუნდესგუნდმა ევრო 2012-ზე ასპარეზობა ბრწყინვალედ დაიწყო, სიკვდილის ჯგუფი ტრიუმფალურად გადალახა და მეოთხედფინალშიც იფრინა. ასეთი კარგი სტარტის შემდეგ მთელი საფეხბურთო გერმანია დარწმუნებული იყო იმაში, რომ ფინალში გავიდოდით და ესპანელებზეც შურს ვიძიებდით, ჩვენ კი იტალიელთა დამარცხებაც კი ვერ მოვახერხეთ...**

- მე, როგორც გერმანიის ნაკრების კაპიტანი, თამამად ვიტყვი, რომ გუნდი ყველაზე მეტად მონდომებული სწორედ იტალიასთან მატჩის წინ იყო. მოედანზე უდიდესი მოტივაციით, ენერგიულად გავედით, მაგრამ ინდივიდუალურმა თუ გუნდურმა შეცდომებმა სწრაფი 0:2 განაპირობა, რამაც, ვაღიარებ, შოკში ჩაგვაგდო. მეორე ტაიმში ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ თამაში შემოგვეტრიალებინა და ამ მიზნის მისაღწევად ძალიან ცოტა დაგვაკლდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: კაცმა არ იცის, როგორ დამთავრდებოდა ევროპის ჩემპიონატი, იტალიელებისთვის ის გოლი ცოტათი ადრე რომ გაგვეტანა.

**- ყველაზე მეტად მაინც რაზე დაგწყდათ გული და რამ ან ვინ გაგიცრუათ იმედი?**

- ბანალურ პასუხს გაგცემთ: იმან, რომ გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატს ნახევარფინალიდან გამოეთიშა. მე დღესაც ვფიქრობ, რომ ჩვენ საჩემპიონო გუნდი გვყავს.

**- რვა წელია, გერმანიის ნაკრების განუყრელი წევრი ხართ და ამ რვა წლის განმავლობაში ბევრი რამ გადაიტანეთ. 2006 წლის მუნდიალიდან მოყოლებული, ბუნდესგუნდი ყოველთვის მინიმუმ ნახევარფინალში გადის, მერე კი იტალიასთან ან ესპანეთთან მარცხდება. ანუ, გერმანიის ნაკრებს დიდი ტურნირის დასკვნით მატჩებში ყოველთვის რაღაც და თანაც, თქვენივე თქმით, ძალიან ცოტა აკლდება. იქნებ ეს იმას ნიშნავს, რომ ძირეული ცვლილება ან ცვლილებებია საჭირო?**

- არა მგონია, რომ სერიოზული ცვლილება საჭირო იყოს. ვფიქრობ, გერმანიის ნაკრები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე კონკურენტუნარიან გუნდად ჩამოყალიბდა და თანაც, საკმაოდ ახალგაზრდული გუნდი გვყავს. შესაბამისად, გავრისკავ და ვიტყვი, რომ სამომავლოდ კარგი პერსპექტივა გვაქვს. ტიტულის მოგების გარანტიას კი ვერავინ მოგვცემს და ვერც ჩვენ ვიტყვით იმას, რომ მაგალითად, 2014 წელს აუცილებლად მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავთ. სერიოზული წარმატებების მისაღწევად უდიდესი შრომაა საჭირო და ჩვენც ვიშრომებთ, მაგრამ მოვიმკით თუ არა შედეგს, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს...

**- ჰერ ლამ, 8 წელია არსებობს ჩამოყალიბებული კონცეფცია, 8 წელია, თავს არავინ ზოგავს და ყველანი შრომობთ, მაგრამ ჩვენ მაინც ისევ წავაგეთ იტალიელებთან, რომლებმაც მხოლოდ 2 წელი იშრომეს და როგორ იშრომეს, ეს კიდევ ცალკე სალაპარაკო თემაა... ორი წლის წინ „სკუადრა აძურა" ხომ მუნდიალზე შერცხვა... თქვენი აზრით, რა აკლია ამ გერმანიას ამ იტალიამდე?**

- ერთი რამ ფაქტია: ჩვენ უმაღლეს დონეზე ვთამაშობთ და ვფიქრობ, ამაში ყველა დამეთანხმება. თუმცა ყოველთვის არსებობს ძალიან ძლიერი მეტოქე, რომელთანაც გამარჯვება ჭირს. მხოლოდ ჩვენს თაობას რატომ ტუქსავთ? გაიხსენეთ, გერმანიის ნაკრების რომელმა თაობამ შეძლო იტალიელების დამარცხება დიდ ტურნირზე? ვერც ერთმა ხომ? ჰოდა, მხოლოდ ჩვენს თაობას ნუ გააკრიტიკებთ. როგორც ჩანს, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონობის გზა ყოველთვის იტალიაზე გადის...

**- იტალიელებთან თამაშის დროს გერმანელები დაწყევლილები ვართ?**

- წყევლა აქ, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია. ეს უბრალოდ სპორტია, სადაც ყოველთვის არსებობს გამარჯვებული და დამარცხებულიც, ჩვენ კი ჩვენს ისტორიაში უბრალოდ ვერც ერთხელ ვერ მოვახერხეთ დიდ ტურნირზე იტალიის ნაკრების დამარცხება.

**კაცმა არ იცის, როგორ დამთავრდებოდა ევროპის ჩემპიონატი, იტალიელებისთვის ის გოლი ცოტათი ადრე რომ გაგვეტანა**

**- მომავალს მაინც იმედით უყურებთ?**

- როცა მანუელ ნოიერზე ვფიქრობ და ვხვდები, რაოდენ მაგარი და თანაც როგორი ახალგაზრდა მეკარე გვყავს, ან მუდამ გულანთებულ თომას მიულერს ვხედავ, მომავლის შიში მაშინვე ქრება ხოლმე. მომავლის არ მეშინია და ოპტიმისტურად ვუყურებ, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, ეს ყველაფერი არ არის და ვერ იქნება იმის გარანტია, რომ ჩვენ ტიტულს მოვიგებთ.

**- ბევრი იმასაც ამბობს, გერმანიის ნაკრებს დამარცხებულის მენტალიტეტი ბაიერნელების სიმრავლის გამო დასჩემდაო...**

- კიდევ ერთხელ ვიტყვი: ეს სპორტია, მე კი რეალისტი ვარ. რა თქმა უნდა, ყველანი შოკირებულები და იმედგაცრუებულები ვართ იმის გამო, რომ წავაგეთ ჩემპიონთა ლიგის ფინალი, ზედიზედ მეორედ ვერ გავხდით გერმანიის ჩემპიონები და ევროპის ჩემპიონატზე ისევ იტალიელებთან დავმარცხდით, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ევრო 2012-ის დაწყებისას საკლუბო სეზონში განცდილი კრახები არც ერთ ბაიერნელს არ გვახსოვდა. ასე რომ, დამარცხებულის მენტალიტეტზე საუბარი უადგილოა. ახლა შვებულებაში ვართ, ვისვენებთ და დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ჩემპიონატის სტარტს ყველანი სრულ მენტალურ და ფიზიკურ მზადყოფნაში შევხვდებით.

**გოტფრიდ ლენცი**

● დორტმუნდის ბორუსია

იურგენ კლოპი შეგირდებს ტიროლში ამზადებს

# აი, აქ გეგმავს კლოპი მორიგ ჭრიუმფს!

## იურგენის მთავარი მიზანი: ხალისი არ უნდა დავკარგოთ

გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა და თასის მფლობელმა ახალი სეზონისთვის მზადების ფარგლებში პირველი შეკრება დაიწყო. დორტმუნდელებმა ტიროლში დასცეს ბანაკი, სადაც „ბორუსიას" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** პირველივე დღეს პრეს-კონფერენცია გამართა.

*„დღეს კოცნის საერთაშორისო დღეა, მაგრამ ჩვენ საკმარისად დიდხანს გვქონდა შვებულება იმისათვის, რომ შეკრების პირველ დღეს კოცნაზე გვეფიქრა. ესეც რომ არ იყოს, აქ მხოლოდ კაცები ვართ... თუმცაღა, ერთმანეთი ძალიან გვიყვარს,"* - ტრადიციულად ენაკვიმატი გახლდათ იურგენი.

რაც შეეხება საქმეს და მთავარს: „ბორუსიას" თავკაცი ავსტრიაში შექმნილი პირობებით კმაყოფილია: *„შესანიშნავი პირობები გვაქვს – აქ ყველაფერი კარგია. მოედანი, რომელზეც ვარჯიში გვიწევს, იდეალურ მდგომარეობაშია, გარემო კი – ფანტასტიკური. გუნდის მომზადება სწორედ ასეთ სიტუაციაში მინდოდა,"* - უთხრა კლოპმა ჟურნალისტებს და იქვე დასძინა, ჩვენი უპირველესი მიზანი ახლა ფეხბურთელების საბრძოლო კონდიციციაში დაბრუნებააო.

თუმცა კლოპი სხვა გერმანული კლუბების მწვრთნელებისგან განსხვავებით, ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე კონდიციას და ფიზმომზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს. მისი მიზანი უცვლელია: იურგენისთვის მთავარი ისაა, რომ ფეხბურთელებმა ვარჯიშებზეც სიამოვნება მიიღონ. 4-ვარსკვლავიან სასტუმროში დორტმუნდელები კარგადაც ერთობიან – აუზი, საუნა, ტრენაჟორები და სპა მათ განკარგულებაშია.

**გოტფრიდ ლენცი**

● ტრანსფერი

# ფორლანი: იტალიურიდან ბრაზილიურ ინტერში

დიეგო ფორლანი ბრაზილიური კლუბის მაისურით

ბუშინპორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალმა" გამოაცხადა, რომ 33 წლის ურუგვაელი ფორვარდი **დიეგო ფორლანი** გადაიბირა მილანის „ინტერიდან". მოკლედ, გამოჩენილი ფორვარდი სამშობლოსთან ახლოს დაბრუნდა - ბრაზილიური შტატი რიუ გრანდე დელ სული ხომ ურუგვაის მოსაზღვრე რეგიონია. დღეს ახალ კლუბში ფორლანის ნარდგენა იეგემება. ურუგვაელმა ფორვარდმა „ინტერნასიონალთან" 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. კონტრაქტის ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.

ფორლანმა პროფესიული კარიერა არგენტინულ „ინდეპენდიენტეში" დაიწყო, საიდანაც „ანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა, შემდეგ იყო ფორლანის ესპანური კარიერა „ვილიარეალსა" და მადრიდის „ატლეტიკოში". საიდანაც ურუგვაელი იტალიურ გრანდში გადავიდა. შეგახსენებთ, რომ ფორლანი 2010 წლის მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ოლიმპიადა

## მწვანე შუქი ბარსელოს

მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობამ ნება დართო ბრაზილიელ მცველ **მარსელოს** ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ითამაშოს. ნაკრების მწვრთნელმა **მანო მენეზეშმა** მარსელო იმ ფეხბურთელთა შორის დაასახელა, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 23 წელი, მაგრამ გუნდის გასაძლიერებლად სჭირდებათ. ლონდონის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირი თითქმის მთლიანად ემთხვევა **ჟოზე მურინიოს** გუნდის ტურნეს ამერიკაში, რომელსაც ბრაზილიელი მცველი გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ნაკრები არასოდეს ყოფილა ოლიმპიური ჩემპიონი.

## ტიაგო ალკანტარა ლონდონში ვერ მიდის

ესპანეთისოლიმპიურ გუნდს ტრავმის გამო „ბარსელონას" ახალგაზრდა ნახევარმცველი **ტიაგო ალკანტარა** დააკლდა. ექიმებმა დაადგინეს, რომ ტიაგო ალკანტარა ვერაფრით მოასწრებს ოლიმპიადამდე წვივის ტრავმის მორჩენას. ტიაგო ლუის მილიას გუნდის სიაში იყო, ახლა ნაკრების შემადგენლობაში 21 კაცია. არადა, მწვრთნელს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ალკანტარა გამოჯანმრთელებას შეძლებდა. სხვათა შორის, ის ბოლო წუთამდე არ შეცვლია ბარსელონელს მისი გამოჯანმრთელების იმედით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ოქროს ბურთი

# მესი ისევ ფავორიტია

## რონალდო კი მეორე ადგილზე არის

ესპანურმაგაზეთმა „მარკამ" მკითხველები გამოკითხა, ვინ იმსახურებს 2012 წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს „ოქროს ბურთს". „მარკას" გამოკითხვაში სულ სამი ფეხბურთელი იყო ფავორიტებში: „ბარსელონას" არგენტინელი ფორვარდი **ლიონელ მესი**, „რეალის" კაპიტანი **იკერ კასილიასი** და „სამეფო კლუბის" პორტუგალიელი შემტევი **კრიშტიანო რონალდო**. გამოკითხვაში მონაწილეობა 115 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო. მათი აზრით, „ოქროს ბურთის" მოპოვების მთავარი ფავორიტი მაინც მესია, მიუხედავად იმისა, რომ კასილიასმა და რონალდომ თავი კარგად წარმოაჩინეს ევრო 2012-ზე.

გამოკითხულთა 42,3% მიიჩნევს, რომ პრიზს ბარსელონელი იმსახურებს. შეგახსენებთ, რომ მესიმ ბოლო სეზონში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა - 73 გოლი გაიტანა, აქედან 50 ლა ლიგაში და 14 ჩემპიონთა ლიგაში.

მეორე ადგილზე გავიდა, არა რონალდო, არამედ კასილიასი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესოთა შორის იყო. კასილიასმა ხმების 37,8% მიიღო. შეგახსენებთ, რომ ევრო 2012-ზე კასილიასი ჩემპიონი გახდა და სულ ერთი ბურთი გაუშვა.

რონალდოს ხმების 10,3% შეხვდა, რომელმაც ლა ლიგაში 46 გოლი გაიტანა. შემდეგ მოდიან: **ანდრეს ინიესტა** (5,4%), **ჩავი** (2,4%), **ანდრეა პირლო** (0,9%) და **დიდიე დროგბა** (0,9%).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეო მესი ოქროს ბურთით

Oxford MEDICAL

ანალური ნაპრალი - რთული პროგლემის მარტივად მოგვარება!

პროქტოლოგი

დავით ფრანგიშვილი

**უროლოგია**

- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად
- ნაადრევი ეიაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

**გინეკოლოგია**

- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები: საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- კრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი

**პროქტოლოგია**

- გუასილის მკურნალობა უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

**კოსმეტოლოგია**

- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

**დერმატოლოგია**

- ქანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ანონიმურობა დაცულია!

„ერთი შეხედვით მარტივი პრობლემა – ანალური ნაპრალი (fissura ani) სწორი ნაწლავის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადებაა და ხშირად თანხვედრია ბუასილთან. დაავადება არხის დასაწყისში ლორწოვანი გარსის უმნიშვნელო დეფექტს წარმოადგენს და მისი სიგრძე 1 სმ-ს არ აღემატება, თუმცა ადამიანის ჯანმრთელობას ხშირად სერიოზულ პრობლემებს უქმნის," – ამბობს ჩვენთან საუბარში ექიმი-პროქტოლოგი დავით ფრანგიშვილი, რომლის თქმითაც, თვითმკურნალობის, უყურადღებობის ან არასწორი მკურნალობის შედეგად, შესაძლოა, პაციენტი სავალალო შედეგამდე მივიდეს. თუ როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ მეტად უსიამოვნო პრობლემას, ამის შესახებ ექიმი დეტალურად საუბრობს:

– აღნიშნული დაავადების გამომწვევი მიზეზებია – ყაბზობა, ფაღარათი, ფიზიკური სამუშაო, დიდხანს ჯდომა და ფეხზე ხანგრძლივად დგომა, ცხარე საკვები, ალკოჰოლი. თუმცა, ზოგ შემთხვევაში მისი გამომწვევი მიზეზები ვერ დგინდება. მისი ძირითადი სიმპტომებია ტკივილი დეფეკაციისას ან მის შემდეგ. დაავადების გართულების შემთხვევაში ტკივილის ინტენსივობა ძლიერია და რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე გრძელდება. შესაძლოა გაჩნდეს სისხლის ლაქებიც.

ანალური ნაპრალი – ლორწოვანი გარსის თითქოსდა უმნიშვნელო დეფექტი, მიმდინარეობს აუტანელი ტკივილით. მნიშვნელოვან დისკომფორტს ქმნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. პაციენტმა დაავადების საწყის სტადიაშივე უნდა მიმართოს პროქტოლოგს, რადგან ექიმის გარეშე ჩატარებული მკურნალობა ხშირად უშედეგოა და უკეთეს შემთხვევაში, დაავადების ქრონიკულ სტადიაში გადასვლას იწვევს, რომელიც უკვე საჭიროებს ოპერაციულ მკურნალობას. ამიტომ დაავადების გამოვლინებისთანავე (ტკივილი, მცირე სისხლდენა) მიმართეთ პროქტოლოგს, რადგანაც მკურნალობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის საწყის სტადიაში დიაგნოსტიკას.

ნუ გადადებთ! დაავადების დროული, საწყის ეტაპზე დიაგნოსტიკა თქვენი ჯანმრთელობის გარანტია!

Oxford MEDICAL

229 00 66; 229 47 47

მის: თბილისი, ფალიაშვილი 15

Email: oxford.tbilisi@gmail.com

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

## ქართული ფეხბურთი

● მოსალოდნელი ტრანსფერი

ლუუკ დე იონგზე დიდი მოთხოვნაა

# ტვენტეს დე იონგში 20 მილიონი მოითხოვა!

### მიონხენგლადბახელები არ ნებდებიან და ვაჭრობას აგრძელებენ

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ჰოლანდიური „ტვენტეს“ გოლეადორის, **ლუუკ დე იონგის** გადაბირება უნდა, ეს ძველი ამბავია. სიახლე ის არის, რომ „გლადბახის“ სპორტული დირექტორი **მაქს ებერლი** ოთხშაბათს ენსხედში იმყოფებოდა, სადაც „ტვენტეს“ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები გამართა, მაგრამ სამშობლოში ხელცარიელი დაბრუნდა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, კლუბები 21 წლის თავდამსხმელის ფასზე ვერ თანხმდებიან.

„კიკერი“ ირწმუნება, რომ „ტვენტეს“ მენეჯერმა **ალდო ვან დერ ლაანმა** ებერლს დე იონგში 15 მილიონი ევრო მოსთხოვა, ამ უკანასკნელს კი მხოლოდ 10 მილიონის გადახდა უნდა. ამასობაში, ჰოლანდიურმა გაზეთმა „ტელეგრააფმა“ გაავრცელა „ტვენტეს“ პრეზიდენტ **იოოპ მუნსტერმანის** კომენტარი, რომელიც აცხადებს, ლუუკ დე იონგს 15 მილიონადაც კი არ დავთმობთ, ჩვენ მის სანაცვლოდ მინიმუმ 20 მილიონი ევროს აღება გვინდაო.

*„კარგად ვხვდებით, რომ ლუუკის „ტვენტეში“ შენარჩუნება გაგვიჭირდება და მზად ვართ, ნებისმიერ მსურველს დაველაპარაკოთ, მაგრამ ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ ლუუკის გადაბირების სურვილით შეპყრობილი კლუბი ამ ფეხბურთელის შესაძლებლობების შესაბამის თანხას გადაგვიხდის,“* - აცხადებს ვან დერ ლაანი და იქვე დასძენს, დე იონგით ძალიან ბევრი კლუბია დაინტერესებულიო, რითაც „გლადბახის“ ხელმძღვანელებს მძიმე წნეხის ქვეშ აქცევს.

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები

## რეალმა ვერდერს მილიონი გადაუხადა

ბრემენის „ვერდერმა“ მადრიდის „რეალისგან“ ერთი მილიონი ევრო მიიღო – ფაქტობრივად არაფერში! საქმე იმაშია, რომ „რეალი“ და „ვერდერი“ ჯერ კიდევ **მესუთ იოზილის** ბრემენიდან მადრიდში გადასვლის დროს შეთანხმდნენ იმაზე, რომ 2012 წლის ზაფხულში „სამეფო გუნდი“ ბრემენში ტესტ-მატჩს გამართავდა. ახლა „რეალმა“ ამ შეხვედრის ჩატარებაზე უარი განაცხადა და იძულებული გახდა, კონტრაქტში მითითებული საჯარიმო თანხა გადაეხადა, რაც 1 მილიონ ევროს შეადგენს.

*„დიახ, „რეალმა“ ახლახან მილიონი გადმოგვირიცხა,* - „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს „ვერდერის“ სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი,** - *როგორც ჩანს, მადრიდელებმა ისეთ ტესტ-მატჩს გამოჰკრეს ხელი, რომლის სანაცვლოდაც გაცილებით მეტ ფულს აიღებენ და შესაბამისად, ჩვენთან თამაში უბრალოდ აღარ ულირდათ.“*

ცნობილია, რომ „რეალი“ შემოსავლიან ტესტ-მატჩს ამერიკაში ან აზიაში გამართავს, ბრემენელები კი 11 აგვისტოს ამხანაგურად „ასტონ ვილას“ გაეჯიბრებიან.

## მაინცის ახალი მარცხენა მცველი

„მაინცმა“ „ბრიუგედან“ კოსტა რიკელი მარცხენა მცველი **ხუნიორ დიასი** გადაიბირა. 28 წლის ფეხბურთელმა გერმანულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გასულ სეზონში დიასი კრაკოვის „ვისლაში“ გახლდათ განათხოვრებული.

*„ხუნიორ დიასი ტექნიკური, ათლეტური და ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელია, რომელიც ნამდვილად გაგვაძლიერებს. აღსანიშნავია, რომ მას დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში,“* - ეს მაინცელთა მენეჯერ **კრისტიან ჰაიდელის** სიტყვებია.

## რეალის ბალანგი ლევერკუზენში?

ლევერკუზენის „ბაიერის“ ხელმძღვანელებმა თვალი „რეალის“ ახალგაზრდა ფეხბურთელს, **დანიელ კარვახალს** დაადგეს, რომელიც ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრების წევრია. 20 წლის მარჯვენა მცველი მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნიჭიერეს ფეხბურთელად მიიჩნევა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მადრიდელები კარვახალს 7 მილიონ ევროდ აფასებენ.

ამასობაში, ლევერკუზენელებმა ჩილეს ნაკრების ფეხბურთელი **ხუნიორ ფერნანდესი** გაიფორმეს. 24 წლის ნახევარმცველი „ბაიერში“ „უნივერსიდად დე ჩილედან“ გადავიდა და „ფარმაცევტებთან“ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტრანსფერის ღირებულება არ გახმაურებულა.

## ჰოფენჰაიმი სერბით გაძლიერდა

„ჰოფენჰაიმმა“ სერბეთის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი **ფილიპ მალბაშიჩი** გადაიბირა. 19 წლის შემტევი ნახევარმცველი გერმანულ კლუბში „რად ბელგრადიდან“ გადადის და „ჰოფესთან“ 4-წლიან კონტრაქტს აფორმებს.

*„ფილიპი ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელია, რომელიც ჩვენი გუნდის პოტენციალს შეტევაში ნამდვილად გაზრდის,“* - აცხადებს ჰოფენჰაიმელთა თავკაცი **მარკუს ბაბელი**.

**გოტფრიდ ლენცი**

● მილანი

# საიდუმლო სეზონი

### გალიანიმ სეზარი გამორიცხა

*“ბაქეტა დელო სპორტმა“* მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, “მილანის” მესვეურები **ხოსებ გვარდიოლას** შეხვდნენ და შესაძლო თანამშრომლობაზე ჩამოუგდეს სიტყვა. ცნობილია, რომ პეპი ერთი ნელი დასვენებას აპირებს და როგორც ჩანს, ლაპარაკია 2013 წლის ზაფხულიდან თანამშრომლობაზე. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან **მასიმილიანო ალეგრის** სულ ახლახან გაუხანგრძლივეს ხელშეკრულება და მინიმუმ ერთი სეზონი აუცილებლად დარჩება დაკავებულ პოსტზე.

ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, შეხვედრამ ძალიან თბილ ვითარებაში ჩაიარა და გვარდიოლას არ დაუმალავს, რომ შეთავაზების შემთხვევაში, “მილანს” დიდი სიამოვნებით ჩაიბარებდა. აქვე ვთქვათ, რომ ესპანელი სპეციალისტის სამსახურით ლონდონის “ჩელსის” და მიუნხენის “ბაიერნის” მესვეურები არიან დაინტერესებულნი, რაც თავად მწვრთნელმაც დაადასტურა. გვარდიოლას და “მილანის” მესვეურთა შეხვედრის ამბავი ჟურნალისტებმა ალეგრიმდე მიიტანეს და კომენტარის გაკეთება თხოვეს – აქვე, სენიორ მასიმილიანოს პოზიცია:

*“კლუბთან ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულება მაკავშირებს და ზუსტად ვიცი, რომ ხელძღვანელთა დიდი ნდობით ვსარგებლობ... გამომდინარე აქედან, წარმოდგენა არ მაქვს, რაზე ისაუბრეს “მილანის” მესვეურებმა ხოსებ გვარდიოლასთან. ან საერთოდ შედგა კი ეს შეხვედრა? – პირველ რიგში, ესაა გასარკვევი.- ნებისმიერ შემთხვევაში, მე მშვიდად განვაგრძობ მუშაობას, რადგან წინ უამრავი საქმე მაქვს, მათ შორის, მოსამზადებელი შეკრების დაგეგმვა. ისე, ვიცი, რომ სილვიო ბერლუსკონი გვარდიოლას კარგად იცნობს და თუ მათი გ ზები სადმე გადაიკვეთა, დალაპარაკების შანსს ხელიდან ნამდვილად არ გაუშვებდა. ასე რომ, ძალიან გთხოვთ, არაფრისგან პრობლემას ნუ შექმნით“.*

ამასობაში, “მილანის” ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი გამოჩნდა პრესასთან და **ჟულიო სეზარის** შესაძლო გადაბირების თაობაზე გააკეთა კომენტარი:

*“როგორც უკვე განვაცხადე, სატრანსფერო ბაზარზე საქმიანობას მოვრჩით და ამ საკითხს მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში მივუბრუნდებით. ჟულიო სეზარი შესანიშნავი მეკარეა, მაგრამ მის გადაბირებას ნამდვილად არ ვაპირებთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კრისტიან აბიატი გვყავს, რომელსაც ბოლომდე ვენდობით. საერთოდ, კარგი იქნება, თუ ერთი და იგივეს ოცჯერ არ გამამეორებინებთ- სატრანსფერო ბაზარი ჩვენთვის უკვე დახურულია”.*

ამასობაში, ოფიციალურად დადასტურდა, რომ **ალესანდრო ნესტა** კარიერას კანადურ “მონრეალში” გააგრძელებს და ალბათ, იქვე დაასრულებს კიდეც. ცნობისთვის, ამავე გუნდში გადავიდა კიდევ ერთი ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი **მარკო დი ვაიო**; მოკლედ, კალჩოს მოყვარულებს თავისუფლად შეუძლიათ უგულშემატკივრონ ამ კანადურ გუნდს.

**ლაშა წიკლაური**

მასიმილიანო ალეგრი ჯერ არ იმჩნევს

● ინტერი

# სამირი მილანში, სეზარი პაერში

### და ინტერის ახალი სამიზნე

ჟულიო სეზარი ინტერიდან მიდის

27 წლის **სამირ ჰანდანოვიჩი** “ინტერის” საკუთრებაა, მის სანაცვლოდ კი მილანური კლუბის მესვეურებმა “უდინეზეს” ბიუჯეტში 11 მილიონი ევრო გადარიცხეს. ეს ამბავი გუშინდელ ნომერშიც გვეწერა, მაგრამ ოფიციალურად სწორედ დღეს შეგვიძლია დავადასტუროთ. აქამდე, ღია იყო **ჟულიო სეზარის** საკითხი, დღეს კი უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრაზილიელი კიპერი მილანურ გუნდს გამოეთხოვება. საქმე იმაშია, რომ “ინტერის” მთავარმა მწვრთნელმა, **ანდრეა სტრამაჩონმ** იმ ფეხბურთელთა გვარები დაასახელა, ვისაც საწვრთნელ შეკრებაზე წაიყვანს, მათ რიცხვში კი ჟულიო სეზარი არ ფიგურირებს. ეს განაჩენია, ბრაზილიელს “ნერაძურიში” აღარაფერი ესაქმება და ახალი გუნდის ძებნა მოუწევს.

მას შემდეგ, რაც “ინტერი” **ლუსიომ** დატოვა, კლუბის მესვეურები ახალი ცენტრალური მცველის ძიებას შეუდგნენ და კანდიდატი მალევე იპოვეს – კანდიდატი კი არა, საქმე უკვე გაიჩარხა და **მატიას სილვესტრი** “პალერმოდან” “ნერაძურიში” გადაბარგდა. 27 წლის არგენტინელმა მცველმა იტალიური კარიერა “კატანიაში” ასპარეზობით დაიწყო, შემდეგ “პალერმოში” გადავიდა და მომდევნო სეზონიდან უკვე “ინტერის” ღირსებას დაიცავს.

“მილანისგან” განსხვავებით, “ინტერის” მესვეურები განაგრძობენ აქტიურობას სატრანსფერო ბაზარზე და ახალი სამიზნეც არჩეული ჰყავთ – ლაპარაკია “კორინთიანსის” 23 წლის ნახევარმცველ **პაულინიოზე**, რომელიც “კოპა ლიბერტადორესის” მოქმედი გამარჯვებულია და ამ ტრიუმფში დიდი წვლილიც მიუძღვის. პაულინიოს ერთი თამაში ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებშიც აქვს ჩატარებული და საერთოდ, ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება.

პაულინიოს “კორინთიანსთან” სამწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს, მაგრამ მილანელები ამას არ უშინდებიან და ბრაზილიელებისთვის ოფიციალურ წინადადებას ამზადებენ – კულუარული ინფორმაციით, ლაპარაკია 7 მილიონ ევროზე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, 10-მდეც თავისუფლად გაიზრდება. ვნახოთ, რა პოზიციას დაიჭერენ ბრაზილიური კლუბის მესვეურები...

**ლაშა წიკლაური**

● ტორინო

# ოგბონა არ იყიდება

### ტირინოს პრეზიდენტის ბიზნეს-პროექტი

დიდი ხანია მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ “ტორინოს” ახალგაზრდა მცველი **ანჯელო ოგბონა** მალე რომელიმე იტალიურ გრანდში გადაბარგდება; ყველაზე ხშირად “მილანისა” და “იუვენტუსის” ვარიანტებზე საუბრობდნენ, ბოლოს კი წინა პლანზე სწორედ “ვეკია სენიორამ” წამოიწია. მიუხედავად იმისა, რომ ანჯელოს სატრანსფერო ღირებულება 15-20 მილიონის ფარგლებშია, “ბიანკონერის” მესვეურები მოლაპარაკებისთვის მზადყოფნას გამოთქვამდნენ, მაგრამ გუშინ, ეს ამბავი “ტორინოს” პრეზიდენტმა გამორიცხა – მოვუსმინოთ **ურბანო კაიროს**:

*“ანჯელოს მიმართ ინტერესი ძალიან დიდია და შეთავაზებებიც უხვად მივიღეთ, მაგრამ აბსოლუტურად ყველა წინადადებაზე უარი განვაცხადეთ. ოგბონა გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მინიმუმ ერთი სეზონი აუცილებლად დარჩება “ტორინოში”. ეს თავად ოგბონას სურს და არც ჩვენ გვინდა, რომ წამყვან ფეხბურთელს შეველიოთ. მოკლედ, ანჯელო არ იყიდება და ეს ჩემი საბოლოო სიტყვაა”.*

იტალიელმა ჟურნალისტებმა “ტორინოს” პრეზიდენტი სიყალბეში დაადანაშაულეს – მათი ვარაუდით, სენიორ ურბანოს ნაკლებად აღელვებს გუნდის სპორტული ინტერესები და ოგბონას მხოლოდ იმიტომ ინარჩუნებს ერთი წლით, როგორც ეს თავად განაცხადა, რომ 2013 წლის ზაფხულს გაცილებით დიდ ფასად გაასხვისოს. მართალია, ოგბონას თვითონ უკვე 20 მილიონ ევროდ აფასებს, მაგრამ რეალურად, ამხელა თანხას არც ერთი გუნდი არ გადაიხდის, რადგან 24 წლის მცველი აქამდე მხოლოდ სერია B-ში ასპარეზობით გამოირჩა და დიდი გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის. აი, თუ ანჯელო სერია A-ში გამოიჩენს თავს, შემდეგ “ტორინოს” პრეზიდენტს თავისუფლად შეეძლება თამასის ანევა და გათვლაც სწორედ ასეთი უნდა ჰქონდეს. პრინციპში, ვერც გაამტყუნებ – ფეხბურთი ხომ სპორტთან ერთად, ბიზნესიცაა.

**ლაშა წიკლაური**

ანჯელო ოგბონა კიდევ ერთი წელი ტორინოში ითამაშებს

ტყვიის სროლა. ნინო სალუქვაძე

ნინო სალუქვაძე

# ნაცნობ მისამართზე

**საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მედროშე და ერთ-ერთი ლიდერი, ტყვიის სროლაში ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონი ნინო სალუქვაძე ლონდონის ოლიმპიადისთვის დასკვნით შეკრებას ერევანში გადის.**

იქაურობა ჩვენებურებს ლამის მეორე სახლად ექცათ, რადგან, ჩვენგან განსხვავებით, სომხებმა თავის მსროლელებს ელექტროფარებით და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი ულტრათანამედროვე სპორტული ბაზა აუშენეს, სადაც ტირის გარდა ერთადაა თავმოყრილი სასტუმრო, გამაჯანსაღებელი ბლოკი თუ სპორტსმენისთვის საჯრჯიშოდ აუცილებელი ყველა დამატებითი საშუალება. თან იქ წასვლა ბევრად იაფი ჯდება, ვიდრე – ევროპაში და ამიტომ ჩვენები ხშირად გადიან იქ შეკრებას. ერევანს ის უპირატესობაც აქვს, რომ ტერიტორიული სიახლოვისა და ნაკლები დანახარჯების გამო ახალგაზრდებიც მიჰყავთ.

ამჯერადაც ასეა – ჩვენებმა იქ შეკრება სამი დღის წინ დაიწყეს, სადაც სალუქვაძესთან ერთად ვაჟთა ნაკრების ლიდერი **ლევან ქადაგიძე** და ახალგაზრდები – **ომარ სანოძე, მარიამ ბლუაშვილი** და **ლიზი კილაძე** იმყოფებიან. სალუქვაძეს ოლიმპიადისთვის მამა – **ვახტანგ სალუქვაძე** ავარჯიშებს, დანარჩენები კი სხვა მწვრთნელების მეთვალყურეობით ემზადებიან.

ჩვენები ერევანში ორი კვირა ივარჯიშებენ, რადგან სალუქვაძე ლონდონში სხვებზე ადრე მიფრინავს. ის ოლიმპიადის დედაქალაქში 22 ივლისს ქართული დელეგაციის პირველ ჯგუფთან ერთად გაემგზავრება, რომელშიც მისიის ხელმძღვანელი, ოლიმპიური ჩემპიონი **დავით გობეჯიშვილი**, სეოკ-ის წარმომადგენლები - **რუსუდან აფციაური, გიორგი ესაკია** და მშვილდოსანი **ქრისტინე ესებუა** შედიან. სალუქვაძე სტარტზე პირველად 29 ივლისს დადგება და პნევმატური პისტოლეტიდან ისვრის, სპორტულით კი 1 აგვისტოს იასპარეზებს.

დასასრულს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ სალუქვაძისთვის ეს მეშვიდე ოლიმპიადაა, რითაც რეკორდსმენია როგორც ქართველთა შორის, ასევე მსოფლიოში ტყვიის მსროლელ ქალთა შორის. ამასთან სალუქვაძე ერთადერთი ქართველია, რომელსაც სამივე სინჯის ოლიმპიური მედალი მოუპოვებია. მისთვის განსაკუთრებით ფეხბეჯნიერი სადებიუტო თამაშები გამოდგა – 1988 წელს სეულში, სადაც სპორტული პისტოლეტიდან სროლაში გაიმარჯვა, ხოლო პნევმატურიდან მეორე იყო. ბრინჯაოს მედალი მან 2008 წელს საქართველოსთვის ძნელბედობის პერიოდში – რუსეთთან ომის დროს მოიპოვა პნევმატური იარაღიდან.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ნაკრები

# ძიუდოისტთა გაურკვევლობა

**საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები ამ დილით დაბრუნდა ევროპიდან, სადაც ჯერ ჩეხურ ნიმბრუკში, შემდეგ კი ესპანურ კასტელდეფელსში ევროპული ფედერაციის მიერ მოწყობილ სანვრთნელ კემპებში მონაწილეობდა.**

გუნდის ავსტრიელ თავკაც **პეტერ ზაიზენბახერს** ოფიციალურად ჯერაც არ დაუსახელებია ოლიმპიადის მონაწილენი იმ სამ წონით კატეგორიაში, სადაც ორ-ორი ლიცენზია გვაქვს, თუმცა კულუარული ხმებით 60-ში **ბეთქილ შუკვანი** იჭიდავებს, 100-ში – **ლომერ ჟორჟოლიანი**, ხოლო მძიმეში – **ადამ ოქრუაშვილი**, თუმცა ასევე კულუარული ხმებით, 100 კილოგრამთან დაკავშირებით ჯერაც მიდის განსჯა. შეგახსენებთ, რომ მათ ამ წონებში კონკურენციას, შესაბამისად, ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **ამირან პაპინაშვილი**, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** და ევროპის მესამე პრიზიორი **ზვიად ხანჯალიაშვილი** უწევდნენ. ვიმეორებთ – ეს მხოლოდ მოარული ხმებია, გუნდის შემადგენლობას კი ზაიზენბახერი ოფიციალურად უახლოეს საათებში განაცხადებს. შესაძლოა, ეს დღესაც გააკეთოს, რასაც საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში არ გამორიცხავენ. ყოველ შემთხვევაში, სოკ-ს გუნდის შემადგენლობა დღეს უნდა აცნობონ.

აქვე შეგახსენებთ, რომ დანარჩენ ოთხ წონაში თამაშებში მონაწილეობა განაღდებული აქვთ **ლაშა შავდათუაშვილს** (66), **ნუგზარ ტატალაშვილს** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილსა** (81) და **ვალერი ლიპარტელიანს** (90). გუნდი თბილისში დიდხანს არ დარჩება – ორშაბათს, 9 ივლისს დილით უკვე ბორჯომში გაემგზავრება დასკვნით შეკრებაზე. ლონდონში ძიუდოისტთა გუნდი 25 ივლისს გაფრინდება, 28-დან კი ყოველ დღე თითო მათგანი იჭიდავებს 60 კილოგრამიდან მოყოლებული, მძიმე წონით დამთავრებული.

**ირაკლი თავაძე**

მშვილდოსნობა

# ქრისტინე ესებუა ვაკეში ემზადება

ლონდონის ოლიმპიადაზე მშვილდოსანთა ტურნირში საქართველო ერთი მონაწილით იქნება წარმოდგენილი – ქალთა შორის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა** იასპარეზებს.

რომ არა საგზურების განაწილების ცოტა უცნაური წესი, მინიმუმ, ორი მონაწილე მაინც უნდა გვყოლოდა – მსოფლიოს პირველობაზე პირად პირველობაში სალიცენზიო ზონაში **ხათუნა ნარიმანიძეც** შევიდა, მაგრამ ინდივიდუალურში ერთ ქვეყანას მხოლოდ ერთი საგზური ეძლეოდა. თუმცა ეს ნამდვილად არაფერია იმასთან შედარებით, რაც იმავე ზემოაღნიშნულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდურში ჩვენს ნაკრებს დამართეს – პრაქტიკულად, მოპოვებული სამი საგზური წაართვეს, როცა მასპინძელ იტალიასთან მოგებული შეხვედრა გადაათამაშებინეს. ეს უსამართლობა რომ არა, ლონდონში სულაც სამი მონაწილე გვეყოლებოდა და პირადთან ერთად გუნდურ ტურნირშიც გამოვიდოდით.

თუმცა სადღეისო რეალობა ისეთია, რომ ოლიმპიადაზე მხოლოდ ესებუა გვეყოლება, რომელიც თავისი მეორე თამაშებისთვის თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ემზადება. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი დღეში ორჯერ ვარჯიშობს მარტო, თანაგუნდელების გარეშე. მისი და კორეელი მწვრთნელის სურვილი კი იყო, მასთან ერთად თუნდაც მხოლოდ **ლაშა ფხაკაძეს** ესროლა, როგორც თბილისელს (მოგეხსენებათ, ქალთა ნაკრების სხვა წევრები ბათუმიდან არიან და მათთვის შეკრების მოწყობა არ ხერხდებოდა), კორეელი ამაზე ფედერაციასაც დაეკითხა, მაგრამ ფედერაციამ მიიჩნია, რომ აჯობებდა, მწვრთნელი თუ მხოლოდ ესებუას მოამზადებდა და მთელი ყურადღება მასზე ექნებოდა კონცენტრირებული. როგორც საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **არტემ სანიშვილმა** გვითხრა, კორეელი ესებუას ყოველ გასროლას ვიდეოფირზე იწერს და მერე შეგირდთან ერთად არჩევს, რისი საშუალებაც გუნდთან ერთად მუშაობის შემთხვევაში არ ექნებოდა.

ესებუა ვაკეში 22 ივლისამდე ივარჯიშებს, მერე კი ლონდონში გაემგზავრება დელეგაციის პირველ ჯგუფსა და **ნინო სალუქვაძესთან** ერთად, რადგან ჩვენებურთაგან ყველაზე ადრე ის ჩაებმება თამაშებში – გახსნის დღეს, 27 ივლისს ოფიციალური ვარჯიშია, 28-ში კი პირადი პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირი.

**ირაკლი თავაძე**

ჭლაქის ხელბურთი

# რვა-რვა გუნდი

ბათუმში გუშინ დაიწყო და ხვალ დამთავრდება 18 წლის გოგონათა და ვაჟთა ევროპის მესამე ჩემპიონატი პლაჟის ხელბურთში. შეჯიბრებაში რვა-რვა გუნდი ჩაება. ჯგუფურ ტურნირში წინა ასპარეზობათა ჩემპიონებმა - უნგრელებმა, ასევე, რუსებმა იყოჩაღეს, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს. მასპინძლებმა კი სამ- სამი მატჩი დათმეს.

**გოგონები. ა ჯგუფი.** უნგრეთი - 6 (სეტები: 6:1), უკრაინა - 4 (4:3), ნორვეგია - 2 (4:4), საქართველო - 0 (0:6); **ბ ჯგუფი.** რუსეთი - (6:0), თურქეთი - 4 (4:2), შვეიცარია - 2 (2:4), სომხეთი - 0 ქულა (0:6).

**ვაჟები. ა ჯგუფი.** უნგრეთი - 6 (6:1), ხორვატია - 4 (5:3), უკრაინა - 2 (3:4), საქართველო - 0 (0:6); **ბ ჯგუფი.** რუსეთი - 6 (6:1), თურქეთი - 4 (5:3), შვეიცარია - 2 (3:4), ნორვეგია - 0 ქულა (0:6).

ფინალები ხვალ გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

სეოკ-ში

# პირველები...

**ქართველმა სპორტსმენებმა ლონდონის ოლიმპიური თამაშების 35 ლიცენზია მოიპოვეს. მათ შორის, ვინც დიდი ბრიტანეთის სპორტულ ბაზებზე იასპარეზებენ, გახლავთ მოცურავე ირაკლი ბოლქვაძე და ველომრბოლი გიორგი ნადირაძე. გუშინ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სწორედ სპორტის ამ ორი სახეობის მესვეურები და სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი წარსდგნენ ჟურნალისტების წინაშე.**

წლევანდელი სეზონი გამორჩეულია ჩვენთვის თუნდაც იმით, რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურები მოვიპოვეთ ცურვასა და ველოსპორტში, — აღნიშნა გია ნაცვლიშვილმა. — დამოუკიდებელი საქართველოს სახელით სხვა დროსაც უასპარეზიათ მოცურავეებს ოლიმპიადებზე, ოღონდ საერთაშორისო ფედერაციიდან გამოყოფილი ადგილის შესაბამისად, ირაკლი ბოლქვაძემ კი ლონდონში გამგზავრების უფლება თავად მოიპოვა, რაც 17 წლის ყმაწვილის დიდი წარმატებაა და ამ გამარჯვებას ვულოცავ სპორტსმენს, მის მწვრთნელებსა და მთლიანად ფედერაციას. ბოლქვაძე მხოლოდ ლიცენზიას არ დასჯერდა და ანტვერპენში ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედლითაც გაგვახარა. იმედია, იგი ლონდონშიც ისახელებს თავს. ვფიქრობდით, რომ ბრიტანეთის დედაქალაქში გამოსვლის უფლებას პეკინის ოლიმპიადის მონაწილე ირაკლი რევიშვილიც მოიპოვებდა, მაგრამ მიზნის აღსრულებამდე მას მცირედი დააკლდა.

ალექსანდრე ეოტორაძვილის ფოტო

საქართველოს საბჭოეთის პერიოდში ჰყავდა შესანიშნავი ველომრბოლი, მსოფლიოს ჩემპიონი ომარ ფხაკაძე, რომელმაც ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალიც დაიმსახურა, ოღონდ ტრეკზე. ლონდონის ოლიმპიადაზე კი სამამულო სპორტის ისტორიაში პირველად გვეყოლება საგზატკეცილო ველომრბოლი გიორგი ნადირაძე. თავისი შედეგებით იგი ძალიან ახლოს იყო ლიცენზიასთან. ამიტომ ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენს ქვეყანას 2012 წლის ოლიმპიადის ერთი საგზური გამოუყო, რაც სპორტსმენთან ერთად - გენერალურ მდივანსა - ეროვნული ფედერაციის დიდი დამსახურებაა. ვიმეორებ, ეს არ არის „ველური ბარათი", რომელსაც მხოლოდ იმ ქვეყნების წარმომადგენლებს აძლევენ, წინა ოლიმპიადაზე 10-ზე მეტი მონაწილე რომ არ ჰყავდა. ასე რომ, ორივე სახეობაში საგზურები ჩვენმა სპორტსმენებმა ღირსეულად დაიმსახურეს.

**ალექსანდრე ბითაძე,** სანყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, სეოკ-ის გენერალური მდივანი: თავად ვესწრებოდი ევროპის ჩემპიონატს დებრეცენში, სადაც ირაკლი ბოლქვაძემ ჩვენს ქვეყანას ოლიმპიური საგზური მოუტანა. ამ ჩვიდმეტი წლის ბიჭმა უნგრეთში შეუძლებელი შეძლო. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ლონდონმიც ჩინებულად იასპარეზებს, აი, ოთხი წლის შემდეგ რიოს ოლიმპიადაზე მედლის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება. ბოლქვაძეს საამისო მონაცემები აქვს.

**ზურაბ ხომასურიძე,** საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ბოლო ერთი წელინადია, ქართველმა მოცურავეებმა შედეგები შესამჩნევად გააუმჯობესეს. დასტურად მათ მიერ დამყარებული ეროვნული რეკორდებიც გამოდგება. მართალია, საერთაშორისო ნორმატივებისგან ჯერ კიდევ შორს ვდგავართ, მაგრამ ირაკლი ბოლქვაძემ დაგვარწმუნა, რომ ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა უახლოეს ხანში შეიძლება. ეს კი მწვრთნელების ერთსულოვნების, ჩვენი ფედერაციის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის სამინისტროს თანადგომის შედეგია. ირაკლი ბოლქვაძეს კი ვულოცავ ლიცენზიას და ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედალს. გვჯერა, რომ ეს ახალგაზრდა სპორტსმენი მომავალშიც არაერთხელ გაგვახარებს.

**ბესიკ ნადირაძე,** საქართველოს ველორბოლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: საგზატკეცილო ველოსპორტი ურთულესი სახეობაა. აქ ნაკრების 7-9 წევრი იბრძვის, ერთმა თანაგუნდელმა მიაღწიოს წარმატებას. ცხადია, ასეთი ფუფუნება ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს, თუმცა გიორგი ნადირაძემ 14-წლიანი კარიერის განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო ორ წელინადში შეძლო ის, რომ ქვეყნისთვის ოლიმპიური ლიცენზია მოეტანა.

გიორგი ნადირაძე 24 წლისაა. დაამთავრა სპორტის აკადემია. საქართველოს 15-გზის ჩემპიონია: 10-გზის საგზატკეცილო და 5-ჯერ სატრეკო ველორბოლაში. საერთაშორისო ტურნირებშიც არაერთხელ მიუღწევია წარმატებისთვის. უზომოდ არის შეყვარებული ველოსპორტზე, თუმცა ავტოშეჯიბრებები და ცურვაც არანაკლებ იტაცებს. კერპად სახელოვან ველომრბოლ ამსტრონგს მიიჩნევს.

**მიზანი:** ლონდონის ოლიმპიადაზე ქომაგთა იმედების გამართლება. ვფიქრობთ, რომ ასეც იქნება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ...და სამი ქართველი

ფილადელფიაში დაიწყო მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 100-ზე მეტმა მონაწილემ (მათ შორის — 30 დიდოსტატი) მოიყარა თავი. მოასპარეზეთა შორის არიან ქართველებიც. სამი ტურის შემდეგ სამივე ჩვენებურმა 2-2 ქულას მოუყარა თავი. **გიორგი ყაჭეიშვილი** დაუზავდა ტომას ბარტელსა და მიხაილ კლეიმანს, ხოლო რობერტ პერესს საათი გააჩერებინა. **თამაზ გელაშვილმა** სედ ჰომა და რიჩარდ ტურიმი დაამარცხა (ყველა — აშშ), მეორე ტურში ბელარუს ვლადიმირ რომანენკოს დანებდა. **მიხეილ კეკელიძემ** შეჯიბრება ნაგებით (ანდრეი რუბასთან), მომდევნო ორ ტურში კი დანიელ კლენსს და ალექსანდრ ქინგს (ორივე — აშშ) აჯობა.

სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მარინ ბოსიოჩიჩი (ხორვატია) და სეტურამანი ინდოეთი) ლიდერობენ.

**ვაჟა დანელია**

# უდანაკარგოდ

თბილისელი დიდოსტატი **ლევან არაშიძე** ბარბერა დელ ვალესის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირში ჩაება, სადაც მთავარი პრიზისთვის 87 მოჭადრაკე იბრძვის. უკვე გათამაშდა ორი ტური. არაშიძემ ორივე შეხვედრა მოიგო: ინდოელ კრიშნას სძლია, შემდეგ კოლემბიელი მიგელ მოსგუერა დაჯაბნა. ჩვენებურის მსგავსად 2-2 ქულა კიდევ 13 მოჭადარკეს აქვს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომრის სტუმარი

## გია ნაცვლიშვილი

# ჩვენ გვყავს გუნდი, რომელსაც პეკინის შედეგების გაუმჯობესება შეუძლია

**ახლა მთელი მსოფლიოს ყურადღება ლონდონისკენაა მიმართული — ოციოდე დღეში დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში 30-ე საიუბილეო ზაფხულის ოლიმპიური თამაშები გაიხსნება. ცხადია, ამ უდიდესი სპორტული ფორუმისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი სპორტსმენები. რა მდგომარეობაა დღეისთვის საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში, ამის შესახებ გვესაუბრება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, რომელიც გუშინ „ლელოს" ესტუმრა. თუმცა, რაღა სტუმარი ეთქმის. მართებული იქნება — საკუთარ ოჯახს ეწვია: ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა ხომ 1989 წელს „ლელოს" რედაქციაში ჩაისახა და აქვე შეესხა ფრთები. გარკვეული პერიოდის განმავლობაში სეოკ-ი სწორედ რომ „ლელოს" რედაქციაში განაგრძობდა საქმიანობას.**

**როგორც ვთქვით, ძალიან ცოტა დრო დარჩა ოლიმპიადამდე, ამიტომ ჟურნალისტებს აინტერესებდათ მისთვის მზადების პერიპეტიები. ბატონმა გიამ მასმედიის წარმომადგენელთა სურვილები დააკმაყოფილა. ჩვეული პირდაპირობით და გულახდილობით უპასუხა ყველა შეკითხვას.**

**— ბატონო გია, უპირველესად, დაბადების დღეს გილოცავთ და პირველ შეკითხვასაც დაგისვამთ: როგორი განწყობა გაქვთ მოახლოებული თამაშების წინ?**

—დიდი მადლობა მოლოცვისთვის. ოთხი წლის ასაკიდან „ლელოს" მკითხველი ვარ. სხვა გაზეთების წარმომადგენლებს ნუ ეწყინებათ, რომ ბოლომდე ჩემთვის საყვარელი გაზეთის ტრფიალი დავრჩი. სპორტულ ორთაბრძოლებში ობიექტური კრიტერიუმებია და მათი შესაბამისად ასახვა სწორედ ამ გაზეთში ხდება. თუმცა, არც ერთ ჟურნალისტთან ურთიერთობისას პრობლემები არ მქონია. არ მეზარება არც ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა. თანაც ისეთი პასუხებისა, რომლებიც მკითხველებისთვის უცნობი და საინტერესო იქნება.

ორი წლის წინ საკმაოდ პესიმისტური განწყობა მქონდა, რადგან რეალურად მოხდა ისე, რომ ოლიმპიადის გამარჯვებულები, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონობაც და ჯილდოებიც, სარბიელზე არ ჩანდნენ. ვერაფერს ვიგებდი მათ შესახებ. ახალგაზრდები კი, რომლებიც უნდა ჩანაცვლებოდნენ, მყარად ვერ იდგნენ ფიხზე — შედეგებს ვერ აჩვენებდნენ. ისეთი რეალობის წინაშე დავდექით, რომ საკმაოდ მძიმე ოლიმპიადას ველოდებოდი. წინა თამაშებზე მოპოვებული სამი ოქროს გაუმჯობესებაზე თუ არა, მის გამეორებაზე მაინც ხომ უნდა იფიქრო და ასეთ სურათს რომ უყურებ, ცხადია, კარგ ხასიათზე ვერ იქნები. ხელფასს აძლევ, პირობას უქმნი — სხვა დაძალების ბერკეტი შენს ხელთ არ არის. რა უნდა ქნა, როცა გესმის პირობა: დღეს — ხვალო და ეს არ დაილია. ფაქტია, რომ სპორტს ზურგი აქცია ფავორიტთა უმრავლესობამ. ცხადია, ამას ვერ ვიტყვით უნიკალური შედეგების მქონე ნინო სალუქვაძეზე, რომელსაც ერთი დღეც არ შეუწყვეტია ვარჯიში და კვლავაც პირველმა მოუტანა საქართველოს ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზია. სხვები კი არ ჩანდნენ.

> ისეთი რეალობის წინაშე დავდექით, რომ საკმაოდ მძიმე ოლიმპიადას ველოდებოდი. წინა თამაშებზე მოპოვებული სამი ოქროს გაუმჯობესებაზე თუ არა, მის გამეორებაზე მაინც ხომ უნდა იფიქრო და ასეთ სურათს რომ უყურებ, ცხადია, კარგ ხასიათზე ვერ იქნები.

დღეს — ორი წლის შემდეგ — ჩემი განწყობა რადიკალურად შეიცვალა. ოპტიმისტურად ვუყურებ ლონდონის ოლიმპიადას, არა იმიტომ, რომ 35 ლიცენზია მოვიპოვეთ (თქვენს კოლეგას შეეშალა — წინაზეც 35 ლიცენზია გვქონდაო. ქართველმა სპორტსმენებმა პეკინისთვის 33 ლიცენზია მოიპოვეს, ოღონდ სპორტსმენი გვყავდა 35). ერთი სალიცენზიო ტურნირია მძლეოსნობაში დარჩენილი. ვერ გეტყვით, გაიზრდება თუ არა ჩვენი ოლიმპიური გუნდი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ შედეგებია შესამჩნევად გაუმჯობესებული. გული მწყდება, რომ შარშან მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი საგზური აშკარად წაგვართვეს. არა მგონია, მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში კიდევ განმეორდეს. მოფარიკავე სანდრო ბაზაძეს მცირედი დააკლდა ლიცენზიამდე. ზედ სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფეხი მოიტეხა ბატუტზე მხტომელმა თენგიზ კოშკაძემ. ასევე, დაიჩაგრა ნყალმხტომელი ჭოლა ჭანტურია. კრივშიც იყო ჩავარდნა. სალიცენზიო ტურნირზე სამ სპორტსმენს შეეძლო თითო მოგებით საგზური მოეპოვებინა. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთ საგზურს დავჯერდით. ყოველივეს მიუხედავად, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩვენ გვყავს გუნდი, რომელსაც პეკინის შედეგების გაუმჯობესება შეუძლია.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— თავისუფალში, ძიუდოში, ბერძნულ-რომაულში გვყავს ისეთი ფალავნები, რომლებსაც ხელენიფებათ კვარცხლბეკზე ასვლა. ნინო სალუქვაძეზე ვინ იტყვის, რომ იგი მედლის რეალური კანდიდატი არ არის. მშვილდოსანმა ქრისტინე ესებუამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი აიღო, ოლიმპიადაზეც ფავორიტი იქნება. ლონდონში, ობიექტური რომ ვიყო, სულ მცირე, 7-8 მედალს ველოდები. ერთადერთი პრობლემა ჩვენთვის გუნდის ახალგაზრდული ასაკია. სპორტსმენების უმრავლესობა გამოუცდელია და რამდენად გაუძლებენ ფსიქოლოგიურ წნეხს, ამაზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

> ჩვენ გვყავს გუნდი, რომელსაც პეკინის შედეგების გაუმჯობესება შეუძლია.

**— თავიდან რამდენ ლიცენზიას ვარაუდობდით?**

— ჩემი პესიმისტური მოსაზრება იყო 30 ლიცენზია, ოპტიმისტური 35 და ძალიან ოპტიმისტური 40. არადა, თავისუფლად შეიძლებოდა ამ რაოდენობაზე გასვლა. დღეს კი მთავარი ის არის, რომ 35 ლიცენზიატი გვყავს და მედლებს ველოდებით, რადგან თითოეულმა სპორტსმენმა საფუძვლიანი მომზადება გაიარა და ყველაფერი ეს შედეგებში უნდა აისახოს.

**— ორგანიზაციული საკითხები როგორ გვარდება, რა ვერ არის ისე, როგორც ისურვებდით?**

— აბსოლუტურად ყველა პრობლემა მოგვარებულია: ძირითადი დელეგაცია ლონდონში ჩარტერული რეისით 25-ში გაემგზავრება გულშემატკივართა ჯგუფთან ერთად, დაახლოებით 148 კაცი. ის თვითმფრინავი თბილისში 4 აგვისტოს დაბრუნდება და იმავე დღეს მეორე ჩარტერით მეორე ნაკადი ჩავა ლონდონში. ბევრი სპორტსმენი შეჯიბრებისთვის შინ მომზადებას ამჯობინებს და მართებულადაც მიმაჩნია. აჟიოტაჟში ყოფნას სამშობლოში მშვიდად ვარჯიში ჯობია. ოლიმპიურ დელეგაციასთან ერთად ლონდონში 200 კაცი შეიკრიბება და, გულშემატკივრობის თვალსაზრისით, ეს ურიგო არ იქნება. მით უმეტეს ის დარბაზი, სადაც ჭიდაობები გაიმართება, დიდი არ არის. მასპინძლებს სახელოვანი ფალავნები ნაკლებად ჰყავს, ამდენად ინგლისელი გულშემატკივრის მოზღვავებაც ნაკლებად ივარაუდება. ქართველი მაყურებელი კი მრავლად იქნება. ასე რომ, ჩვენი ძიუდოისტები და მოჭიდავეები დარბაზში უცხოდ ნამდვილად არ იგრძნობენ თავს. დარწმუნებული ვარ, რომ ლონდონის ტატამსა და ხალიჩაზე, ვინც მედლებისთვის იბრძოლებს, ნამდვილად არ დაიჩაგრება. ამის თქმის უფლებას დარბაზების ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად ის საქმიანი ურთიერთობებიც მაძლევს, რაც ჩვენს ორგანიზაციას მსოფლიო ფედერაციებთან აქვს. უნებლიე შეცდომებისგან კი, ცხადია, დაზღვეული არავინაა.

> არ მეზარება არც ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა. თანაც ისეთი პასუხებისა, რომლებიც მკითხველებისთვის უცნობი და საინტერესო იქნება.

**— ნახალისებაზე რას იტყვით?**

— გაცილებისას პრეზიდენტთან მოეწყობა შეხვედრა და ეს იქ გაცხადდება. ვფიქრობ, რომ საპრემიოდ სოლიდური თანხა იქნება. რამდენი? ამას სულ მალე შეიტყობთ. თანაც ისეთი პრემია იქნება, რომ აქტიურ სპორტს ჩამოშორებულ სპორტსმენებსაც მოუნდებათ ვარჯიშების განახლება.

**— გუნდურ სახეობებში როდის გველირსება ოლიმპიადაზე გამგზავრება?**

— ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად რომ ამირჩიეს, მთავარი ყურადღება წყალბურთზე გავამახვილე. ეს ზედმეტად თამამი სურვილი იყო, რადგან სათანადო ბაზა არ გვქონდა, არც მაღალი კლასის წყალბურთელები გვყავდა ძლიერი გუნდის შესაქმნელად. ნატურალიზებული სპორტსმენებით, ცხადია, პერსპექტიული ნაკრების ჩამოყალიბება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუმცა ჩვენს გუნდს ცუდად არ უასპარეზია: დავმარცხდით საკმაოდ წარმატებულ საბერძნეთთან და რუმინეთთან, რომლებმაც სალიცენზიო ეტაპი შესანიშნავად დაძლიეს და ლონდონში ოლიმპიური მედლებისთვის იბრძოლებენ. სამომავლოდ წყალბურთზე კვლავაც გავამახვილებთ ყურადღებას, რადგან ტრადიციაც ხელს გვინყობს და ფანტასტიკურად ნიჭიერი თაობა მოდის. ახალგაზრდებს რევაზ ჩომახიძე ავარჯიშებს, ჭაბუკებს — იოვან პოპოვიჩი. ამ მოზარდებში ისეთი ბიჭებიც ურევია, მსოფლიო დონის წყალბურთს რომ ითამაშებენ, თუ წვრთნას მომავალშიც მონდომებით განაგრძობენ.

2016 წლის ოლიმპიადისთვის არანაკლებ პერსპექტივას ვხედავ ფეხბურთსა და კალათბურთში. იმ ჩვიდმეტი წლის ქართველ ფეხბურთელებს, რომლებმაც ევროპაზე შესანიშნავად ითამაშეს, ვერავინ იტყვის, რომ გაუმართლათ. შესარჩევსა და მერე ფინალურ ეტაპზე ისეთ გუნდებს აჯობეს, წარმატებას შემთხვევითს ვერაფრით დაარქმევ. ესპანეთი, ინგლისი, გერმანია — ამაზე ძლიერი გუნდები რომელი უნდა შეგხვდეს. უკომპლექსოდ ითამაშეს ყველა ფავორიტთან. ამიტომაც ბიჭების მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ.

იმავეს თქმა შეიძლება კალათბურთზეც. თუ გინდა, ოლიმპიურ თამაშებზე მოხვდე, გუნდში სულ მცირე NBA-ს დონის სამი კალათბურთელი მაინც უნდა გყავდეს. ლიტვაში ევროპის ჩემპიონატზე შანსი გაგვიჩნდა, ლონდონისკენ გაგვეხედა. ეს დროც დადგება: შენგელია წლეულს თუ არა, გაისად აუცილებლად იქნება NBA-ს მოთამაშე. სანიკიძე და მარკოიშვილიც საგრძნობლად დაწინაურდნენ. კიდევ მოუმატებენ. მოდის კარგი თაობაც, რომელსაც თამამად შეუძლია ნაკრებში ადგილის დამკვიდრება. წინ ხომ 3-4 წელინადია. ეს კი ოპტიმისტურად განგვაწყობს.

2016 წლის ოლიმპიადაზე მოხვედრის დიდი შანსი აქვს ჩვენს შვიდკაცა რაგბისაც. მართალია, აქ ჯერ ტრადიცია და გამოცდილებაც გვაკლია. თუმცა, ამ ხარვეზის გამოსწორება შეიძლება. ასე, რომ რიოს ოლიმპიადაზე ამ ოთხი სახეობიდან ერთ-ერთის მოხვედრა რეალურად მეჩვენება. ამ სახეობებში მე დიდ პოტენციალს ვხედავ. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ 2016 წლისთვის შეგვიძლია 50 ლიცენზიას პლუს ერთი გუნდი სათამაშო სახეობებიდან, რადგან დიდი პოტენციალია ფარიკაობაში, ასევე, მშვილდოსან ქალებსა და ვაჟებში. ამერიკაში ჩვენი ყმაწვილი ჩუბინები ფხაკაძე და რიჟამაძე ისე თამამად ებრძოდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომ ბევრი ქვეყნის მწვრთნელებს ნამდვილად შეშურდათ. გვაყავს კარგი წყალში მხტომელები, ნიჩბოსანი ნადირაძე, მძლეოსნობაში გაჩნდა პერსპექტივები. კარგია, რომ 2015 წლის ევროპის ახალგაზრდების ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების უფლება მოვიპოვეთ, არა იმიტომ, რომ მასპინძლები ვიქნებით, არამედ რეზერვი შეიქმნა: გუნდები ჩამოყალიბდა გოგონათა ხელბურთში, კალათბურთში, პერსპექტიული ბავშვები მოვიდნენ მძლეოსნობაში. მოზარდებს დაფინანსება არ მოაკლდებათ და დანარჩენი მათზეა დამოკიდებული.

**- ბატონო გია, ყველა ოლიმპიადაზე გვქონდა "ქართული სახლი"...**

- ამ მხრივ გამონაკლისი, ცხადია, არც ლონდონი იქნება. ინგლისის დედაქალაქის ცენტრში გვექნება სასახლე, სადაც ჩვენი ქვეყნის წარდგენას და უცხოელებისთვის გაცნობას შევძლებთ, უფრო მრავალფეროვანი კულტურული პროგრამე გვექნება, ვიდრე ოდესმე გვქონია.

**— ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ბრძანდებით. ევროპის ჩემპიონატზე რას იტყვით, ვის ქომაგობდით?**

- კონტინენტის პირველობის ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებს ვესწრებოდი. საერთოდ, არგენტინის გულშემატკივარი ვარ, ევროპაში კი ესპანეთს ვქომაგობ. ამ ორი ქვეყნის ფეხბურთს ყოველთვის ჩვენსას ვადარებდი და ვაიგივებდი, არჩევანიც ამან განაპირობა. ცხადია, კმაყოფილი დავრჩი, რომ ესპანეთმა რომ გაიმარჯვა, თუმცა ეს ყველაფერი უკვე ჩავლილია და ახლა ჩემი ფიქრი ლონდონსა და 30-ე ოლიმპიურ თამაშებს დასტრიალებს. ვცდილობთ, არაფერი გამოგვრჩეს, სპორტსმენებს მაქსიმალურად დავუდგეთ გვერდით, ასპარეზობამდე ვარჯიშისა და აქტიური დასვენების ყველა პირობა შევუქმნათ, რათა მათ ლონდონში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა შეძლონ და გამარჯვებებით გაგვახარონ.

**ვაჟა დანელია**

თბილისი ყველაზე ულამაზესი ქალაქია

# ევროჩელენჯი 2012-13

ევროჩელენჯი. წილისყრა

## არმიას სამი სამიზნე: გერმანია, ბელგია, ისრაელი

**გერმანიის ქალაქ ფრეისინგში გაიმართა ევროჩელენჯის წილისყრა. ბოლო ორი წელია, ამ შეჯიბრებისადმი ქართველთა ინტერესმა საგრძნობლად იმატა, რადგან მასში ჩვენი ჩემპიონი „არმია" მონაწილეობს.**

წილისყრის წინ გუნდები რამდენიმე კალათაში განაწილდა. მესამეში იყო „არმია", რომელსაც საბოლოოდ სერიოზული მეტოქეები ერგო: გერმანული „ტელეკომი" (ბონი), ბელგიური „ანტვერპენი" და ებრაული „ჰაპოელი" (ჰოლონი).

საინტერესოა, რომ წილისყრისას ერთი ქვეყნის არაერთი გუნდი მოხვდა ერთ ჯგუფში. მაგალითად, ბელგიური „მონსი" და „აალსტარი", უნგრული „შოლნოკი" და „ტიმიშოარა", შვედური „ნორჩოპინგი" და „სოდერტალიე".




ევროჩელენჯის წლევანდელი გათამაშება 25 სექტემბერს დაიწყება, საკვალიფიკაციო ეტაპის რვა გუნდი ჯგუფური ეტაპის ოთხი საგზურისთვის იბრძოლებს. დანარჩენი 28 კლუბი 8 ქვეჯგუფში განაწილდა, მათ კვალიფიკაციაგავლილებიც დაემატებიან და ჯამში 32 გუნდი მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად იბრძოლებს. ამისთვის კი აუცილებელია ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილის დაკავება. სწორედ ამ მიზნისთვის იბრძოლებს „არმია", რომელსაც გასულ სეზონში ტოპ-16-ში გასასვლელად ერთი ნაბიჯი დააკლდა.

„არმია" სადებიუტო მატჩს სტუმრად „ჰაპოელთან" ჩაატარებს. შეხვედრა 6 ნოემბერს გაიმართება. ხოლო პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაში 11 დეკემბერსაა - „არმია" ბონის „ტელეკომს" უმასპინძლებს. სავარაუდოა, ამ შეხვედრას ჯგუფში ადგილების განაწილებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგან მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდები არიან შეკრებილნი და ნაკლებად სავარაუდოა, რომელიმემ ბოლო ტურამდე დადებითად გადაწყვიტოს ჯგუფიდან გასვლის საკითხი. თუმცაღა, ძალიან გვინდა ეს „არმიამ" შეძლოს.




ბონის ტელეკომის ახალწვეული პატრიკ იუინგ ჯუნიორი

### საკვალიფიკაციო ეტაპი

1. ალიაღა (თურქეთი)-კატაია (ფინეთი)
2. აპოლონი (კვიპროსი)-კლოშტერნეუბურგი (ავსტრია)
3. ურალი (რუსეთი)-მედიაში (რუმინეთი)
4. თოფაზი (თურქეთი)-რაკვერე (ესტონეთი)

**A ჯგუფი:** კრკა (სლოვენია), ეტა (კვიპროსი), ქარშიაქა (თურქეთი), მე-4 საკვალიფიკაციო წყვილის გამარჯვებული.

**B ჯგუფი:** კრასნიე კრილია (რუსეთი), კერავნოსი (კვიპროსი), პლოიეშტი (რუმინეთი), 1-ლი საკვალიფიკაციო წყვილის გამარჯვებული.

**C ჯგუფი:** ვენტსპილსი (ლატვია), ნორჩოპინგი (შვედეთი), ტამპერე (ფინეთი), სოდერტალიე (შვედეთი).

**D ჯგუფი:** ხიმიკი (უკრაინა), ტარტუ (ესტონეთი), დიჟონი (საფრანგეთი), მე-3 საკვალიფიკაციო წყვილის გამარჯვებული.

**E ჯგუფი:** მონსი (ბელგია), აალსტარი (ბელგია), პარიზი (საფრანგეთი), პიტეშტი (რუმინეთი).

**F ჯგუფი:** შოლნოკი (უნგრეთი), ოლდენბურგი (გერმანია), კიორმენდი (უნგრეთი), ტიმიშოარა (რუმინეთი).

**G ჯგუფი:** გრაველინი (საფრანგეთი), მინსკი 2006 (ბელორუსი), ნანსი (საფრანგეთი), მე-2 საკვალიფიკაციო წყვილის გამარჯვებული.

**H ჯგუფი:** ანტვერპენი (ბელგია), ტელეკომი (გერმანია), **არმია (საქართველო)**, ჰაპოელ ჰოლონი (ისრაელი).

### H ჯგუფის კალენდარი

**6 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| 19:30 | ჰაპოელი-არმია |
| 20:30 | ანტვერპენი-ტელეკომი |

**13 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| 19:30 | ტელეკომი-ჰაპოელი |
| 18:00 | არმია-ანტვერპენი |

**20 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| 19:30 | ჰაპოელი-ანტვერპენი |
| 20:30 | ტელეკომი-არმია |

**27 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| 18:00 | არმია-ჰაპოელი |
| 19:30 | ტელეკომი-ანტვერპენი |

**4 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| 20:30 | ანტვერპენი-არმია |
| 19:30 | ჰაპოელი-ტელეკომი |

**11 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| 20:30 | ანტვერპენი-ჰაპოელი |
| 20:30 | არმია-ტელეკომი |

ვაჟა სიმონიშვილი

ევროჩელენჯი. ინტერვიუ კოტე ტულუშთან

## ვინ არის ფავორიტი სიკვდილის ჯგუფში?

კოტე ტულუში ბეშიქთაშთან მატჩისას

ამავე გვერდზე გაეცნობოდით ევროჩელენჯის 2012-13 წლების გათამაშების წილისყრის შედეგებს. დარწმუნებულნი ვართ, მკითხველს მთავარი მწვრთნელის, კოტე ტულუშის მოსაზრება ძალიან აინტერესებს. გუშინ, წილისყრის დამთავრებიდან რამდენიმე საათში გერმანიაში ბატონ კოტეს დავუკავშირდით და ვილაპარაკეთ როგორც მეტოქეებზე, ასევე „არმიაზე".

**- ჩვენს ჯგუფში თანაბარი ძალის გუნდები შეიკრიბნენ. არადა, იყო ზოგიერთი ისეთი კლუბი, რომელთანაც „არმია" შეიძლებოდა ფავორიტადაც ჩათვლილიყო.**

- თითქმის ყველა ჯგუფში ერთი გამოკვეთილი ლიდერია, ჩვენთან კი ამას ვერავისზე ვიტყვით. წლევანდელ გათამაშებაში არაერთი დებიუტანტი გუნდი გამოდიოდა, რომლებთან შეხვედრაც ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ საბოლოოდ ბელგიის „ანტვერპენი", გერმანიის „ტელეკომი" და ისრაელის „ჰაპოელი" შეგვხვდა. წინასწარ ძნელი სათქმელია, რომელია ფავორიტი და რომელი - აუტსაიდერი. საერთოდ კი, H ჯგუფი სიკვდილისად მონათლეს.

**- წილისყრის შემდეგ მეტოქეების წარმომადგენლებს თუ შეხვდით?**

- სამივე კლუბის მესვეურს ვესაუბრეთ და რამდენადაც მოულოდნელი უნდა იყოს, ფავორიტად ყველა „არმიას" მიიჩნევს, ორგანიზებული და ძლიერი გუნდიაო. „ჰაპოელის" წარმომადგენლებმა მითხრეს: წილისყრამდე ღონისძიების ორგანიზატორებს ველაპარაკეთ, კლუბები განვიხილეთ და გვისურვეს, „არმიას" არ შეხვედრილიყავითო. საბოლოოდ, „ჰაპოელი" და „არმია" მაინც ერთ ჯგუფში აღმოჩნდნენ და, ვფიქრობ, საინტერესო ორთაბრძოლები გველის.

**- გერმანელები ყოველთვის ცდილობენ შემადგენლობის შენარჩუნებას. რა თქვეს, გასული სეზონის შემდეგ გუნდში სერიოზული ცვლილებები თუ იგეგმება?**

- „ტელეკომმა" ახლახან დაიმატა პატრიკ იუინგის ვაჟი, შემადგენლობა თითქმის ბოლომდეა შევსებული. როგორც მითხრეს, მხოლოდ ორ კალათბურთელს ეძებენ: მსუბუქ ფორვარდსა და მეფარეს. სხვათა შორის, „ტელეკომის" წარმომადგენლები შარშანდელი წილისყრისას გავიცანი. მაშინ მათ ჯგუფში „სუხუმი" უნდა მოხვედრილიყო და თბილისის შესახებ მკითხეს. ამჯერად ბონელები ჩვენთან აღმოჩნდნენ და კლუბის წარმომადგენლებთან ერთადაც ვისადილეთ. ისიც შევიტყვე, რომ გერმანიაში წესი შეცვლილა და თითოეულ გუნდს შეუძლია განაცხადში 6 უცხოელი ჰყავდეს. ცნობისთვის გეტყვით, რომ ევროჩელენჯზე შიდა ჩემპიონატების წესები ვრცელდება. მაგალითად, საქართველოს ჩემპიონატში ხუთი ლეგიონერის დამატების უფლება გვაქვს. სწორედ ამდენი დაგვეხმარება მომავალ სეზონში როგორც ევროჩელენჯზე, ასევე საქართველოს პირველობაზე.

**- ბელგიურ „ანტვერპენზე" რა ინფორმაციას ფლობთ?**

- ბელგიელებმა შეხვედრისთანავე გვკითხეს - უილიამ ტომასი გაისადაც თქვენთან ითამაშებსო? იგი საქართველოში ჩამოსვლამდე ბელგიის „ოოსტენდეს" ღირსებას იცავდა და იქაურები კარგად იცნობენ. როგორც ყოველთვის, ბელგიური კლუბები სტაბილურობით გამოირჩევიან. გასულ სეზონში, ბელგიის რეგულარულ ჩემპიონატში „ანტვერპენმა" „შარლერუას" გაასწრო და მეორე ადგილი დაიკავა. გუნდს კარგი მწვრთნელი ჰყავს - ედი კასტელსი, რომელიც პარალელურად ბელგიის ნაკრების თავკაცია.

**- ჩვენთვისაც საინტერესოა, რა უთხარით მონინაალმდეგეთა წარმომადგენლებს „არმიას" შესახებ...**

- ვესაუბრე შემადგენლობაზე, თუმცა ჯერჯერობით ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. მაგალითად, ჯერემი რიჩარდსონი NBA-ს საზაფხულო ლიგაზე „ფილადელფიაში" ითამაშებს. დიდი სურვილი აქვს, კარიერა ამერიკაში განაგრძოს.

**- უილიამ ტომასისა და ბენჟამინ ვუდსაიდის დაბრუნებას თუ აპირებთ?**

- დიდი სურვილი გვაქვს, რიჩარდსონთან ერთად ბენიც და უილიც „არმიაში" დავიბრუნოთ, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. ვეცდებით, ისეთი გუნდი შევკრათ, ქართველი ქომაგის იმედებს რომ გაამართლებს.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

## მეორე მარცხი ესტონეთში

6 ივლისი, ტალინი

**ესტონეთი-საქართველო 96:77**

25:15, 31:19, 21:24, 19:19

**საქართველო:** ფხაკაძე (8ქ), სანაძე (10ქ, 8მ), ბოქოლიშვილი (12ქ), ბურჯანაძე (21ქ, 8მ), ალხანაიძე (10ქ); ტეტელაშვილი (6ქ), ჯავახიშვილი, თენიეშვილი (8ქ, 5მ), როგავა (2ქ).

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ესტონური ტურნე დაასრულა. **დავით უსტიაშვილის** გუნდმა მასპინძლებთან მეორე საკონტროლო მატჩიც წააგო, თუმცა იმხელა სხვაობით არა, როგორც პირველ შეხვედრაში.

ქართველებმა მასპინძლებს მეორე ტაიმი 3 ქულით მოუგეს, მაგრამ პირველი ჰქონდათ ისე დიდი სხვაობით წაგებული, რომ საბოლოო ჯამში 77:96 დამარცხდ-

ნენ. ესტონელებმა საწყის მეოთხედში 25:15 იმარჯვეს, ხოლო მეორეში უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ - 31:19. დიდი შესვენების შემდეგ ბალტიისპირელები 56:34 ლიდერობდნენ და საბოლოოდ გამარჯვებამდე მისვლა აღარ გასჭირვებიათ.

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო იყო **ბექა ბურჯანაძე,** რომელიც 21 ქულითა და 8 მოხსნით ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო. 12 ქულა ჰქონდა **მერაბ ბოქოლიშვილს,** ხოლო 10-10 **დუდა სანაძესა** და **ირაკლი ალხანაიძეს.**

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები საქართველოში დღეს ღამით გამოემგზავრება და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მზადებას თბილისში განაგრძობს. შეგახსენებთ, რომ დავით უსტიაშვილის გაწვრთნილი გუნდი კონტინენტის პირველობის პირველ მატჩს ლატვიასთან 12 ივლისს გამართავს. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები ლატვიელთა გარდა ესპანეთი და თურქეთი იქნებიან.

www.gbf.ge

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

## ბრიტანეთი ოქროს მთებს ელოდება

ოლიმპიური თამაშები ბრიტანეთის ეკონომიკას უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში დამატებით 20 მილიარდ დოლარს მოუტანს და მთლიანად დაფარავს ოლიმპიადის ორგანიზებისთვის გაწეულ ხარჯებს. ასეთ ცნობებს აწვდის საზოგადოებას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი **დევიდ კემერონი**.

*„არ უნდა განვიხილოთ თამაშები, როგორც ძვირი სიამოვნება რთულ ეკონომიკურ პერიოდში,* - მიიჩნევს კემერონი. - *სწორედ ამ მძიმე პერიოდში უნდა მივიღოთ მაქსიმუმი, შევინარჩუნოთ სამუშაო ადგილები და ხელი შევუწყოთ ეკონომიკის ზრდას“.*

ბრიტანეთის მთავრობის შეფასებით, ოლიმპიადის ჩატარების შემდეგ, ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა 4.5 მილიონით გაიზრდება, რაც დამატებითი შემოსავალი იქნება ბიუჯეტისთვის.

## ბოლტი ლონდონამდე არ გაირბენს

100 და 200 მეტრზე სირბილში მსოფლიოს რეკორდსმენი **უსაინ ბოლტი** მონაწილეობას არ მიიღებს მონაკოში „ბრილიანტის ლიგის“ მორიგ ეტაპზე. იამაიკელმა მიზეზად ტრავმა დაასახელა. როგორც ბოლტი ამბობს, ეს პაუზა დაეხმარება მას ოლიმპიური სტარტებისთვის უკეთ მომზადებაში.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი პრობლემებისა და იამაიკის ჩემპიონატში **იოჰან ბლეიკთან** ორი მარცხის მიუხედავად, ლეგენდარული ამერიკელი **მაიკლ ჯონსონი** მიიჩნევს, რომ უსაინს შეუძლია 100 მეტრზე თავისი რეკორდის გაუმჯობესება, რომელიც 9.58 წამს უდრის. *„თუ უსაინი მაქსიმალურად კონცენტრირებული იქნება და სირბილის ტექნიკაზე იმუშავებს, მას შეუძლია 9.4 წამი აჩვენოს“*, - ამბობს ჯონსონი.

## ბრაზილიის გეგმები

ბრაზილიამ ოლიმპიური ნაკრების დაკომპლექტებისას არა სპორტსმენთა რაოდენობით, არამედ ხარისხით იხელმძღვანელა. სულ ლონდონში ბრაზილიიდან 259 სპორტსმენი (136 მამაკაცი და 123 ქალი) გაეგზავრება. ისინი სპორტის 32 სახეობაში მოსინჯავენ ძალებს. ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მტკიცებით, ყველა სპორტსმენი „უმაღლესი ხარისხისაა“ და მათ უმკაცრესი შერჩევა გაიარეს.

ნაკრების ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ოლიმპიური გუნდი დაახლოებით ისე გამოვა, როგორც ეს პეკინში გააკეთა. მაშინ 277 სპორტსმენისგან შემდგარი ნაკრების მონაგარი იყო - სამი ოქრო, ოთხი ვერცხლი და რვა ბრინჯაო. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2004 წელს ათენში ბრაზილიელებს ხუთი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავდათ, თუმცა ნაკრების შემადგენლობა 30 სპორტსმენით ნაკლები იყო.

## მედლებს საიმედოდ ინახავენ

ზაფხულის ოლიმპიადის ყველა მედალი (სულ 4700) ორგანიზატორებმა თაუერის ციხე-სიმაგრეს მიაბარეს. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ბრიტანეთის ერთ-ერთი უძველესი შენობის სეიფებში ინახება.

შეგახსენებთ, რომ ლონდონში ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე დიდი მედლები დარიგდება – დიამეტრი 85 მილიმეტრს უდრის, სისქე – 7 მილიმეტრია, წონა კი 400 გრამს შეადგენს. დიზაინი მხატვარმა **დევიდ უიტკინსმა** და იუველირმა **ლინ ჩუნმა** შექმნეს.

მედლის ერთ მხარეს გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი – ნიკე, მეორე მხარეს, ცენტრში ლონდონის თამაშების ლოგო.

## დრიმ თიმის ორი კაპიტანი

ამერიკის საკალათბურთო ნაკრების ხელმძღვანელობამ გუნდის კაპიტნებად **კობი ბრაიანტი** და **ლებრონ ჯეიმსი** აირჩია.

*„კობი - სერიოზული მამაკაცი გახლავთ და ამის გამო ის კიდევ უფრო დიადია. ამით გამოირჩევა ის გუნდში. თავის მხრივ, ლებრონს შეუძლია შეინარჩუნოს ნაკრებში კარგი და მხიარული განწყობა. სწორედ ეს კომბინაცია მჭირდება. ისინი გუნდის კაპიტნები იქნებიან“*, - განაცხადა მაიკ კაჟიეევსკიმ.

შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადაზე „დრიმ თიმს“ სამი კაპიტანი ჰყავდა - **ჯეისონ კიდი**, კობი ბრაიანტი და ლებრონ ჯეიმსი.

## ყველა, გორდონის გარდა

ბრიტანეთის საკალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კრის ფინჩმა** ოლიმპიადაზე მონაწილეობისთვის ქვეყნის 12 საუკეთესო კალათბურთელი შეკრიბა. გამონაკლისია მხოლოდ NBA-ის ლეგიონერი **ბენ გორდონი**, რომელმაც პირადი მიზეზების გამო უარი თქვა ნაკრებში თამაშზე.

მასპინძლების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მცველები** – მაიკ ლენზლი (ნიმბურკი, ჩეხეთი), ენდრიუ ლოურენსი(ჩარლსტონის კოლეჯი, აშშ), ნეიტ რეინკინგი (შეფილდი), კიალ ჯონსონი (აპოელ, კვიპროსი);

**ფორვარდები** – ლუოლ დენგი (ჩიკაგო – NBA), ენდრიუ სალივანი (ლესტერი), კირონ ეჩარა (მანრესა, ესპანეთი), ჯოელ ფრილენდი (უნიკახა, ესპანეთი), პოპს მენსა-ბონსუ (ბეშიქთაში, თურქეთი);

**ცენტრები** – ერიკ ბოატენგი (პერისტერი, საბერძნეთი), დენ კლარკი (ესტუდიანტესი, ესპანეთი), რობერტ არჩიბალდი (სარაგოსა, ესპანეთი).

## ნოას გარეშე, მაგრამ პარკერით

ასევე გამოცხადდა ფრანგების განაცხადი. შემადგენლობაში ვხედავთ „სან ანტონიო სპურსის“ გამთამაშებელ **ტონი პარკერს**, თუმცა მისი მონაწილეობა ლონდონის თამაშებში ჯერაც კითხვის ნიშნის ქვეშ არის. შეგახსენებთ, რომ მიზეზი ნიუ იორკის ღამის კლუბში მომხდარი ჩხუბის დროს მიღებული თვალის ტრავმაა.

ტრავმის გამო ვერ ვხედავთ ფრანგების რიგებში „ჩიკაგოს“ ცენტრს **ჟოაკიმ ნოას**, **ვენსან კოლეს** გუნდის სრული სია კი ასეთი გახლავთ:

**მცველები** - იანიკ ბოკოლო (გრაველენი), ნანდო დე კოლო (ვალენსია, ესპანეთი), ტონი პარკერი (სან ანტონიო, NBA), ფაბიენ კაზერი (კახა ლაბორალი, ესპანეთი);

**ფორვარდები** - ნიკოლა ბატუმი (პორტლენდი, NBA), ბორის დიაო (სან ანტონიო, NBA), მიკაელ ჟელაბალი (უკლუბოდ), შარლ კაუდი (ლე მანი), ფლორან პიეტრუსი (ვალენსია, ესპანეთი);

**ცენტრები** - კევინ სარაფინი (ვაშინგტონი), რონი ტურიაფი (მაიამი, NBA).

კალათბურთი

# კიდი ნიუ იორკში... ლინის ნაცვლად

## ასოციაციაში დიდი გარიგებების დრო

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გრძელდება სატრანსფერო ციებ-ცხელება. მორიგი მნიშვნელოვანი გარიგება „ნიუ იორკმა“ განახორციელა. ამ გუნდთან კონტრაქტი გააფორმა ვეტერანმა გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** (გასულ სეზონში - 6.2 ქულა, 5.5 პასი). 39 წლის კალათბურთელი, რომელიც 2008 წლიდან „დალასში“ თამაშობდა, სამი წლის განმავლობაში 9 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

„ნიქსისთვის“ კიდი არ ყოფილა მთავარი სატრანსფერო სამიზნე. კლუბის ხელმძღვანელობა კანადელი გამთამაშებლისთვის **სტივ ნეშისთვის** იბრძოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა „ლეიკერსი“ აირჩია. ამიტომაც მოუწიათ ნიუიორკელებს სასწრაფოდ კიდის ვარიანტზე გადართვა.

„ნიუ იორკის“ ბანაკიდან კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ ამ გუნდმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა 29 წლის ფორვარდ **ჯეიმს უაიტთან**. კალათბურთელმა, რომელიც 2006 წლის დრაფტის მეორე რაუნდში „პორტლენდმა“ აირჩია, ფეხი ვერ მოიკიდა „სან ანტონიოსა“ და „ჰიუსტონში“, რის შემდეგაც ევროპაში გადავიდა და იქ „ფენერბაჰჩეში“, სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკსა“ და „სასარიში“ თამაშობდა.

შარშანდელი სეზონი უაიტმა იტალიის „სკავოლინის“ რიგებში ითამაშა და სერია A-ში საშუალოდ 16.8 ქულა და 4.5 მოხსნა დააგროვა.

### ლინი ჰიუსტონში წავიდა

ვარაუდობდნენ, რომ კიდი „ნიუ იორკში“ **ჯერემი ლინის** დუბლიორი იქნებოდა, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ კიდი „ნიქსის“ სასტარტო ხუთეულში იქნება. შარშანდელი სეზონის სენსაციამ ლინმა (14.6 ქულა, 6.2 პასი) კონტრაქტის დეტალები შეათანხმა „ჰიუსტონთან“. ეს არის სამწლიანი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ის პირველ ორ სეზონში ხელფასის სახით 10.2 მილიონ დოლარს მიიღებს, მესამე წელს - 9.3 მილიონს. ჯერემმ „როკეტსში“ შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი ლიდერი **კაილ ლოური** უნდა შეცვალოს, რომელიც გუშინ, ტრეიდის მეშვეობით „ტორონტოში“ გადავიდა.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, „ჰიუსტონს“ ლინი მხოლოდ სათამაშო თვისებების გამო არ აურჩევია. ამ შენაძენით „რაკეტები“ კარგ მარკეტინგულ სვლას აკეთებენ. როგორც ცნობილია, ლინი აზიაშიც ძალიან პოპულარულია, „ჰიუსტონის“ ხელმძღვანელობას კი კარგად ახსოვს, რამხელა შემოსავალი მოჰქონდა გუნდისთვის ჩინელ ცენტრს **იაო მინს**.

# რეი და ბაჭუმი მინესოტას



ჯეისონ კიდი

გუშინ სხვა საინტერესო ტრანსფერების მოწმენიც გავხდით. იაქტიურა „მინესოტამ“, რომელმაც ზეპირ შეთანხმებას მიაღწია **ბრენდონ როისთან**. „პორტლენდის“ ყოფილი მცველი დათანხმდა ორწლიან ხელშეკრულებას, რომლის ღირებულება 10.4 მილიონ დოლარს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ ამ კალათბურთელმა ორივე მუხლის ქრონიკული ტრავმის გამო გასულ სეზონის წინ დატოვა დიდი სპორტი, მაგრამ ახლა დაბრუნება გადაწყვიტა.

„მინესოტას“ კიდევ ერთი ახალწვეული გახდება ასევე „პორტლენდის“ მოთამაშე **ნიკოლა ბატუმი** (13.9, 4.6 მოხსნა). ფრანგმა ფორვარდმა ხელი მოაწერა ოთხწლიან ხელშეკრულებას და ბონუსების გათვალისწინებით, ჯამში 50 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

■ ■ ■

ასევე გახდა ცნობილი, რომ „ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ ერთი წლით შეინარჩუნა ვეტერანი გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი**, რომელმაც შარშანდელ სეზონში ტრავმის გამო მხოლოდ 20 მატჩი ჩაატარა. 35 წლის კალათბურთელი მომავალ სეზონში 4.3 მილიონ დოლარს მიიღებს.

გარდა ამისა, კალიფორნიულმა კლუბმა თავისუფალი აგენტების ბაზრიდან აიყვანა „პორტლენდის“ მცველი **ჯამალ კროუფორდი** (13.9 ქულა, 3.2 პასი) და მას ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. კალათბურთელის წლიური ხელფასი დაახლოებით 5 მილიონი დოლარი იქნება.

# ევროლიგა დაჯგუფდა

გუშინ ბარსელონაში 2012-13 წლების სეზონის ევროლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა. პირველ ეტაპზე კვლავინდებურად 24 გუნდი ითამაშებს, რომელიც ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი.

**A ჯგუფი**

პანათინაიკოსი (საბ)
რეალი (ესპ)
ხიმკი (რუს)
ფენერბაჰჩე (თურ)
ოლიმპია (სლოვენ)
კვალიფიკაცია

**B ჯგუფი**

მაკაბი (ისრ)
მონტეპასკი (იტა)
ალბა (გერ)
უნიკახა (ესპ)
პროკომი (პოლ)
ზალონი (საფ)

**C ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი (საბ)
კახა ლაბორალი (ესპ)
ეფესი (თურ)
ჟალგირისი (ლიტ)
მილანი (იტა)
ზაგრები (ხორ)

**D ჯგუფი**

ბარსელონა (ესპ)
ცსკა (რუს)
პარტიზანი (სერ)
ლიტუვოს რიტასი (ლიტ)
ბამბერგი (გერ)
გეშიქთაში (თურ)

თითოეული ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ოთხი საუკეთესო გუნდი გადის.

რაც შეეხება საკვალიფიკაციო ტურნირს, მასში რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას და ის პლეი ოფის სისტემით ჩაივლის.

მეოთხედფინალური წყვილები ასე გამოიყურება:

**უნიქს (რუს)-ულმი (გერ)**
**ლე მანი (საფ)-დონეცკი (უკრ)**
**ნიმბურკი (ჩეხ)-ოსტენდე (ბელ)**
**კანტუ (იტა)-აკადემიკი (ბულ)**

ჯგუფურ ეტაპზე საკვალიფიკაციოს გამარჯვებული ერთი გუნდი მოხვდება.

■ ■ ■

ამასობაში, ევროლიგის მონაწილე გუნდები აგრძელებენ შემადგენლობის გაძლიერებას. უცნაური გადაწყვეტილება მიიღო ხორვატმა ცენტრმა **ანტე ტომიჩმა**, რომელმაც „რეალიდან“ "ბარსელონაში“ გადასვლა გადაწყვიტა. 217 სანტიმეტრი სიმაღლის კალათბურთელმა კატალონურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გასულ კვირას ბევრს წერდნენ იმის შესახებ, რომ ტომიჩი მოსკოვის ცსკა-ში აპირებდა გადასვლას, მაგრამ მან ესპანეთში დარჩენა ამჯობინა. ანტე 2010 წლის იანვარში გადავიდა „რეალში“ და ამ გუნდში ორწელინადნახევარი ითამაშა. შარშან, ესპანეთის ჩემპიონატში მისი სტასტიკა 8.0 ქულასა და 4.9 მოხსნას უდრიდა.

■ ■ ■

ლეგენდარულმა იტალიელმა სნაიპერმა, ვეტერანმა **ჯანლუკა ბაზილემ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კარიერას „მილანში“ გაგრძელებს. კალათბურთელის თქმით, ყველა დეტალი მოგვარებულია და უახლოეს დღეებში ერთწლიან კონტრაქტს მოეწერება ხელი.

ბაზილემ გასული სეზონი „კანტუს“ რიგებში გაატარა, მანამდე კი „ბარსელონაში“ თამაშობდა, რომელთან ერთადაც 2009-10 წლების სეზონში ევროლიგა მოიგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ოლიმპიაკოსი ტიტულს დაიცავს

ფორმულა 1. ბრიტანეთის გრანპრის წინ

# სილვერსტოუნი წვიმით დაიწყო



ჰემილტონი წვიმაში

ორი თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის მეცხრე ეტაპი. ამჯერად, შეხვედრის ადგილი ბრიტანეთის სილვერსტოუნია.

გასულ წელს აქ ფავორიტი აშკარა იყო - **სებასტიან ფეტელი**, რომელიც ეტაპს ეტაპზე იგებდა. წელს კი „რედ ბულის" პილოტი ვერ ბრწყინავს - მან მხოლოდ ერთი რბოლა მოიგო და გენერალურ კლასიფიკაციაში მოკრძალებულ მეხუთე ადგილზე იმყოფება. ლიდერი - ესპანელი **ფერნანდო ალონსოა**. ცნობისთვის, 2011 წელს ბრიტანეთის გრანპრის ტრიუმფატორი სწორედ ის გახდა, ფეტელი კი მეორე მივიდა ფინიშთან.

წლევანდელი რბოლის წინ სებასტიანმა კომპლიმენტები არ დაიშურა სილვერსტოუნის ავტოდრომის მისამართით. *„შეიძლება ითქვას, ეს ჩვენი საშინაო რბოლაა,* - განაცხადა 25 წლის მრბოლელმა. - *ჩვენი ბაზა ხომ სულ ახლოსაა. აქაურობა ყოველთვის მომწონდა. ტრასა საინტერესოა, გულშემატკივრები შესანიშნავად ერკვევიან ფორმულა 1-ში. თუმცა ისინი თავიანთ თანამემამულეებს დაუჭერენ მხარს".*

გუშინ სილვერსტოუნში წვიმდა და შაბათ-კვირას ამინდის შეცვლა არ არის ნავარაუდები. ფეტელი ამინდის კაპრიზებისთვის მზად არის. *„ვნახოთ, რა გამოგვივა. არ მგონია, რომ თოვლი წამოვიდეს,* - იხუმრა გერმანელმა. - *საერთოდ, ბრიტანეთში ხუთ წუთში შეიძლება ამინდი ორჯერ შეიცვალოს".*

წვიმა ახარებს „მერსედესის" პილოტ **მიხაელ შუმახერს**.

*„წვიმაში ჩვენი შანსები უფრო მაღალია, ვიდრე მშრალ ტრასაზე",* - ამბობს ლეგენდარული გერმანელი. ორი კვირის წინ, ვალენსიაში შუმახერმა პირველად ბოლო ორწელიწად-ნახევარში პოდიუმზე დაიკავა ადგილი. შუმი არ მალავს, რომ ესპანეთში მიღწეულმა წარმატებამ მასზე დადებითად იმოქმედა: *„რამდენიმე წარუმატებელი რბოლა ჩავატარე და აი, როგორც იქნა, წარმატებას მივაღწიე. არ დავმალავ - მესამე ადგილმა ყველა ძალიან გაგვახარა. განსაკუთრებით ტექნიკური ჯგუფი, რომელსაც შამპანური მოეწონა".*

სილვერსტოუნის ავტოდრომზე ბევრია სწრაფი მოსახვევი. სეზონის ლიდერს ფერნანდო ალონსოს მიაჩნია, რომ „სკუდერიას" ბოლიდს ეს ძალიან წაადგება. ბრიტანული ამინდის კაპრიზებს კი ესპანელი ოდნავ უფრთხის. *„თუ ამინდი ცვალებადი იქნება, კარგი შედეგის მიღწევა გაჭირდება",* - თქვა ფერნანდომ.

ესპანეთის საფეხბურთო ნაკრებმა მოიგო ევროპის ჩემპიონატი, **რაფაელ ნადალმა** კი სენსაციურად წააგო უიმბლდონის მეორე წრეში. ალონსომ აღიარა, რომ ესპანელი სპორტსმენების გამარჯვებები და წარუმატებლობები მის კონცენტრაციაზე არ მოქმედებს. *„რა თქმა უნდა, მინდოდა ნადალს ჩვენი ფეხბურთელებივით მოეგო,* - აღნიშნა ალონსომ. - *მე თვალს ვადევნებ სპორტულ მოვლენებს. რაღაც მიხარია, რაღაც მწყინს... მაგრამ ეს ჩემს მზადყოფნაზე არ აისახება".*

რა თქმა უნდა, სილვერსტოუნში მოგებას ეცდებიან ბრიტანელები „მაკლარენიდან" - **ლუის ჰემილტონი** და **ჯენსონ ბატონი**.

თუმცა ბატონი წელს არც ისე დამაჯერებლად გამოდის და საერთო ჩათვლაში მერვე ადგილი უკავია. საინტერესოა, რომ „რედ ბულის" პილოტმა **მარკ უებერმა**, რომელიც გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზეა, ფავორიტად სწორედ ჰემილტონი და ბატონი მიიჩნია.

*„გასულ რბოლაში ყველა აღფრთოვანებული იყო „რედ ბულის" ტემპით - ფეტელი და უებერი არანორმალურად სწრაფები იყვნენ, რაც აეროდინამიკური განახლებების დამსახურებაა,* - განაცხადა ბატონმა. - *ჯერჯერობით ჩვენ ჩამოვრჩებით ამ საკითხში, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი, რადგან სილვერსტოუნი - ჩქაროსნული ტრასაა. სწორედ ასეთ ავტოდრომებზეა ეფექტური ჩვენი ტექნიკური სიახლეები. იმედია, პროგრესს მივაღწევთ".*

რაც შეეხება გუშინდელ თავისუფალ პრაქტიკებს, ორივე ვარჯიშმა წვიმის თანხლებით ჩაიარა. პირველი პრაქტიკა „ლოტუსის" პილოტმა **რომენ გროსჟანმა** მოიგო, მეორე - ლუის ჰემილტონმა. დღეს, კვალიფიკაციის დროსაც წვიმას ვარაუდობენ.

### საერთო ჩათვლა

1. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 111 (2 მოგება); 2. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 91 (1); 3. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 88 (1); 4. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 85 (1); 5. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 75 (1); 6. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 73; 7. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 53; 8. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 49 (1); 9. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 39; 10. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 30 (1); 11. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 27; 12. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 21; 13. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 17; 14. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია, გერმანია) - 17; 15. **ბრუნო სენა** (უილიამსი, ბრაზილია) - 15; 16. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 11; 17. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 4; 18. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრია) - 2.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# გერმანული დუბლი

ტურ დე ფრანსის მეხუთე ეტაპისგან ტიპიურ სპრინტერულ გარჩევებს ელოდნენ. საბოლოოდ, მოვლენები სწორედ ამგვარი სცენარით განვითარდა, მაგრამ სინამდვილეში ძალიან საინტერესო და დრამატული ფინალი ვიხილეთ. სამწუხაროდ, ამჯერადაც იყო წაქცევები, რამაც გარკვეული როლი ითამაშა ფინიშზე ადგილების განაწილებაში.

ეტაპზე ტრადიციული გაქცევა ოთხმა ველომრბოლმა მოაწყო. ამჯერად მათმა აქტიურობამ კინაღამ შედეგი გამოიღო. პელოტონს მაქსიმალური დაძაბვით მუშაობამ მოუწია იმისთვის, რომ გაქცეულებს დასწეოდა. საბოლოოდ, ფინიშამდე 200 მეტრით ადრე **მატიო ლადანიუ, პაბლო ურტასუნი, იან ჰისელინკი** და **ჟულიენ სიმონი** პელოტონში ჩაიკარგნენ და ყველაფერი მზად იყო სპრინტერული ფინიშისთვის.

ფინიშამდე ორ-ნახევარი კილომეტრით ადრე პელოტონის შუაში წაქცევის შედეგად დაზარალდა ორი ძალიან კარგი სპრინტერი – **ტომ ვეელერსი** და **ტაილერ ფარარი**. კინაღამ იგივე ბედი ეწია წინა ეტაპის ტრიუმფატორს, გერმანელ **ანდრე გრაიპელს**, მაგრამ მან წონასწორობა შეინარჩუნა. გრაიპელმა დაახლოებით 40 პოზიცია დაკარგა, თუმცა მისმა გუნდმა "ლოტომ" იდეალურად იმუშავა და შესანიშნავად გაიყვანა შესატევ პოზიციაზე გერმანელი.

გრაიპელმაც ყველაზე სწორად შეარჩია შეტევის მომენტი და მშვიდად გაუსწორდა ყველა კონკურენტს, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონ **მარკ კევენდიშს**, რომელიც მეხუთე ადგილზე გავიდა. ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა **მეტიუ ჰოსმა**, მესამეზე იყო **ხუან ხოსე ხაედო**.

გრაიპელმა ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო

ანდრე გრაიპელმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა, სეზონში კი ეს მისი მე-15 მოგება იყო. გენერალურ კლასიფიკაციაში კი არაფერი შეცვლილა – ყვითელი მაისურა ისევ **ფაბიან კანჩელარას** აქვს, რომელიც **ბრედლი უიგინსს** შვიდ წამს უგებს.

### V ეტაპი

1. **ანდრე გრაიპელი** (გერმანია - Lotto-Belisol); 2. **მეტიუ ჰოსი** (ავსტრალია - Orica-GreenEdge); 3. **ხუან ხოსე ხაედო** (არგენტინა - SaxoBank-Tinkoff Bank); 4. **სამუელ დუმოლენი** (საფრანგეთი - Cofidis); 5. **მარკ კევენდიში** (ბრიტანეთი - Team Sky); 6. **ტომ ვეელერსი** (ჰოლანდია - Argos-Shimano); 7. **ოსკარ ფრეირე** (ესპანეთი - კატუშა); 8. **ალესანდრო პეტაკი** (იტალია - Lampre-ISD); 9. **სებასტიან ინო** (საფრანგეთი - Ag2r La Mondiale); 10. **იოან ჟენე** (საფრანგეთი - Europcar)...

### საერთო ჩათვლა

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიცარია, RadioShack-Nissan); 2. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0,07; 3. **სილვენ შავანელი** (საფრანგეთი - Omega Pharma-Quick Step) - +0,07; 4. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +0,10; 5. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორვეგია - Team Sky) - +0,11; 6. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატუშა") - +0,13; 7. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +0,17; 8. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +0,18; 9. **რეიდერ ჰესიედალი** (კანადა - Garmin-Sharp) - +0,18; 10. **ანდრეას კლიოდენი** (გერმანია - RadioShak-Nissan) - +0.19...

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2012**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| ესტონეთი-საბერძნეთი | 1:4 |
| პორტუგალია-ესპანეთი | 3:3 |
| საფრანგეთი-ხორვატია | 1:0 |
| სერბეთი-ინგლისი | 1:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-დუისბურგი | 5:1 |
| ბოტევი-რაკოვსკი | 2:0 |
| ვენა-უიპეშტი | 2:3 |
| აიაჩო-ბასტია | 1:5 |
| ანორთოსისი-პეტროლული | 0:0 |
| კლუჟი-ვიქტორია | 1:3 |
| რუხი-კარპატი | 1:3 |
| ვოივოდინა-კოპენჰაგენი | 2:2 |
| როზენჰაიმი-ჰამბურგი | 1:1 |
| ჰალეშერი-აუე | 3:1 |
| ლუცერნი-ბელინცონა | 1:1 |
| არმინია-ბრანშვაიგი | 1:0 |
| ბრიუგე-ტუბეკე | 3:0 |
| დარმშტადტი-ფრანკფურტი | 0:2 |
| რიდი-აპოელ | 2:3 |
| რამლინგენი-ჰანოვერი | 1:6 |
| ვოლფსბურგი-ოდენსე | 2:1 |
| სერკლი-ვონსი | 2:2 |
| შიროკი ბრიეგი-ზადარი | 2:1 |
| ელვინი-კოუდენგითი | 3:3 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| უნივერსიტი-დერი | 0:1 |
| შელბურნი-დანდალკი | 4:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| უოტერფორდი-ლიმერიკი | 2:1 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| დეპ. კიტო-დეპ. მაკარა | 3:0 |

**კალათბურთი**

**ოლიმპიადა**

**კვალიფიკაცია**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ანგოლა | 80:65 |
| საბერძნეთი-ნიგერია | 79:80 |

## TV პროგრამა

**7 ივლისი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. დორტმუნდი.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლიონი.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ნაპოლი.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ფულემი.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მანჩესტერ იუნაიტედი.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-რასინგი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. 1/2 ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
**14:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**15:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მონპელიე.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. მანსტერი-ალსტერი.
**19:00** ბრძოლა ნესების გარეშე.
**19:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**21:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეინოორდი-აიაქსი.
**23:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. ატლეტიკო-კოპენჰაგენი. კიოლნი. გერმანია.
**00:50** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/2 ფინალი. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**15:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. მიმოხილვა.
**16:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ფინალი. ქალები. სერენა უილიამსი-აგნიეშკა რადვანსკა. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**8 ივლისი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მანჩესტერ იუნაიტედი.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰანოვერი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-პსჟ.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კატანია.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მილანი.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცები. 1/2 ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
**16:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. იუვენტუსი.
**18:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. სარასენი-კლერმონი.
**20:00** NBA ACTION.
**20:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**21:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ლევანტე.
**23:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ოთხთა ფინალი". ფინალი. ატლეტიკო-კილი. კიოლნი. გერმანია.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 31 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 18 | 31 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 17 | 28 | (მზე) |
| ფოთი | 18 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 17 | 30 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 18 | 29 | (მზე) |
| თელავი | 19 | 31 | (მცირე წვიმა) |
| სილნაღი | 18 | 30 | (მზე) |
| ძოგულეთი | 19 | 28 | (მზე) |
| ბაკურიანი | 6 | 20 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 16 | 30 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 11 | 21 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0395 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6473 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5604 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0494 |

ჰოკეი

# უკრაინელი მფრინავი გახდა



ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მორიგი საინტერესო ტრანსფერის შესახებ გახდა ცნობილი. უკრაინელმა ფორვარდმა **რუსლან ფედოტენკომ** „ნიუ იორკ რეინჯერსი" „ფილადელფია ფლაიერზში" გაცვალა.

33 წლის მოთამაშემ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ხელფასის სახით 1.75 მილიონ დოლარს მიიღებს. გასულ სეზონში ფედოტენკომ 73 მატჩში 20 ქულა (9+11) დააგროვა.

სხვათა შორის, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში უკრაინელი კარიერას სწორედ „ფილადელფიაში" იწყებდა.

გარდა ამისა, „მფრინავებმა" ორი წლით გაიფორმეს მცველი **ბრუნო ჟერვე**, რომელმაც შარშანდელ სეზონში „ტამპას" შემადგენლობაში 13 ქულა (50 მატჩში) მიითვალა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაგეიშვილმა**

● კრივი



კლიჩკო და ტომპსონი

# დღეს კლიჩკო იჩხუბებს

დღეს, შვეიცარიის ქალაქ ბერნში სუპერმძიმე წონაში WBA-ის, WBO-სა და IBF-ის ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** ამერიკელ **ტონი ტომპსონს** შეხვდება.

ეს მოკრივეები ოთხი წლის წინ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინ უკრაინელმა მე-11 რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა. წელს ამერიკელი IBF-ის აუცილებელი პრეტენდენტი გახდა, რამაც მას რევანშის აღების საშუალება მისცა.

40 წლის ტომპსონი პირველი ამბიციური მეტოქე არ არის, რომელთანაც უმცროს კლიჩკოს მოუწია რინგზე გასვლამ. თავისი ხანგრძლივი პროფესიული კარიერის განმავლობაში, უკრაინელმა 60 ბრძოლა ჩაატარა და 57 მოიგო, მათ შორის 50 - ნოკაუტით. ვლადიმერის ბოლო ბრძოლა 2012 წლის 3 მარტით თარიღდება – მაშინ უკრაინელმა ფრანგ **ჟან-მარკ მორმეკს** მეოთხე რაუნდში ნოკაუტით მოუგო.

ტომპსონმა პროფესიულ რინგზე 38 ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და მის ანგარიშზე 36 მოგება (24 - ნოკაუტით) მოდის. როგორც ვთქვით, ეს მოკრივეები ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. ეს 2008 წელს გერმანიაში მოხდა. მაშინ ათი რაუნდი უკრაინელი დომინირებდა, ამას მოჰყვა ნოკდაუნი და შემდეგ ნოკაუტი მე-11 რაუნდში.

ამერიკელი, ისევე როგორც ოთხი წლის წინ, ამჯერადაც დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში. *"მე მაქვს ამ ბრძოლისთვის გეგმა. და ვფიქრობ, ეს გადამწყვეტ როლს ითამაშებს"*, - განაცხადა ამერიკელმა მოკრივემ.

თავის მხრივ, კლიჩკომ განაცხადა, რომ არ აქვს ტომპსონთან ხელმეორედ შეხვედრის სურვილი.

*"უკეთესი იქნებოდა, ვინმე სხვასთან მეჩხუბა, ვისაც ჯერ რინგზე არ შევხვედრივარ. მაგრამ არჩევანი არ მქონდა. მე ტიტულები უნდა დავიცვა. ტონი ჩემს მეტოქედ არ დამინიშნავს. მან თავად გაიკვლია გზა აუცილებელი პრეტენდენტის სტატუსისკენ"*, - ამბობს უმცროსი კლიჩკო.

რაც შეეხება ბუკმეიკერთა ფსონებს, აშკარა ფავორიტად უკრაინელი მოკრივე მიიჩნევა. ყველა დარწმუნებულია, რომ კლიჩკო უპრობლემოდ შეინარჩუნებს თავის ტიტულებს.

გუშინ, აწონვის ტრადიციული ცერემონია გაიმართა და უკრაინელი მეტოქეზე ორი კილოგრამით მძიმეა.

● ეს საინტერესოა



ბოლტი კურდღელთან წააგებდა

# რწყილი და ჭიანჭველა ოლიმპიადაზე

საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა ბრიტანულმა BBC-მ. ჟურნალისტებმა შეადარეს ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებისა და ადამიანების ფიზიკური შესაძლებლობები და იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ცხოველები ოლიმპიადის უმეტეს სახეობაში ოქროს მედლებს მიიღებდნენ.

ჩვეულებრივი კურდღელი 100 მეტრზე სპრინტის მეფეს **უსაინ ბოლტს** მთელი ოთხი წამით გაასწრებდა. ძალოსნობაში ბადალი არ ჰყავთ ჭიანჭველებს, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარ წონაზე 50-ჯერ მეტი სიმძიმის აწევა, იმ დროს, როცა ადამიანების შემთხვევაში ეს რიცხვი მხოლოდ 1.8-ს შეადგენს.

ციყვს შეუძლია ექვსმეტრიანი ნახტომის შესრულება, რაც ადამიანის 56-მეტრიანი ნახტომის ექვივალენტია. ოქროს კარგი შანსი ექნებოდათ რწყილებს, რადგან ისინი ერთი ნახტომით იპყრობენ მანძილს, რომელიც ადამიანისთვის თითქმის 400 მეტრი იქნებოდა.

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცხოველები დოპინგზე არასოდეს შეუმოწმებიათ.

● ჩოგბურთი. უიმბლდონი 2012

# ვინ შექმნის ახალ ისტორიას?

## კვირას, ფედერერისა და მიურეის ფინალით უიმბლდონის ისტორია გადაიწერება

პარასკევს, უიმბლდონზე მამაკაცთა ნახევარფინალები გაიმართა. **როჯერ ფედერერმა** დაამარცხა **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და მერვედ გავიდა ფინალში, **ენდი მიურეიმ** კი ამ კორტებზე პირველად გააღწია ფინალურ სტადიაზე.

პირველები კორტზე ფედერერი და ჯოკოვიჩი გავიდნენ. ამ მატჩს ნაადრევ ფინალს უწოდებენ. პირველმა გეიმებმა აჩვენეს, რომ მატჩი წესით თანაბარი უნდა ყოფილიყო. ჩოგბურთელები დამაჯერებლად იგებდნენ საკუთარ გეიმებს და ერთმანეთს ბრეკამდე მისვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ასეთ დაძაბულ სიტუაციაში პირველად ჯოკოვიჩს მოუვიდა მცირე ჩავარდნა. მეექვსე გეიმში, ნოვაკის მოწოდებაზე ანგარიში იყო "ნაკლები", როცა სერბმა უდროო დროს მოინდომა ბადესთან გასვლა, მაგრამ პასუხად ფედერერის შესანიშნავი შემოვლითი დარტყმა მიიღო, რომელიც ვარდნაშიც კი ვერ მოიგერია. ფაქტობრივად, ამ ბურთმა მოუტანა როჯერს სეტში გამარჯვება. ორჯერ საკუთარი გეიმის აღების შემდეგ, ფედერერმა ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა.

მეორე პარტიაში უპირატესობას უკვე ჯოკოვიჩი დაეუფლა, თანაც სტარტიდანვე. ნოვაკმა დამაჯერებლად მოიგო თავის მოწოდებაზე პირველი გეიმი, შემდეგ კი უბრალოდ გაანადგურა მეტოქე მიღებაზე. როჯერმა მხოლოდ 0:3-ზე შეძლო გონს მოსვლა და პირველი ქულის აღება. თუმცა ეს მან საკუთარ მოწოდებაზე გააკეთა, მიღებაზე კი შანსი არ ჰქონდა და "ნოლემ" სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა.

ამ სიტუაციაში ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ჯოკოვიჩის უპირატესობა ძალიან მალე სადღაც გაქრა. ნოვაკს ძალიან გაუჭირდა თავის მოწოდებაზე და პრაქტიკულად ყოველ გეიმში ბრეიკ-პოინტების მოგერიება სჭირდებოდა. დიდი ხანი ასე ვერ გაგრძელდებოდა... და ჯოკოვიჩს მეათე გეიმში არ გაუმართლა. ფედერერმა აიღო პირველი ორი გათამაშება და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო სერბმა ანგარიშის გაქვითვა კარგი მოწოდების ხარჯზე. და მაინც, "სმეშის" შესრულებისას ნოვაკმა შეცდომა დაუშვა და ბურთი აუტში გაუშვა. ამან როჯერს ორმაგი ბრეიკ-პოინტი მოუტანა. ერთი სერბმა მოიგერია, მაგრამ მეორე ჯერზე ფედერერმა მეტოქე ყრუ დაცვაში გადაიყვანა და ნოვაკმა ვეღარ გაძლო.

ბრწყინვალედ დაიწყო ფედერერმა მეოთხე პარტია. მეტოქისგან განსხვავებით, როჯერი ზედმიწევნით ზუსტი და მობილიზებული იყო, იმ მომენტებშიც კი, როცა პირველი მოწოდება არ მისდიოდა. "ნოლე" კი საკმაოდ არადამაჯერებლად გამოიყურებოდა გათამაშების დროს. პირველივე გეიმში მან სამმაგი ბრეიკ-პოინტი მისცა მეტოქეს. ერთი ბურთის მოგერიება შეძლო, მაგრამ მეორე ჯერზე ვერაფერი გააწყო და მდევრის როლში აღმოჩნდა. იქვე ფედერერმა საკუთარი გეიმიც აიღო და 3:0 წაიყვანა ანგარიში, რითაც სეტში და მატჩში გამარჯვებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

ჯოკოვიჩი ასეთ უიმედო სიტუაციებშიც ყოველთვის სახიფათოა, მაგრამ ამჯერად ჩანდა, რომ მისი საბრძოლო განწყობა სერიოზულ კითხვის ნიშანს იწვევდა. მან დაჭირვებით შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება, შემდეგ პირწმინდად წააგო გეიმი მიღებაზე. როჯერი მხოლოდ საკუთარი გეიმის შენარჩუნებაზე არ ზრუნავდა და სურდა, რაც შეიძლება მალე დაესრულებინა მატჩი. მან ტემპს კიდევ უფრო მოუმატა და სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო, რაც სამმაგ "დაფარულ" მატჩბოლს ნიშნავდა. მაგრამ ჯოკოვიჩი ნაადრევად არ დანებდა და ბოლომდე იბრძოლა და მესამე გეიმ-ბოლიდან აიღო ეს ურთულესი გეიმი.

მაგრამ ფედერერზე არ უმოქმედია ნოვაკის ამ დროებით წარმატებას. მეშვიდე გეიმი მან ნულზე მოიგო, მერვეში დიდად თავი არ მოუკლავს, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში 40:40 იყო. მატჩბოლამდე საქმე მეცხრე გეიმში მივიდა. ჯოკოვიჩმა გაბრძოლება სცადა, მაგრამ შვეიცარიელმა უძლიერესი მოწოდებით წერტილი დაუსვა შეხვედრას და მერვედ გავიდა უიმბლდონის ფინალში.

ჯოკოვიჩმა დათმო ტიტული, კვირას კი, შესაძლოა, პირველი ადგილი დაკარგოს რეიტინგში – ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ როჯერი მეშვიდედ მოიგებს უიმბლდონს. შეგახსენებთ, რომ მას კლასიფიკაციაში ერთი კვირა ლიდერობა არ ჰყოფნის იმისთვის, რომ ამ მაჩვენებლით **პიტ სამპრასს** გაუტოლდეს. გარდა ამისა, მეშვიდე ტიტულით ის ამ ამერიკელს უიმბლდონის ტიტულების რაოდენობითაც დაეწევა. ერთი რეკორდი კი უკვე დაამხო - ბოლო 99 წლის განმავლობაში უიმბლდონის ფინალში რვაჯერ არავინ გასულა.

### პირველად 1938 წლის შემდეგ

ამის შემდეგ კორტზე გავიდნენ ენდი მიურეი და **ჟო-ვილფრიდ ცონგა**. მათი ურთიერთშეხვედრები მხოლოდ ექვს მატჩს მოიცავდა, ამასთან ორი შეხვედრა ბალახზე გაიმართა - მიურეიმ ორჯერ გაჭირვებით დაამარცხა ფრანგი 2010 წლის უიმბლდონზე და 2011 წელს "ქუინზ ქლაბზე". ცონგას ერთადერთი მოგება ავსტრალიის ღიაზე მოდის.

შეხვედრის დებიუტში ენდი უფრო მობილიზებული ჩანდა და თავიდანვე გააკეთა ბრეიკი. მას ამაში ფრანგი დაეხმარა, რომელმაც ორი არააუცილებელი შეცდომა დაუშვა. სეტის შუაში ბრიტანელმა ორმაგი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და შეძლო პარტიის თავის სასარგებლოდ დასრულება.

მეორე პარტიაც იმავე სცენარით განვითარდა, ოღონდ ბრიტანელი კიდევ უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა მოწოდებაზე - მან ხუთი საკუთარი გეიმის განმავლობაში ზედიზედ 17 ქულა მოიგო. ცონგაც არ თამაშობდა ცუდად თავის გეიმებში, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა პირველი მოწოდება აღწევდა მიზანს – მეორე მოწოდებაზე მას ქულა არ აუღია. სწორედ ამის გამო წააგო სეტის შუაში თავისი გეიმი და მისი დაბრუნების შანსი აღარ ჰქონია.

მოკლედ, ყველაფერი ადგილობრივი პუბლიკის კერპის სცენარით მიდიოდა, მაგრამ მომდევნო პარტიის დასაწყისში მიურეის მოწოდებამ უმტყუნა და ცონგამ ეს შანსი გამოიყენა – მან პირველად გააკეთა ბრეიკი, თანაც "შშრალი" ანგარიშით მოიგო. ფრანგი გამოცოცხლდა, უფრო აქტიურად და თავისუფლად ათამაშდა, ბადესთან გასვლებს მოუხშირა და მეტოქის მოწოდებასაც ალღო აუღო. მას შეეძლო 4:0 გაეხადა ანგარიში, მაგრამ ენდიმ გაძლო, შემდეგ კი ბრიტანელმა სამმაგი ბრეიკ-პოიტი მიიღო, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. მიღებაზე მომდევნო ორ გეიმშიც ენდიმ ბრძოლა მოახვია თავს მეტოქეს, მაგრამ სეტის გადარჩენა ვერ შეძლო.

მეოთხე პარტია ემოციური და ნერვული გამოვიდა. მიურეიმ ისევ ვერ დაალაგა საკუთარი მოწოდება, ცონგა კი უმატებდა თამაშს. ენდიმ პირველმა გააკეთა ბრეიკი, მაგრამ შემდეგ გეიმში გაფლანგა ეს უპირატესობა. ამის შემდეგ ორივეს ჰქონდა "დაფარული" სეტბოლები (ბრიტანელისთვის მატჩბოლები), მაგრამ გადაარჩინეს გეიმები. და მაინც, 5:6-ზე მიურეიმ ორჯერ კარგად მიიღო ბურთი, მატჩბოლზე კი მოწოდება შესანიშნავი ბექჰენდით პირდაპირ ხაზზე მოიგერია.

მიურეიმ ცრემლები ვერ შეიკავა - ზედიზედ სამი ნახევარფინალის შემდეგ, მან პირველად მოიპოვა უიმბლდონზე ფინალში თამაშის უფლება და გახდა პირველი ბრიტანელი 1938 წლის შემდეგ, ვინც ეს გააკეთა. ბოლოს ასეთი რამ **ბანი ოსტინმა** შეძლო. ასე რომ, კვირას ან ფედერერი დაიბრუნებს რეიტინგში პირველ ადგილს და გაუთანაბრდება აქ ტიტულების რაოდენობით სამპრასს ან მიურეი შეძლებს "დიდი სლემის" ტურნირებზე პირველი ტიტულის მოგებას და გახდება პირველი ბრიტანელი **ფრედ პერის** (1936) შემდეგ, ვინც "დიდ სლემზე" გამარჯვებას მოიპოვებს.

**1/2 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1) 6:3, 3:6, 6:4, 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 5) 6:3, 6:4, 3:6, 7:5.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



როჯერ ფედერერი

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

9 772233 382000

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge***

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა